ლელო

№135 (12 205)

11 ივნისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ერთ თამაშს მაინც ვითამაშებ

შოთა არველაძე ვარსკვლავთა მატჩში და პირადი მცველის თანხლებით



ლისაბონში ოლ სტარი გაიმართა: ლუიშ ფიგუს მეგობრები მსოფლიოს ნაკრების წინააღმდეგ.

რჩეულთა შორის ჩვენებურიც იყო - შოთა არველაძემ ფიგუს გუნდში ითამაშა. მატჩი 5:4 დასრულდა ფიგუელთა სასარგებლოდ.

ლისაბონიდან არველაძე ამსტერდამში დაბრუნდა და ახლა იქ ფიქრობს, გააგრძელებს თუ არა ფეხბურთელობას და თუ გააგრძელებს - სად. შოთას ამსტერდამში შევეხმიანეთ და ჯერ ლისაბონურ ამბებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

- Unicef-ის ეგიდით გამართული საქველმოქმედო მატჩი იყო. მე უშუალოდ ფიგუს ფონდისგან მომივიდა მონვევა. ფიგუს რამდენიმე წელიწადია, რაც ვიცნობ. ძალიან ინტელიგენტი და ყურადღებიანია, მადლობის თქმას ვერ დაასწრებ.

- ასეთ მატჩში პირველად არ გითამაშია...

- მასეა, შარშან ზაფხულშიც მიმინვიეს ასეთ თამაშზე პორტუგალიაში, მაშინ მატჩი ფაროში გაიმართა. შარშანვე ზიდანისა და რონალდოს მეგობრების ოლ სტარშიც მიმინვიეს, მაგრამ ტრავმის გამო იმ მატჩზე ვერ წავედი.

- წლეულს ლისაბონურ ოლ სტარში კახა კალაძეც იყო მინვეული, მაგრამ ის ლისაბონში არ ჩავიდა...

- მას პირადი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და ამიტომ ვერ ჩამოვიდა ლისაბონში.

- ბოლო 30 წუთი ითამაშე და ალბათ, წინასწარ იცოდი, რომ ასე იქნებოდა...

- არა, ფელიპე სკოლარი იყო ჩვენი გუნდის მწვრთნელი და მას მეორე ტაიმიდან უნდა შევეშვი მოედანზე, მაგრამ შესვენების შემდეგ ეროს რამაზოტიმ ითხოვა, კიდევ მინდა თამაშიო და მეც ხათრი ვერ გავუტეხე. ის მართლაც ძალიან კარგი ადამიანია.

3

არგენტინა დაივიწყეთ, ბრაზილია? შეიძლება...

3

ღმერთის ხელი 2

...მაგრამ მესი ჯერ მაინც არ არის მარადონა

რეალი თითქმის ჩემპიონია

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ყოველთვის სასურველი სტუმარი

ის პიჯაკი ისევ მაქვს

საქართველოზე შეყვარებული ივო შუშაკი თბილისში. ინტერვიუ 2

ძართული საკლუბო ამბები

ბოლნისი ისევ ძლიერი იქნება, იონანიძე ღიად რჩება 4



ნაკრებს ჩემპიონატი აკლია

ინტერვიუ ვატო ნაცვლიშვილთან 11

საქართველო რუმინეთთივით არ შერცხვა

რაგბი. IRB. ერთა თასი 13



პრიმერა დივიზიონი. გოლოსწინა ტური 7

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში სხვადასხვა დროს ბევრ უცხოელ მწვრთნელს უმუშავია; მათი მუშაობის შედეგიც არაერთგვაროვანი ყოფილა, მაგრამ ყველაზე წარუშლელი კვალი მაინც ივო შუშაკმა დატოვა. ჯერ მხოლოდ შედეგებით ვიმსჯელოთ: ღრმა კრიზისში მყოფი თბილისის "დინამო" სწორედ ხორვატმა სპეციალისტმა "დააყენა ფეხზე". ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი საქართველოს ჩემპიონიც გახდა, თასსაც დაეუფლა და მერე უკვე საერთაშორისო ასპარეზზეც გაიმარჯვა, როცა ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა დსთ-ის თასი. და მთავარიც - შუშაკის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა რუსეთის ნაკრები დაამარცხა! სამწუხაროდ, ხორვატი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ორი მატჩი ხელმძღვანელობდა; არადა, მისთვის რომ კონტრაქტი შეეთავაზებინათ, დარწმუნებული ვართ, საქართველოს ნაკრებს ბევრად უფრო კარგი შედეგი ექნებოდა, ვიდრე დღეს აქვს. ორნელიანადნახევარში შუშაკმა თავი ყველას შეაყვარა - ფეხბურთელებს, კოლეგებს, ქომაგებსა და... ჟურნალისტებს! ჰო, ეგრე იყო - მასმედიასა და მწვრთნელებს შორის მსგავს ცივილურ და წმინდა პროფესიულ ურთიერთობას ვერც ვიხსენებთ და, ალბათ, დიდხანს სანატრელიც გვექნება... ...ივო შუშაკი პირადი ვიზიტით თბილისში ორი დღით იყო ჩამოსული; აქაური მასპინძლების ყველაზე სასურველმა სტუმარმა, გუშინ, ქართველი ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და საათნახევარიც გულახდილ დიალოგში ისე გაილია, ვერც გავიგეთ...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინტერვიუ ივო შუშაკთან

ყოველთვის სასურველი სტუმარი

- თბილისში კერძო ვიზიტით ჩამოვედი - აქაური მეგობრები მოვინახულე, საუკეთესო ქართული სუფრა დავაგემოვნე. რაღა თქმა უნდა, ჩემი ძვირფასი მეგობრის, გივი ნოდიას საფლავზეც ვიყავი... საერთოდაც, კვირაში, სულ მცირე, ორ-სამჯერ ვეკონტაქტები ქართველ მეგობრებს; ისე კი, მეხუთედ ჩამოვედი მას მერე, რაც "დინამოდან" წავედი.

- "დინამოში" გატარებულ პერიოდს როგორ გაიხსენებდით?

- ეს იყო ყველაზე ლამაზი პერიოდი ჩემს სამწვრთნელო კარიერაში და ასე დარჩება ცხოვრების ბოლომდე. აი, დავუშვათ და, ხორვატიაში ვინმე ქართველი ჩამოვა, ჩათვალეთ, რომ მისი მეგობური და პატრონი ვარ.

- ამჟამად რას საქმიანობთ?

- ბოლოს ხორვატულ "ოსიეკს" ვწვრთნიდი და იქიდან წამოსვლის მერე არსად მიმუშავია. ამჟამად ვისვენებ და თუ რაიმე სერიოზული მინვევა იქნება, დავფიქრდები და ისე გადავწყვიტავ. საერთოდ კი ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება მაქვს - ორი ძირითადი მომენტიდან ერთ-ერთიც რომ არ მაკმაყოფილებდეს, უარს ვიტყვი. პირველ ყოვლისა, გუნდს ამბიცია და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა ჰქონდეს. მეორე მომენტი კი მყარი ფინანსური გარანტია უნდა იყოს. ხორვატული კლუბებიდან 2-3 შემოთავაზება მქონდა, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, უამბიციო გუნდში არ ვიმუშავებ.

- ქართული გუნდები არ შეგხმიანებიათ?

- მინდა დაგარწმუნოთ, რომ "დინამოდან" წასვლის მერე ქართული გუნდებიდან მინვევა არ მქონია. აქედან გამომდინარე, ჩემთვის გაუგებარია, თუ საიდან გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოსდა, ერთ-ერთ ქართულ კლუბთან პირობებზე ვერ შევთანხმდი. დამიჯერეთ, შემიძლია დავიფიცო კიდეც...

- ისევ "დინამო" და ამ გუნდთან ერთად ტკბილ-მწარე მოგონებებიც ვახსენოთ...

- აქედან ცუდი მოგონება არ გამყოლია. ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა მუშაობისთვის ყველა პირობა შემიქმნა. თანაც, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ბატონი ბადრი არასდროს ჩარეულა ჩემს საქმეებში. კმაყოფილი და ბედნიერი ვიყავი, ისეთ პიროვნებასთან რომ ვმუშაობდი, როგორც გივი ნოდია იყო; საქართველოს ასე ადვილად რომ შევეგუე, ამაში გია იმნაძის დიდი დამსახურებაა. იგივე შემიძლია ვთქვა დიღმის ბაზის ყველა თანამშრომელზეც.

- ქართულ მედიასთან ურთიერთობაზეც ვთქვათ...

- მოკლედ ვიტყვი - ქართველ ჟურნალისტებთან ურთიერთობა "ფრიადზე" უნდა შევაფასო! ამაში კი ლომის წილი ლევან სალუქვაძეს მიუძღვის. სხვათა შორის, საქართველოში გატარებულ პერიოდს ამ კუთხითაც აღვნიშნავდი: ქართველი ჟურნალისტები ყოველთვის ობიექტურები იყვნენ ჩემი მუშაობის შეფასებისას.

- "დინამოსთან" ერთად არაერთ წარმატებას მიაღწიეთ. ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი იყო?

- ცალკე ვერ გამოვყოფ - პირველი სიხარული მაშინ იყო, როცა გუნდში მოსვლიდან სამი თვის მერე მივხვდი, რომ ფეხბურთელები უმატებდნენ. ნელ-ნელა ისიც გამოჩნდა, რომ თითოეულ მათგანს, რაც შეიძლება, სწრაფად სურდა ჩემი იდეების ათვისება. შედეგიც მალე მოვიდა - ჩემპიონატიც მოვიგეთ, თასიც და მერე მოსკოვშიც გავიმარჯვეთ.

- რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებაზე რომ არ გკითხოთ, არ შეიძლება...

- ჩემს სამწვრთნელო კარიერაში რამდენიმე დიდი წარმატება მქონდა. წარმოიდგინეთ, ჩემს სამშობლოში რა რეაქცია იქნებოდა, როცა ჩემმა განვრთნილმა ხორვატიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბელგრადში სერბელ თანატოლებს სძლიეს. ანდა, როგორ დავიწყებ, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მდელებით რომ ჩამოვედით, 100 000 კაცი დაგხვდა ზაგრებში. მაგრამ, ვერცერთი ვერ შეედრება იმ განცდას, რაც რუსეთთან გამარჯვების მერე ვნახე...

- და მაინც, რა განცდა იყო?

- სიტყვებით ვერ გადმოვცემ - ახლაც, თქვენთან ერთ ვსაუბრობ, ისევ ჟრუანტელი მივლის. კი, ვიცოდი, რომ პრინციპის საქმე იყო რუსეთის ნაკრებთან ღირსეულად თამაში; ვიცოდი, რომ წარმატების შემთხვევაში, ქართველ ხალხს უდიდეს ბედნიერებას მივანიჭებდით, მაგრამ თამაშის მერე ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა. მატჩის მეორე დილით რომ გავიღვიძე, წესიერად ვერ გავაცნობიერე, თუ რა მოხდა. ჰოდა, აი, მაშინ კი მივხვდი, თუ რას ნიშნავს ქართველებისთვის ფეხბურთი.

- ბატონო ივო, თქვენს აქაურ თილისმას - ყვითელ პიჯაკს კიდევ ატარებთ?

- დიდი ხნით არცერთ ტანსაცმელს არ ვატარებ და აქედან გამომდინარე, არც ვინახავ. გამონაკლისი მხოლოდ თქვენს მიერ ნახსენები პიჯაკია და რა დროც უნდა გავიდეს, ყოველთვის მექნება. ასევე არასდროს ვინახავ ჩემზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, ერთის გარდა - ქართულ პრესაში "ივო ველიჩესტვო" რომ დაწერეს...

- საქართველოს დღევანდელ ნაკრებზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი...

- საფრანგეთთან შეხვედრის მომენტები ვნახე. რა თქმა უნდა, ფრანგებთან თამაში ძნელია და ფრეზე ფიქრიც კი საოცნებოა. თანაც, საქართველოს ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა - შოთა არველაძე და მალხაზ ასათიანი მართლაც შეუცვლელი მოთამაშეები არიან.

- საერთოდ, როგორ ფიქრობთ, საკლუბო ფეხბურთში ნარმატების მიღწევა იმის გარანტია არის, რომ მწვრთნელისგან იგივე ნაკრებშიც მოვითხოვოთ?

- კლუბსა და ნაკრებში მუშაობა ერთობ განსხვავდება. სადაც მუშაობ, იქ თუ არ იცხოვრე, იქაურ მენტალიტეტს თუ არ გაეცანი, წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. "დინამოში" რომ ვმუშაობდი, ბაზაზე ვცხოვრობდი და ორწელიწადნახევრის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ვიყავი ხორვატიაში, ისიც ორ-ორი დღით. ნაკრების მწვრთნელი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაცია ექნებათ, როცა ეცოდინებათ, მათ თამაშს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ესწრება.

- დაბოლოს, სამომავლო გეგმებზეც.

- ამჟამად ვისვენებ და ახლაც ოჯახთან ერთად ადრიატიკის ზღვაზე დასასვენებლად მივემგზავრები. თუმცა უფეხბურთოდ დიდხანს რომ ვერ გავჩერდები, ფაქტია. მთავარია, საინტერესო და მოტივირებული წინადადება იყოს. საქართველოში კი მეგობრული ვიზიტით არაერთხელ გესტუმრებით!...

გია ტუხაშვილი

პირველები საქართველოდან

გეგუჩაძემ და ქეცბაიამ პროფ-ლიცენზია მიიღეს

გია გეგუჩაძე და **თემურ ქეცბაია** პირველი ქართველი მწვრთნელები არიან, რომლებმაც პროფ-ლიცენზია აიღეს. კვიპროსში, სეზონის დამთავრების შემდეგ, "ანორთოსისის" მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციაში წარმატებით გაიარა გამოცდები. ასევე იყო **გია გეგუჩაძის** შემთხვევაშიც. უმაღლესი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი მან უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში მიიღო. ასე რომ, საქართველოს ორი პროფ-ლიცენზიის მფლობელი ქართველი სპეციალისტი ჰყავს.

გია გეგუჩაძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა ლიცენზირების ხელმძღვანელ **გაიოზ დარსაძესთან** უთანხმოების გამო მოუხდა სწავლის უკრაინაში გაგრძელება. გეგუჩაძე იმ ისტორიულ სიაში მოხვდა, 3 ივნისს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ პირველად რომ მისცა პროფლიცენზია. მწვრთნელთა ჯგუფში იყვნენ გია გეგუჩაძე, "ჰართსის" მთავარი მწვრთნელი **ანატოლი კარობოჩკა**, ცნობილი სპეციალისტები **ვიქტორ ზუევი, ანატოლი ვალაბუევი, ალექსანდრ კოსევიჩი, იური დიაჩუკ-სტავიცკი** და ა.შ. პროფდიპლომიან სპეციალისტებს ნებისმიერ ევროპულ გუნდში მუშაობის უფლება ეძლევათ. შეგახსენებთ, რომ გეგუჩაძეს **იოჰან ბოსკამპი** ინგლისის პირველი დივიზიონის "სტოკ სიტიში" ასისტენტად იწვევდა და მუშაობის უფლება სწორედ ლიცენზიის უქონლობის გამო არ მისცეს...

- ბატონო გია, მოსალოცი ამბავია - თემურ ქეცბაიასთან ერთად, პირველი ქართველი პროფ-ლიცენზიის მქონე სპეციალისტი გახდით.

- თემურის ამბავი ძალიან გამიხარდა. რაც მეტი ქართველი მიიღებს პროფ-დიპლომს, მით კარგი. ეს ისევ ჩვენი ფეხბურთის განვითარებას ნაადგება. ბევრი ნიჭიერი მწვრთნელია საქართველოში და დარწმუნებული ვარ, მონდომების შემთხვევაში, კიდევ მრავალს შეუძლია პროფ-დიპლომის მიღება.

- თავად ლიცენზიის მიღება რთული პროცესია?

- ეს არ არის ტიპიური გამოცდა, ბილეთები და პასუხები. სწავლება რვა თვეს გაგრძელდა. პირველი სამი სემინარი კიევში ჩატარდა, მეოთხე შოტლანდიაში, მეხუთე ანთალიაში, ბოლო კი კიევში, 30 მაისიდან 3 ივნისამდე. გამოცდაც არ ეთქმოდა, დისკუსია გაიმართა, რომელსაც ოლეგ ბაზილევიჩი უძღვებოდა.

- მეორე საკითხია, პროფ-ლიცენზიის მწვრთნელს ცოდნის გამომჟღავნებაში ქვეყანა და კონკრეტული გარემო ხელს გიწყობთ?

- უკეთესი ქვეყანა და პირობები ჩვენთან კი არა, გრანდებშიც უნდათ, მაგრამ წარმატება მაინც შესაძლებელია. გიორგი ჩიხრაძემ "ჰერტასთან" "ამერი" აქაური პირობებით ათამაშა და ბუნდესლიგის გუნდს ჩვენებმა რა დაუთმეს? ან ჩვენი "დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე როგორ მოხვდა? მთავარია, ცოდნა გქონდეს, თორემ მას აუცილებლად გამოიყენებ. საქმის სწორი ორგანიზაციით, ეს ადვილი შესაძლებელია.

- ახლა, რაც შეეხება თქვენს გეგმებს - რჩებით "გაგრაში" თუ ახალ გუნდში მუშაობას გეგმავთ?

- წასვლა არც მიფიქრია, ვრჩები და სასელექციო მუშაობასაც შევუდექი.

- თქვენი აზრით, გადათამაშებაში "გაგრა" "ჩიხურასთან" რატომ დამარცხდა?

- მიმაჩნია, რომ ჩვენ წაგებას არ ვიმსახურებდით. თუმცა, ყველაფრის მიზეზი ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ - მეორე გოლის შემდეგ ბიჭები გაჩერდნენ, თითქოს მოტივაცია დაკარგეს. ასეთ დროს მოგება შეუძლებელია. ერთადერთი, ის გამიხარდა, რომ "ჩიხურას" ორივე გოლი ჩემთან გაზრდილებმა, დვალმა და გიგაურმა გაიტანეს.

- კაცს ხეზე აძრომას ასწავლით და მერე თქვენვე შემოგიტრიალებდათ.

- (იცინის) მიხარია, რომ ეს ბიჭები გაიზარდნენ. ქართული ფეხბურთისთვისაა უკეთესი, რაც მეტი ძლიერი მოთამაშე გვეყოლება,.

მერაბ მამულაშვილი

თემურ ქეცბაია



გია გეგუჩაძე

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

ლისაბონში, პირადი მცველით

პირველი გვერდიდან

- ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს პასს არ გაძლევდნენ...

- უბრალოდ, რიკარდუ კვარეშმა ბევრს მატაობდა და პასზე ნაკლებად ფიქრობდა. ორჯერ შემეძლო გოლის გატანა - მეკარეს გავცდი, დავარტყი და მცველმა მოიგერია; მერე თავზე ვუგდებდი მეკარეს, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ეს მატჩი შოუ კი იყო, თუმც მოგება ყველას უნდოდა. სასიამოვნო იყო ასეთ შეხვედრაში თამაში. გამაოცა გეორგი ჰაჯიმ - ისეთ ფორმაშია, ახლაც ითამაშებდა პროფესიულ დონეზე.

- მართალია, რომ ლისაბონში პირადი მცველი დაგიქირავეს?

- ორგანიზაციული დონე ძალიან მაღალი იყო, დაცვაც გამომიყვეს და მანქანაც. ფიგუს ფონდმა პატარა თვითმფრინავიც დაგვიქირავა - მე, ფრანკ დე ბურმა და ფილიპ კოკუმ ერთად ვიმგზავრეთ ამსტერდამიდან ლისაბონში და აქეთ.

- კოკუსთან ალბათ იმაზეც ისაუბრებდი, თუ ბოლო ტურში "ალკმაარს" როგორ აწაპნა პსვ-მ ჩემპიონობა...

- რა თქმა უნდა, მე და კოკუმ აქეთურ-იქეთურზე ვისაუბრეთ. კოკუც ჩემსავითა, ვერ გადაუწყვეტია, ფეხბურთელის კარიერა როდის დაასრულოს.

- "ალკმაართან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაკავშირებს - ასეთი ვალდებულების არშესრულება შესაძლებელია?

- ვალდებულებები მართლაც მაქვს, მაგრამ თუ თამაშს ვეღარ შევძლებ, ძალასაც ვერავინ დამატანს. ახლა ვისვენებ და გადაწყვეტილების მიღებაზე ვფიქრობ.

- ნაკრებიდან წახვედი და გამოსამშვიდობებელი თამაში თბილისში ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში გსურდა, თუმც ამ შეხვედრის გამართვაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაცია ვერ თანხმდებიან. გამოსამშვიდობებელი მატჩი გამორიცხულია?

- თუ ფეხბურთის თამაშს მანამდე თავს არ დავანებებ, კარგ ფორმაში ვიქნები და კლაუს ტოპმიოლერიც გამომიძახებს ნაკრებში, ევროშესარჩევის ერთ თბილისურ მატჩს ვითამაშებ.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ნაკრები

არგენტინა გამოირიცხა, ბრაზილია გვევაჭრება

ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ივნისის მატჩები უკვე მოილია და შემოდგომამდე თამაში აღარ გვიწევს. მომდევნო მეტოქე უკრაინის ნაკრები გვყავს, რომელსაც 8 სექტემბერს თბილისში ვუმასპინძლებთ.

მანამდე კი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი დღეებიდან ერთი, 22 აგვისტო გვაქვს. უკვე გადაწყვეტილია, რომ 22 აგვისტოს ჩვენი ეროვნული ლუქსემბურგს სტუმრად დაუპირისპირდება. ჩვენი გუნდი ამ მატჩისთვის თბილისიდან 3 დღით ადრე, 19 აგვისტოს გაემგზავრება.

რაც შეეხება ბრაზილიასა და არგენტინასთან ამხანაგურ მატჩებს, როგორც ირკვევა, არგენტინული მხარე ადრე ნათქვამ პირობას არ გადადის, თანხას არ აკლებს. ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის **უჩა უგულავას** თქმით, შეიძლება ითქვას, რომ 12 სექტემბერს არგენტინასთან ამხანაგური თამაშის ჩატარება, ფაქტობრივად, გამორიცხა.

სამწუხაროდ, ბრაზილიელებთან დაკავშირებითაც არაა დამაიმედებელი ვითარება. სამხრეთამერიკელები ქართულ მხარესთან ვაჭრობას განაგრძობენ.

ასე რომ, 22 აგვისტოს ლუქსემბურგში გვაქვს ამხანაგური თამაში,12 სექტემბრისა და 17 ნოემბრის თარიღებისთვის კი მეტოქეთა ვინაობა ჯერ კიდევ არაა გარკვეული. შეგახსენებთ, რომ ამ პერიოდისთვის პარაგვაის, ვენესუელის, მექსიკის, პერუს, ეკვადორისა და ავსტრიის ნაკრებებისგან იყო შემოთავაზებები. თუმცა აწყობთ კი ეს თარიღები (12 სექტემბერი და 17 ნოემბერი) ამხანაგური მატჩებისთვის ზემოთხსენებულ ნაკრებებს? ფეხბურთის ფედერაცია ახლა ამ საკითხის გარკვევაზე მუშაობს.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

გიგიაძე უკრაინის საუკეთესო თავდამსხმელობის კანდიდატია

უკრაინის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, გაზეთ "კომანდაში" გამოქვეყნდა სტატია იმის შესახებ, თუ რომელ მოთამაშეებს აქვთ ამა თუ იმ პოზიციაში გამარჯვების შანსი. აღმოჩნდა, რომ 6,08 ქულით თავდამსხმელებში კრივოი როგის "კრივბასის" კაპიტანი **ვასილ გიგიაძე** ლიდერობს, საერთო ჩათვლაში კი მეტერთმეტე ადგილზეა.

"ჯერ კიდევ მცირე ხნის წინათ, "კრივბასის" კაპიტანი უკონკურენტო იყო. თუმცა მერე პოზიციები დათმო, ბოლო ტურებში კი მოედანზე იშვიათად ჩნდება. ამით კიევის დინამოელმა კლებერმა ისარგებლა, რომელიც გიგიაძეს საკმაოდ მიუახლოვდა. ბრაზილიელმა ლეგიონერმა მეორე წრეში ძალიან მოუმატა და ყოველ მატჩში ბურთი გააქვს", - წერს გაზეთი.

შინაურ მღვდელს მართლა არ აქვს შენდობა. უკრაინის ჩემპიონატი რომ მაღალი დონისაა, მტკიცება არ სჭირდება. უეფას ბოლო საკლუბო რეიტინგში დონეცკის "შახტარი" მეთორმეტე ადგილზეა, კიევის "დინამო" კი - მეთხუთმეტეზე. უკვე დიდი ხანია, უკრაინა ჩემპიონთა ლიგაში ორი გუნდითაა წარმოდგენილი. საკმაოდ მაღალი კლასის ლეგიონერებიც მიიზიდეს - ბრაზილიის, ხორვატიის, რუმინეთის და კიდევ სხვა ქვეყნის ნაკრებებიდან, მათ შორის, ფორვარდებიც. თავდამსხმელთა ნომინაციაში კი საქართველოს ნაკრებს მილმა დარჩენილი ვასილ გიგიაძე ლიდერობს.

რაც შეეხება მის ბოლოდროინდელ უთამაშებლობას, ეს ქართველი ლეგიონერის ჩავარდნას არ უკავშირდება. "კრივბასმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა და მწვრთნელის თქმით, გიგიაძეს დასვენება სჭირდება. რეალური მიზეზი თავად გიგიაძემ გარკვევით მიგვანიშნა, მწვრთნელს დარჩენილ მატჩებში სხვა საქმეები აქვს მოსაგვარებელიო. მოკლედ, "კრივბასი" მეტოქეებს ანებივრებს და **ტარანს** გიგიაძის გოლები ხელს შეუშლის.

ახლა მთავარზე: შემოდგომიდან მოყოლებული საქართველოს ნაკრები კადრების მწვავე დეფიციტს განიცდის. ხან ვინ გვაკლდება ყვითლებისა და ტრავმების გამო და ხან - ვინ. ხომ არ აჯობებდა, ასეთ დროს "ოქროს რეზერვისტებად" შეიგულონ რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი? ან, პრობლემურ ამპლუებში ფეხბურთელების სრულიად უცხო პოზიციებზე დაყენებას (მაგალითად, ფრანგებთან მცველებმა, **სალუქვაძემ, ღვინიანიძემ** და **ელიავამ** ნახევარდაცვაში ითამაშეს) "ოქროს რეზერვისტების" მიწევა არ სჯობს? ნუთუ, საქართველოს ნაკრებს ეს ფეხბურთელები არ სჭირდება? არ ვამტკიცებთ, რომ ჩამოთვლილი ფეხბურთელების ძირითადში დაყენებაა საჭირო, მაგრამ გასაჭირში არ გვაწყენდნენ.



ვასილ გიგიაძე

ამასობაში, უკრაინულმა სპორტულმა ინტერნეტგაზეთმა "სპორტმა" საქართველოს ნაკრები ჯგუფის ყველაზე მხიარულ ნაკრებად მონათლა. გული გვტკივა, რომ დაგვცინიან და რესურსს ბოლომდე ვერ ვიყენებთ, თორემ კრიტიკა კი არ გვეხალისება.

მერაბ მამულაშვილი

ზესტაფონი

იონანიძის საკითხი ღიაღაა

უკვე ხუთი დღეა, საქართველოს თასის ფინალისტი „ზესტაფონი“ ბაკურიანში გადის შეკრებას. გუნდმა ვარჯიში ასე ადრე იმიტომ დაიწყო, რომ ინტერტოტოს თასის პირველ რაუნდს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. ფეროელები ყაზახეთში 22 ივნისს გაფრინდებიან, 23-ში კი თბილისის დროით 16 საათზე იქ კუსტანაის „ტობოლს“ დაუპირისპირდებიან.

ჯერჯერობით, „ზესტაფონის“ შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არაა. კლუბი მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა დატოვა – **ბექა ნოზაძესა** და ბრაზილიელ **ლეანდროს** კონტრაქტები არ გაუგრძელეს. რაც შეეხება **ზურაბ იონანიძეს,** იგი ბაკურიანში არ წაუყვანიათ, მაგრამ გადაჭრით ჯერ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ვეტერანი ფორვარდი „ზესტაფონს“ დატოვებს.

„იონანიძის თაობაზე რამდენიმე საკითხია გასარკვევი. ჯერჯერობით, ამ თემაზე კონკრეტულად საუბარი არ გვსურს. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღესდღეობით, გუნდთან ერთად არაა, შეიძლება მაინც დარჩეს“, - განაცხადა „ზესტაფონის“ პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ**.

რამდენიმე დღის წინათ „ზესტაფონის“ სავარაუდო ახალწვეულებზე ვწერდით. ჯერჯერობით, კლუბს მათგან არავინ დაუმატებია, უფრო სავარაუდოა, რომ იმერლებმა ახალი ფეხბურთელები ინტერტოტოს პირველი ეტაპის შემდეგ გაიფორმონ.

კლუბის ხელმძღვანელობას ევროარენაზე სერიოზული მიზნები აქვს და მაქსიმალურად ბევრი ეტაპის გავლას გეგმავს. შეგახსენებთ, ყაზახური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, „ზესტაფონი“ მეორე ეტაპზე ჩეხურ კლუბს შეხვდება, აქ გამარჯვებულს კი საბერძნეთის წარმომადგენელი ელის.

ლევან ჯანეზაშვილი

19 ივნისს დაჯილდოებაა

პროფლიგა სეზონს ჰიმნით დაახურავს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა წლეულსაც მოაწყობს სეზონის ლაურეატთა დაჯილდოებას და ეს ღონისძიება, ისევე როგორც შარშანდელი, თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრში ჩატარდება.

"დია 2007" 19 ივნისს გაიმართება. 2006-07 წლების ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი, მწვრთნელი, მსაჯი, სეზონის აღმოჩენა - ამ ნომინაციებში გამარჯვებულები ჟურნალისტთა გამოკითხვით გამოვლინდება.

არის კიდევ ორი ნომინაცია - საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. ამ გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელები და კაპიტნები, A ლიცენზიის მქონე მწვრთნელები და ვეტერანები.

"დია 2007-ისთვის" საგანგებოდ დაიწერა ჰიმნი. მუსიკისა და ტექსტის ავტორია **დათო ფორჩხიძე**. მასთან ერთად ამ ჰიმნს კიდევ სამი მომღერალი შეასრულებს - **გია ონიანი, ნინო ლეჟავა** და ჯეოსტარელი **ანანო მჟავია.** მზადდება ამ ჰიმნის კლიპიც, რომელიც 19 ივნისისთვის უნდა მოესწროს.

დავით თავართქილაძე



www.kazbegi.com

გაზეთი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სიონი

ბოლნისი ისევ ძლიერი იქნება

ახალ გამგებელს ფეხბურთი უნდა

არჩილ ალავიძე ამერში გადავიდა

ცოტა ხნის წინათ, ბოლნისის გამგებლის პოსტიდან **გია არევაძე** გადადგა. არევაძე "სიონის" პრეზიდენტის" გახლდათ და მისმა გადადგომამ კლუბისთვის არასასიამოვნო ხმების გავრცელებასაც დაუდო სათავე. თითქოს, "სიონი" დაიშლება და ვინ იცის, ბოლნისში კიდევ როდის იქნება ამბიციური გუნდი.

ბოლნისის გამგებელი **გიორგი დაუშვილი** გახდა. საფეხბურთო კლუბ "სიონის" აქციების ნაწილი სწორედ გამგეობას ეკუთვნის. დაუშვილი უკვე შეხვდა "სიონის" ხელმძღვანელებს და როგორც ირკვევა, კლუბის ამბები ცუდად ნამდვილად არ წარიმართება. ბუნებრივია, საქმეში გარკვევას შევეცადეთ და "სიონის" ვიცე-პრეზიდენტსა და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრ **დავით სილაგაძეს** დავუკავშირდით.

"ახალ გამგებელთან მართლაც გვქონდა შეხვედრა. აშკარად გამოჩნდა, რომ ის დაინტერესებულია ფეხბურთით. მან კარგად იცის, რომ ბოლნისელები ფეხბურთით ცხოვრობენ. გამგებელი ამ ხალხის სიყვარულს აფასებს და უნდა "სიონი" კვლავ ამბიციური გუნდი იყოს. კლუბთან ურთიერთობაში დეტალებია გასარკვევი და ახლა სწორედ ამ პროცესში ვართ. გიორგი დაუშვილთან სამშაბათს კიდევ ერთი შეხვედრა გვექნება და ბევრი რამ გაირკვევა".

სილაგაძემ გვითხრა ისიც, რომ "სიონთან" კონტრაქტი დაუმთავრდათ **ვიტალი დარასელიას, ლევან კორღალიძეს, ლევან სილაგაძეს, სერგი ორბელაძეს. არჩილ ალავიძეს** 2 ივლისს ეწურება ხელშეკრულების ვადა, თუმცა "ამერში" მისი ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია.

რაც შეეხება მწვრთნელის საკითხს, **კახა ცხადაძეს** კლუბთან კვლავაც მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და სწორედ მასთან ერთად გადაწყდება სხვადასხვა ფეხბურთელებით გუნდის გაძლიერების საკითხი.

"სიონის" ვიცე-პრეზიდენტს კამერუნელ ლეგიონერებზეც დავეკითხეთ. როგორც ირკვევა, **ერიკ რომეო ჩასემი, ბოიომო ფრიდოლინი და გასტონ ევოჩე** შვებულებაში არიან და მათაც სამშობლოს დროებით მიაშურეს. აფრიკულ ტრიოს კვლავაც მოქმედი კონტრაქტები აკავშირებთ ბოლნისურ კლუბთან. ჩასემით "ზესტაფონის", "ამერისა" და "ოლიმპის" გარდა, ბაქოს "ნეფთჩი" და ბულგარული "ლიტექსია" დაინტერესებული და კამერუნელი ფორვარდის ტრანსფერზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ევოჩეს გადაბირება კი უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ახალციხის "მესხეთს" სურს.

"მართალია, რამდენიმე ფეხბურთელი დაგვტოვებს, მაგრამ სანაცვლოდ, სხვებს დავიმატებთ. სასურველი ფეხბურთელების სიას კი კახა ცხადაძესთან ერთად შევიმუშავებთ. გასახარია, რომ ბოლნისის ახალი გამგებელი გიორგი დაუშვილი დაინტერესებულია ფეხბურთით და უნდა, "სიონი" ძლიერი გუნდი იყოს. ასე რომ, ახალ სეზონში ბოლნისელებს კვლავაც ამბიციური გუნდი ეყოლებათ", - საუბრის ბოლოს გვითხრა "სიონის" ვიცე-პრეზიდენტმა.

დავით ცაბაძე



რევაზ გოცირიძე

ამერი

გოცირიძე ამერს მიუახლოვდა

საქართველოს თასის ორგზის მფლობელმა თბილისის "ამერმა" "ბათუმიდან" **კობა შალამბერიძე** და "სიონიდან" **არჩილ ალავიძე** რომ დაიმატა, ადრეც გაუწყეთ. ახალი კი "ამერში" ის არის, რომ გუნდში კიდევ ერთი ახალწვეული მივიდა.

26 წლის ფორვარდი **რევაზ გოცირიძე** საქართველოს ჩემპიონი პირველად 2003 წელს გახდა, მაშინ ის "ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა, მეორედ კი გოცირიძემ ეს ტიტული წლეულს მოიპოვა რუსთავის "ოლიმპში".

"ამერმა" დამდეგი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო და გოცირიძეც ამერელებთან ვარჯიშობს. "ოლიმპიდან" წამოსულ ფორვარდს "ამერთან" კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია - კლუბსა და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკება გრძელდება.

"ამერს" თავდასხმაში, მაინც და მაინც, არ უჭირს, თუმცა **ბესიკ ჩიმაკაძის** ტრავმის შემდეგ, რომელიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე დაშავდა და რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს, გუნდი სამი ფორვარდის ამარა დარჩა - **სულიკო დავითაშვილი, რატი წინამძღვრიშვილი** და **დიმიტრი ტატანაშვილი**.

მოკლედ, "ამერი" და გოცირიძე ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ამერელები 12 ივნისიდან ბორჯომში გააგრძელებენ სეზონისწინა მზადებას და ალბათ, იქ გოცირიძესაც წაიყვანენ."ამერში" კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს - ბოლნისის "სიონიდან" წამოსული შემტევი **ბაჩანა ცხადაძე**.

დავით თავართქილაძე

ტორპედო

სპონსორის ძიებაში

რამდენიმე წლის წინათ, ქუთაისის „ტორპედო“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული და კარგი ინფრასტრუქტურის მქონე გუნდი იყო. ქუთათურებმა სამჯერ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს, ორჯერ კი თასის მფლობელები გახდნენ. შემდეგ გუნდს ვალები დაუგროვდა, „არგო მარ ოილის“ პრეზიდენტმა **ზურაბ ხინიკაძემ** „ტორპედოს“ დაფინანსება შეწყვიტა და ქუთაისური გუნდი მძიმე ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა. ინფრასტრუქტურაც თანდათან მოიშალა, „ტორპედო“ ერთ ერთ აუტსაიდერად გადაიქცა და უკვე ჩემპიონობის ნაცვლად გადარჩენისთვის უწევდა ბრძოლა. მას შემდეგ, „ტორპედოსთან“ დაკავშირებით, რამდენიმე ინვესტორზე იყო საუბარი, თუმცა საბოლოოდ ყველა ვარიანტი ჩაიშალა. შარშან აქციათა 100% კომპანია „სამმა ტუზმა“ შეიძინა, თუმცა მეორე წრეში გუნდის დაფინანსებაზე რატომღაც უარი განაცხადა. ასე დარჩა ქუთაისური გუნდი ბედის ანაბარა და ახალი სპონსორის მოლოდინში. ტორპედოელებს **რევაზ ძოძუაშვილის** თაოსნობით პირველ წრეში იმდენი ქულა ჰქონდათ , რომ მშიერ-მწყურვალი გუნდი მე-7 ადგილს ქვემოთ „ვერაფრით“ ჩამოქვეითდა, თუმცა მომავალ სეზონში ასეთი გუნდით ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან რომ გაჭირდება, ყველასთვის ნათელია. „ტორპედოს“ ხელმძღვანელები მთელი სეზონის განმავლობაში სპონსორის ძიებაში იყვნენ. ისინი სხვადასხვა მიმართულებით აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. მცდელობამ უკვე შედეგიც გამოიღო. ქუთაისური გუნდით რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი **ბადრი კაკაბაძე** დაინტერესდა. სხვათა შორის, ამ ადამიანმა ქუთაისში უკვე რამდენიმე ობიექტი შეიძინა, მათ შორის სასტუმრო „ქუთაისი“. ძირითადად ის საბანკო ბიზნესში მოღვაწეობს და თუ „ტორპედოს“ სპონსორობა ითავა, სავარაუდოდ, ქუთაისურ გუნდს ლიდერის სტატუსის დაბრუნება არ გაუჭირდება. ბადრი კაკაბაძესთან მოლაპარაკებები რომ მიმდინარეობს ეს „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა **დავით ჯანაშიამაც** დაგვიდასტურა: *„საუბარი მართლაც არის და მოხარული ვიქნებით თუ „ტორპედო“ შეძლებული ბიზნესმენის ხელში აღმოჩნდება. ჯერჯერობით, გუნდი შვებულებაშია, მოვლენების განვითარებას ველოდებით, რომ შემადგენლობა შევკრიბოთ. იმედია, სპონსორის საკითხი დადებითად გადაწყდება და „ტორპედო“ თავის ტრადიციებსა და სახელს დაიბრუნებს.“*



დავით ჯანაშია

მოლაპარაკებებში ქალაქის ხელმძღვანელობაცაა ჩართული, 16 ივნისს ბადრი კაკაბაძე და „ტორპედოს“ ხელმძღვანელები ერთმანეთს შეხვდებან და გუნდის სპონსორობასთან დაკავშირებით საბოლოო პასუხიც იმ დღეს გახდება ცნობილი.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ინტერვიუ ილია გურჯანაძესთან

ახლა უფრო გამოცდილები ვართ

უმაღლესში აუტსაიდეროზას, პირველში ლიდეროზა ჯობია

ორი სეზონია, აგარის „მეშაქრემ“ სერიოზული მიზნებით შემოაბიჯა ქართულ ფეხბურთში და ბევრისთვის მოულოდნელად, პირდაპირ უმაღლეს ლიგაზე განაცხადა პრეტენზია. აგარელებმა შარშან ფლეი ოფში წააგეს, ნლეულს კი სეზონის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე მესამე ადგილზე იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ ფლეი ოფს მიღმა დარჩნენ. ხელისმოცარვასა და სამომავლო გეგმებზე „ლელო“ ესაუბრა „მეშაქრეს“ პრეზიდენტს, ილია ბურჯანაძეს, რომელსაც თავდაპირველი ჟინი არ განელებია და კლუბის მთავარი სპონსორის „ქართული შაქარის“ დახმარებით, ახალი სეზონიდან აგარელებს კიდევ ერთხელ მომართავს უმაღლესი ლიგისთვის საბრძოლველად.



ილია ბურჯანაძე

- როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის გამოსვლას?

- პირველი წრე ნორმალურად განვლო გუნდმა. ყველაფერი დაგეგმილის მიხედვით მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის შესვენების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელმა საკუთარი სურვილით დატოვა კლუბი, რამდენიმეც ჩვენ გავუშვით - „მეშაქრემ“ მაინც დამაჯერებელად ითამაშა. როგორც ხედავთ, ორი სეზონია, ერთთავად ლიდერებში ვტრიალებთ. ამ ხნის განმავლობაში სერიოზული, სამომავლოდ გამოსადეგი გამოცდილება დავაგროვეთ. საერთო ჯამში კი ეს სეზონი დამაკმაყოფილებელი იყო.

- მაინც, რა მოხდა ბოლო სამ ტურში, რატომ ჩაუვარდა „მეშაქრეს“ საპლეიოფო შანსი?

- ბოლო ტურებში საკმაო სიმჭიდროვე იყო ლიდერთა ჯგუფში. მესამე ადგილისთვის ბრძოლის თითქმის თანაბარი შანსი ჰქონდა ერთდროულად რამდენიმე გუნდს. კონკრეტულად ჩვენ კი დასკვნით ეტაპზე უხერხული მეტოქეები გვერგო, რასაც დაერთო გახშირებული ტრავმები და, რაც მთავარია, რიგი პრობლემებისა, რომლებმაც სეზონის შუაში გეგმები შეგვაცვლევინა. მართალია, ვიბრძოდით, მაგრამ გადათამაშების მიღმა დარჩენის გამო ტრაგედია არ შეგვიქმნია.

- კერძოდ რა პრობლემები იყო?

- გუნდი აღარ იყო უმაღლესი ლიგისთვის სათანადოდ მზად. ჩვენ არ გვინდა გვყავდეს კოლექტივი, რომელიც ზედა ლიგაში აღზევდება და მერე მხოლოდ ამ ლიგაში დარჩენა-გადარჩენის გზების ძიებაში იქნება. ამას ჯობს ქვედა ლიგაში იყო ლიდერი და ყველასთვის ანგარიშგასაწევი მოწინააღმდეგე.

- ამ თვალსაზრისით, შარშანდელი საუმაღლესლიგო პრეტენზიაც ნაადრევი ხომ არ იყო? საერთოდაც, ხომ არ ჯობია, „მეშაქრე“ ჯერ მომწიფდეს ქართული გუნდების ელიტაში შესასვლელად?

- მხოლოდ ამბიციის გამო, არც შარშან გვიბრძოლია. გუნდს ეტყობოდა, რომ მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეეძლო. აწდასრულებული ჩემპიონატის მეორე წრემდეც ნორმალურად მიდიოდა საქმე, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული... ახლა, გუნდის მთავარ სპონსორ, „ქართულ შაქარს“ ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს და საქმისადმი მათი მიდგომა სამომავლოდ უკეთესის იმედს გვაძლევს.

- რა შეიცვლება „მეშაქრესთვის“?

- დღესდღეობით, სწორედ ამის თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. მთავარია, რომ „ქართული შაქარის“ ახალი ხელმძღვანელობა საკმაოდ გულისხმიერია ჩვენს მიმართ. სპონსორთან ურთიერთობა არა უწინდელივით ეტაპობრივი, არამედ გათვლილი და მონესრიგებული გვექნება. უმაღლესი ლიგისათვის ბრძოლას ისევ გავაგრძელებთ, თანაც უფრო უკეთ შემზადებულები.

- საფუძვლიანად გადაახალისებთ გუნდს?

- შემადგენლობის შეცვლას ვფიქრობთ, ხელმძღვანელობისას ნაკლებად. სამწვრთნელო შტაბის ძირითადი ღერძი, ალბათ, შენარჩუნდება. ეს ხალხი დილეტანტები არც მანამდე ყოფილან და მით უმეტეს, ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი ვისწავლეთ თითოეულმა ჩვენგანმა.

- რა მდგომარეობაა ადგილზე ბავშვთა ფეხბურთში? მუდმივად მოწვეულ ფეხბურთელთა იმედად აპირებს „მეშაქრე“ ასპარეზობას?

- „მეშაქრეს“ ჩამოყალიბებამ დადებითად იმოქმედა ადგილზე ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე. ამჟამად ბავშვთა სამი ასაკობრივი გუნდი გვყავს, რომელებიც ორი წელიწადია თავისი ასაკის პირველობებზეც თამაშობენ. „მეშაქრეს“ უკეთესი მომავალი, ცხადია, ადგილობრივ ბავშვთა ფეხბურთსაც წაადგება. ბავშვთა გუნდებში მიმდინარე მუშაობა გვაფიქრებინებს, რომ სამომავლოდ გუნდი დიდწილად ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილებით დაკომპლექტდება.

ვასილ ბალახაძე
აბარიდან

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ქართული ლეგიონი

აბრამიძე ხაზარმა ენაში მოაჭყუა

მაგათ ეგონათ, ნეფთჩიში მივდიოდი, არადა, ანჟიში გადავედი



აზერბაიჯანში თურმე ერთი ამბავია ატეხილი, **ვალერი აბრამიძის** "ხაზარიდან" მახაჩყალის "ანჟიში" გადასვლასთან დაკავშირებით, რაც აზერბაიჯანული ინტერნეტგაზეთ "ტრენდიდან" შევიტყვეთ.

"ლენქორანის "ხაზარის" ქართველი მცველი ვალერი აბრამიძე კლუბიდან ვერ იღებს გათავისუფლების ფურცელს. აბრამიძემ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ აზერბაიჯანული ენის არცოდნამ დააღალატა.

"მე მითხრეს, რომ ხელშეკრულება რეალურად ორწლიან კონტრაქტზე მომანერინეს. ჩემი შეცდომა ისაა, რომ შეთანხმება თარჯიმნის გარეშე გავაფორმე და ადამიანს სიტყვაზე ვენდე. ახლა ლენქორანის "ხაზარში" შეიტყვეს, რომ გუნდის შეცვლა გადავწყვიტე, მახაჩყალის "ანჟისთან" შევთანხმდი და ამ დროს მითხრეს, რომ თურმე ორწლიანი კონტრაქტი მაქვს და არ მიშვებენ, შემდეგ წელს კი ხელფასს შემიმცირებენ. მე შევატყობინე, რომ უკეთეს შემთხვევაში, "ხაზარში" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშებდი. გუნდის მწვრთნელმა აგასალიმ მირჯავადოვმა კი მიპასუხა, რომ ახალ გუნდს აყალიბებს და ასე მცირე ხნით ჩემი სამსახური არ აწყობდა. თუკი კლუბიდან არ გამიშვებენ, იძულებული გავხდები, ზემდგომ საფეხბურთო ინსტანციებს მივმართოთ - გაგულისება ვერ დამალა აბრამიძემ.

აბრამიძე დროებით, უეფას თასზე "ნეფთჩიში" გამოსვლის შესაძლებლობაც არ გამორიცხა, შემდეგ კი "ანჟიში" ვითამაშებო".

ხომ იცით, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო? "ხაზარის" გენერალური დირექტორი **ტაისუნ ნადიროვი** ასე მოიქცა და "ტრენდთან" ლეგიონერი გააკრიტიკა: "ვალერი უკვე დიდი ადამიანია და სანამ მსგავს განცხადებას გააკეთებდა, კარგად უნდა დაფიქრებულიყო. მას გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, ჩვენ კი ბავშვები არ ვართ და არავის მოტყუებას ვპირებთ. თუკი მას "ხაზარში" თამაში აღარ სურს, ტრანსფერზე შეგვეძლო დაგვყენებინა და ასეც მოვიქეცით., იგივე შეგვეძლია ვთქვათ ილგარ გურბანოვზე, ისიც ტრანსფერზეა დაყენებული".

სხვათა შორის, გურბანოვსაც ეგონა, რომ კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, და მასაც ორწლიანი კონტრაქტი აუფრიალეს.

საინტერესო კი ისაა, რომ 1 ივნისს "ხაზარის" მწვრთნელმა მირჯავადოვმა აზერბაიჯანულ სააგენტო "აპასთან" გულისტკივილით ისაუბრა აბრამიძის წასვლაზე, დიდი დანაკლისია ჩვენთვისო და ა.შ. მაშინ ორწლიანი შეთანხმება არც გახსენებია. გურბანოვის მაგალითით კი აშკარად ჩანს, რომ "ხაზარში" მოთამაშეთა კონტრაქტების ფასსიფიცირება უცხო მოვლენა არაა.

ვითარებაში გასარკვევად თავად ვალერი აბრამიძეს დავუკავშირდით და აღმოჩნდა, რომ მას პრობლემის მოგვარების იმედი აქვს:

- ჩემი პირადი კონტრაქტი "ხაზართან" აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციაში უნდა წარედგინათ და ეტყობა, მაშინ მოხდა ეს გაუგებრობა. გამორიცხულია "ხაზარში" არ დავრჩები.

- მართალია, თითქოს დროებით ევროთასებზე "ნეფთჩიში" ითამაშებ?

- საიდან მოიტანეთ?

- აზერბაიჯანულ გაზეთ "ტრენდში" შენი სიტყვები იყო მოყვანილი.

- ჩემი სიტყვები? ასეთი რამ არც მიფიქრია, სისულელეა, გამორიცხეთ. ეს მე არ მითქვამს. ყოველგვარი გადაჯდომების გარეშე, "ანჟიში" ვითამაშებ. ახლა ბაქოში უნდა ჩავიდე და "ხაზართან" პრობლემები მოვაგვარო. არა მგონია, სერიოზული წინააღმდეგობა შემიქმნან.

- "ხაზარის" გენერალურმა დირექტორმა ნადიროვმა თქვა, რომ ტრანსფერზე გაყენებს, რადგან თამაში აღარ გსურს. ანუ, კონტრაქტი ორწლიანი ჰქონდაო.

- დამიჯერეთ, მე ნადიროვთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს და პრობლემას არ შემიქმნის. ახლა მივხედი, "ნეფთჩი" რატომ დამიწერეს. "ხაზარსა" და ბაქოელებს შორის ცუდი ურთიერთობაა და ლენქორანელებს ეგონათ, რომ მე არა "ანჟიში", არამედ მათ კონკურენტ "ნეფთჩიში" გადავიდოდი და ორწლიან კონტრაქტზე ამიტომ ალაპარაკდნენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ გუნდი გათავისუფლების ფურცელზე პრობლემას არ შემიქმნის.

მერაბ მამულაშვილი

მოსალოდნელი ტრანსფერი

ბათუმში თუ ისევ ბელარუსში?

ბელარუსული "მტზ რიპოდან" დაბრუნების შემდეგ, ფორვარდმა **გია თოდუამ** ზუგდიდს მიაშურა და "მგლების" მაისურა მოირგო და გუნდის უმაღლეს ლიგაში აღზევებაში თავისი წვლილი შეიტანა. ფეხბურთელმა, რომელსაც თამაშების ნაწილი თავდასხმის გარდა ნახევარდაცვაშიც მოუწია, პირველ ლიგაში 12 გოლი გაიტანა. გასული სეზონის დასრულებასთან ერთად, გია თოდუას ზუგდიდურ კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა. ბუნებრივია, მეგრელებს თოდუა არ ეთმობოდათ და ხელშეკრულების გაგრძელებაზე მოლაპარაკებებიც წარმართეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და "მგლები" დატოვა.

"მგლებთან" პირობებზე ვერ შევთანხმდით და გუნდი უკვე დავტოვე. თავისუფალი აგენტი ვარ და ახალ გუნდში გადასვლაც არ გამიჭირდება", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში გია თოდუამ.

ჩვენი ინფორმაციით, ფორვარდის გადაბირებით "ბათუმია" დაინტერესებული. თუმცა თოდუას უცხოური ვარიანტიც ჰქონია.

"მეც ასე ვიცი, "ბათუმი" ჩემი გადაბირებით ყოფილა დაინტერესებული. სამშობლოში დაბრუნებამდე ბელარუსში ვთამაშობდი და რამდენადაც ვიცი, იქაურ კლუბებზეც მიდის საუბარი. ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა მალე გაირკვევა", - გვითხრა თოდუამ.

დავით ცაბაძე

ორი პენალტი და ორი გოლი

გიგიაძე ბომბარდირობას კარგავს

რუსეთისა და უკრაინის პირველობა - აი, ის რაც შეგვრჩა ქართული ლეგიონის ერთ დროს ვრცელი მიმოსახილველი უქმეებისგან. უკრაინის ჩემპიონატიც მალე დასრულდება (ბოლო ტურიღა დარჩა) და დავრჩებით რუსეთის პრემიერლიგის ამარა. რუსეთში გოლი გაიტანა დავით მუჯირმა, თუმცა გუნდს ვერ მოაგებინა. ქართველმა თავი უკრაინაშიც გამოიჩინა, ირაკლი მოდებაძემ "მეტალურგისთვის" გაიტანა. ორივე შემთხვევაში ჩვენმა ლეგიონერებმა პენალტები გამოიყენეს.

კახა ალადაშვილი

მუჯირი მარცხს არ შეუშინდა

დავით მუჯირის "კრილია" "ყუბანს" მასპინძლობდა და გამარჯვების შემთხვევაში ლიდერი ხდებოდა, სამარული გუნდი დებიუტანტთან დამარცხდა - 2:3. არადა, როცა დავით მუჯირმა მატჩის 52-ე წუთზე პენალტის ნიშნულიდან სეზონში მესამე გოლი გაიტანა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ თამაშს სტუმრები მოიგებდნენ. "კრილია" 2:0 დაწინაურდა და შემდეგ... სამი გოლი გაუშვა. *"ის, რომ მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე გავდიოდით თამაშისას აღარავის გვახსოვდა. ეს იყო ჩვეულებრივი კალენდარული მატჩი, რომელშიც 2:0-ს ვიგებდით. სამწუხაროდ, დავმარცხდით. ასეთი რამ ფეხბურთში ხდება. ახლა წაგებიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და შემდეგი მატჩისთვის მოვემზადოთ. წინა ტურში ჩვენ გავიმარჯვეთ, ახლა - არა. ჩემპიონატში ჯერ 12 ტურია გასული და არაფერი დაგვიკარგავს",* - განაცხადა სამარელთა ქართველმა კაპიტანმა, რომელიც მარცხის მიუხედავად ორივე გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ტომსკში ყაზანის "რუბინი" 0:2 დამარცხდა, საქართველოს ნაკრების მატჩებმა ყველაზე მეტად ეს რუსული კლუბი დაზარალა, ჯერ **ნუკრი რევიშვილი** დაიმტვრა, შემდეგ კი - **ლაშა სალუქვაძე**, ასე რომ, ყაზანელები ტომსკში ქართველი ლეგიონერების გარეშე ჩავიდნენ. მოსკოვში ნალჩიკის "სპარტაკი" ახლოს იყო სენსაციასთან, **რიკარდოს** დუბლის წყალობით კავკასიელები "სპარტაკს" 2:0 ამარცხებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ორი გოლი გაუშვეს - 2:2. **ალეკო ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **ლევან გვაზავა** სათადარიგო იყო. ალეკოს დაცვის ცენტრში ძალზე კარგად უთამაშია. **გოგიტა გოგუას** ტურისწინა შეკრება მთლიანად გაუცდა, რადგან სამშობლოში იმყოფებოდა და რუსეთის ვიზის გაგრძელების საკითხს არკვევდა. მან მხოლოდ **გაჯი გაჯიევის** ღია ვარჯიშს ჩაუსწრო. ასე რომ, "დინამოსთან" მის გამოჩენას არც ველოდით და ცოტა გასაკვირიც კი იყო, როცა მატჩის 82-ე წუთზე გაჯიევმა მოედანზე გოგიტა შეუშვა. თუმცა ყველაფერი მანამდე მოხდა და გოგუას გამოსვლამ აღარაფერი შეცვალა - 1:1. დღეს **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივი" სანკტ პეტერბურგში "ზენიტს" ესტუმრება. მატჩისთვის ასათიანიც ემზადება, თუმცა ბოლო ცნობით, მისი თამაში მაინც ნაკლებად სავარაუდოა.

12 ტურის შემდეგ რუსეთში ცსკა და მოსკოვის "სპარტაკი" 20-20 ქულით ლიდერობენ, 19-19 ქულა აქვთ "კრილიასა" და "ზენიტს" (ერთი მატჩით ნაკლები), მოსკოვის "ლოკომოტივი" 10 მატჩიდან 16 ქულით მეექვსეა. "რუბინსა" და "სატურნს" 11-11 ქულა აქვთ და მეთოთხმეტე და ბოლოსწინა ადგილებზე იმყოფებიან.

ძირითადი დუბლების წინააღმდეგ: 5:5

ილია კანდელაკის სტაბილური თამაში "შახტარის" წინააღმდეგ კიევის "დინამოს" ქართველობას შეეწია და ჩვენი ტრიოს გუნდი პირველ ადგილზე გაიჭრა.. თუმცა ეს ყველაფერი დუბლების ჩემპიონატში ხდებოდა...

კიევის "დინამო" უკრაინის ჩემპიონია. ამაში ეჭვი არც არავის ეპარებოდა. უბრალოდ, ბოლოსწინა ტურში ტიტული დედაქალაქურმა კლუბმა ოფიციალურად გაიფორმა. "დინამომ" "კარპატი" 3:1 დაამარცხა, თუმცა ქართველ ლეგიონერებს გამარჯვებაში წვლილი არ მიუძღვით. ქართულმა ტრიომ ტრადიციულად წინადღით ითამაშა, დუბლების მატჩში, რომელიც 4:2 მოიგო "დინამომ". **კახა ალადაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, **დავით იმედაშვილი** 71-ე წუთზე შევიდა, ხოლო **ოთარ მარცვალაძე** - 76-ეზე. მეორე გოლი ამ მატჩში კახას ჩაწოდების შემდეგ გავიდა (ჩერნატი). მარცვალაძის სახიფათო დარტყმა კი სტუმართა გოლკიპერმა მოიგერია. ამ მოგებით "დინამოს" დუბლებმა ლიდერობა მოიპოვეს. "ჩერნომორეცი" ოდესაში 0:0 დაუზავდა დონეცკის "შახტარს", ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია **ილია კანდელაკს**. მან დუბლების მატჩში ითამაშა, რომელიც მოულოდნელად შავიზღვისპირელთა გამარჯვებით - 6:0 დასრულდა. დუბლებში კანდელაკმა შეუცვლელად ითამაშა.

ზაპოროჟიეში "მეტალურგმა" 3:1 აჯობა "ხარკოვს". ძირითადში გამოჩნდა **ირაკლი მოდებაძე**, მან უკვე მეხუთე წუთზე პენალტი მოიპოვა, რომელიც თავად გამოიყენა და გუნდი 1:0 დააწინაურა. 74-ე წუთზე მოდებაძის ნაცვლად **ბორშე** შემოვიდა. არ უთამაშია გუნდის ქართველ კაპიტან **დავით კვირკველიას**. მოდებაძემ სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა. **ვასილ გიგიაძე** ბევრს ეცადა, მაგრამ სანუკვარი გოლი ვერ შეაგდო "სტალთან" მატჩში (1:0), მეორე ტაიმში ის სამჯერ დაემუქრა სახიფათოდ სტუმართა კარს, ერთხელ ბურთი ძელსაც გაარტყა, ერთხელ აცილა და ერთხელაც მეკარემ იყოჩაღა. ამასობაში გიგიაძის კონკურენტმა ბომბარდირობისთვის ბრძოლაში **გლადკიმ** ერთი გოლი გაიტანა და 12 გატანილი ბურთით დაწინაურდა. "კრივბასელთა" რიგებში არ უთამაშია **ლადო ბურდულს**, თუმცა ის მთლად უთამაშებელიც არ დარჩენილა - დუბლებში იასპარეზა. "ხარია" შინ 0:3 დამარცხდა "დნეპრთან" მასპინძელთა შორის პირველი ტაიმი ითამაშა **გიორგი ჭელიძემ**. "დნეპრის" შემადგენლობაში არ უთამაშია **კანკავას**, რომელიც სათადარიგო იყო. დონეცკში "მეტალურგის" და "ვორსკლას" მატჩი 0:0 დასრულდა, გოლის გატანა ვერც 63-ე წუთზე შემოსულმა **გიორგი დემეტრაძემ** შეძლო. კიევის "არსენალი" სტუმრად 1:4 დამარცხდა "ილიჩივეცთან" წაგებულთა რიგებში 75 წუთი ითამაშა **ლაშა ჯაკობიამ**. გამარჯვებულთა შორის არ ყოფილა **გიორგი ციმაკურიძე**. ჯამში 13 ქართველი "უკრაინელიდან" (ჩვენი ლეგიონი ერთით შემცირდა - ბარაბაძე "დნეპრიდან" წამოვიდა) ხუთმა ძირითად ლიგაში ითამაშა, ამდენივემ - დუბლებში, სამს კი საერთოდ არ უთამაშია.

ნიკოლოზ ნეშარიძე

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სულ სტატ.
უკრაინა				
ვიქტორ ლიგა, XXXIX ტური				
კახა ალადაშვილი	დინამო-კარპატი	3:1	არ უთამაშია, დუბლები	6 თ, 0 გ.
ოთარ მარცვალაძე	დინამო-კარპატი	3:1	არ უთამაშია, დუბლები	3 თ, 0 გ.
დავით იმედაშვილი	დინამო-კარპატი	3:1	არ უთამაშია, დუბლები	4 თ, 0 გ.
ვაჟა კანკავა	ზარია-დნიპრო	0:3	არ უთამაშია, სათადარიგო	23 თ, 4 გ.
რევაზ ბარაბაძე	ზარია-დნიპრო	0:3	გუნდში აღარაა	3 თ, 0 გ.
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი-შახტარი	0:0	არ უთამაშია, დუბლები	17 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	მეტალურგი დ.-ვორსკლა	0:0	27 წთ (შეცვლაზე)	16 თ, 2 გ.
ლადო გურდული	კრივბასი-სტალი	1:0	არ უთამაშია, დუბლები	20 თ, 1 გ.
ვასილ გიგიაძე	კრივბასი-სტალი	1:0	90 წუთი	27 თ, 11 გ.
გიორგი ციმაკურიძე	ილიჩივეცი-არსენალი	4:1	არ უთამაშია	13 თ, 0 გ.
დავით კვირკველია	მეტალურგი ზ.-ხარკივი	3:1	არ უთამაშია	22 თ, 4 გ.
ირაკლი მოდებაძე	მეტალურგი ზ.-ხარკივი	3:1	74 წთ (შეცვალეს), 1 გოლი (პენ.)	21 თ, 4 გ.
გიორგი ჭელიძე	ზარია-დნიპრო	0:3	45 წთ (შეცვალეს)	11 თ, 1 გ.
ლაშა ჯაკობია	ილიჩივეცი-არსენალი	4:1	75 წთ (შეცვალეს)	14 თ, 3 გ.
რუსეთი				
პრემიერლიგა, XII ტური				
გოგიტა გოგუა	დინამო-სატურნი	1:1	8 წთ. (შეცვლაზე)	9 თ, 0 გ.
ნუკრი რევიშვილი	ტომი-რუბინი	2:0	არ უთამაშია, ტრავმა	2 თ, -2 გ.
ლაშა სალუქვაძე	ტომი-რუბინი	2:0	არ უთამაშია, ტრავმა	4 თ, 0 გ.
დავით მუჯირი	კრილია სოვეტოვი-ყუბანი	2:3	90 წთ. 1 გოლი (პენ.)	11 თ, 3 გ.
მალხაზ ასათიანი	ზენიტი-ლოკომოტივი	-	დღეს	0 თ, 0 გ.
ალეკო ამისულაშვილი	სპარტაკი მ.-სპარტაკი ნ.	2:2	90 წუთი	12 თ, 0 გ.
ლევან გვაზავა	სპარტაკი მ.-სპარტაკი ნ.	2:2	არ უთამაშია, სათადარიგო	9 თ, 0 გ.



კრისტიანო ლუკარელი

სამხდორია

მაძარი საქმეს ლუკარელით იწყებს

კვალიარელა 99 პროცენტით დარჩენილია, ერთი პროცენტი იუვენტუსისაა

"სამხდორიის" ახალი მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** დარწმუნებულია, რომ **ფაბიო კვალიარელა**, რომელსაც სერიოზული მთხოვნელი გამოუჩნდა, პირველ რიგში, "იუვენტუსის" სახით, გენუაში დარჩება და მომავალი სეზონისთვის კლუბს მაღალი მიზნების მიღწევაში დაეხმარება. მაგრამ მაძარი მარტო კვალიარელათი არ აპირებს დაკმაყოფილებას. მისი ამბიციური პროექტი "ლივორნოდან" ფორვარდ **კრისტიანო ლუკარელის** გადაბირებასაც ითვალისწინებს. ლუკარელის კარგა ხანია რთული ურთიერთობა აქვს როგორც უშუალოდ კლუბის ხელმძღვანელობასთან, ისე ტიფოზებთან და ამას მოწმობს ერთ-ერთი ბოლო საჩემპიონატო მატჩის შემდეგ მის მიერ გაკეთებული განცხადება: *"ეს სიტუაცია უკვე ძალიან მომბეზრდა. ჩემთვის ყველაფერი გარკვეულია: ამ სეზონის შემდეგ ლივორნოდან მივდივარ".*

ეს სეზონი კი კრისტიანომ ბრწყინვალედ ჩაატარა. 20 გოლით ის მეორე ადგილზე გავიდა ბომბარდირთა დავაში და მისი უდიდესი დამსახურებაცაა, რომ "ლივორნომ" ელიტაში ადგილი შეინარჩუნა. ვრცელდებოდა ხმები, რომ ლუკარელი, შეიძლება, პრემიერლიგაში გადასულიყო. ამბობდნენ კონკრეტულად "ტოტენჰემის" დაინტერესებაზეც, მაგრამ ამ ფრონტზე, ჯერჯერობით, ახალი არაფერია.

რაც შეეხება "სამხდორიას", როგორც წერენ, მაძარი პირადად ესაუბრა ლუკარელის და გენუაში გადასვლის აუცილებლობაში დაარწმუნა. მწვრთნელი ფორვარდს იმასაც შეჰპირებია, რომ "რეჯინიდან" მის ძმას, **ალესანდროსაც** წაიყვანს. ეს უკანასკნელი, ამჟამად მცველი, რეჯოკალაბრიაში სწორედ მაძარის შეგირდი იყო. მან კლუბი პრეზიდენტ **ალდო სპინელისთან** კონფლიქტის გამო დატოვა. კრისტიანოს შესაძენი ფასი კი, სავარაუდოდ, 6 მილიონი გირვანქაა.

მაგრამ მაძარის ისიც ესმის, რომ ამა თუ იმ ტრანსფერის ბედი მარტო მასზე არ არის დამოკიდებული, თუნდაც კვალიარელას მაგალითზე: *"ჩემი ნება რომ იყოს, ერთი წუთითაც არ ვიფიქრებდი მის დატოვებაზე. კლუბის ხელმძღვანელობა მარწმუნებს, რომ კვალიარელას დარჩენა 99 პროცენტით გადაწყვეტილია. ფეხბურთელს პირადად არ ვიცნობ, სამაგიეროდ, ვიცი, რომ ის დიდი პროფესიონალია და ამაზე ფაქტებიც მეტყველებენ. მოკლე ხანში მან ფანტასტიკურ პროგრესს მიაღწია. ვნახე მის მიერ იტალიის ნაკრების შემადგენლობაში გატანილი გოლებიც... მოკლედ, მომავალი კვირა ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს".*

კვალიარელას ყიდვა "იუვენტუსს" უნდა. როგორც ჩანს, იმ ერთ პროცენტს **რიკარდო გარონე** ("სამპის" პრეზიდენტი) სწორედ "ბებერ ქალბატონს" უნახავს.

იუვენტუსი

იაკუინტა და ალმირონი ძალიან მალე...

ტრეზეგე კონფლიქტით მიდის, მილიტოს გული ტურინისკენ მიუწევს

სერხიო ალმირონი და **ვინჩენცო იაკუინტა** ცოტა ხანში იუვენტუსელები გახდებიან. "ემპოლის" არგენტინელმა ნახევარმცველმა დიდებული სეზონი ჩაატარა. ტოსკანური კლუბი დიდწილად მასაც უნდა უმადლოდეს უეფას თასის საგზურის მოპოვებას. ალმირონი უნივერსალი შუახაზელია. მას საყრდენადაც შეუძლია თამაში და გამთამაშებლობაც კარგად ეხერხება. რაც შეეხება იაკუინტას, ეს უფრო ძველი ამბავია. ჯერ კიდევ აპრილში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მსოფლიო ჩემპიონმა ტურინულ გრანდთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. იმას, რომ "ბებერი ქალბატონი" უდინელი თავდამსხმელით ძლიერაა დაინტერესებული, კლუბის პრეზიდენტ **ჯოვანი კობოლი ჯილის** სიტყვებში მხოლოდ მინიშნებით ჩანს: *"დიახ, სადღაც ორ კვირაში ჩვენ ოფიციალურად განვაცხადებთ, რომ კონტრაქტი გავუფორმეთ ერთ-ერთ მთავარ იტალიელ ჩემპიონს".*

"იუვეს" ახალი დამრიგებელი **კლაუდიო რანიერი** იაკუინტას დიდი ენთუზიაზმით ელოდება. ამას გარდა, მას ალმირონის გადაბირების იდეაც ხიბლავს. ამ უკანასკნელით "მილანიცაა" დაინტერესებული, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ფეხბურთელსაც ტურინში ურჩევნია წასვლა. "როსონერის" ნახევარდაცვაში მძაფრი კონკურენციაა. ალმირონი შიშობს, რომ **კარლო ანჩელოტის** ხელში სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა ექნება.

"იუვესა" და "ემპოლის" შორის მოლაპარაკებები ბოლო სტადიაშია. ახლა ის უნდა გაირკვეს, როგორ აწყობს ტოსკანურ კლუბს - მარტო ფული თუ ტურინელთა ახალგაზრდა ვარსკვლავები? ყოველი შემთხვევისთვის, "იუვენტუსი" მზადაა, "ემპოლის" **მატეო პარო, სებასტიან ჯოვინკო** და **რეი ვოლპატო** დაუთმოს.

"ქალბატონისთვის" ახალი ფორვარდის აყვანა კიდევ უფრო აქტუალური ხდება. როგორც ჩანს, **დავიდ ტრეზეგეს** ტურინული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. მასსა და კლუბს შორის უკვე დაწყებული იყო მოლაპარაკება კონტრაქტის (რომელიც 2008 წელს იწურება) გაგრძელებაზე, მაგრამ გუშინდელი ამბების შემდეგ, ამ მოლაპარაკებას პერსპექტივა ეკარგება. სწორედ გუშინ, სერია B-ს ბოლო მატჩის წინ, "იუვეს" პრეზიდენტმა კობოლი ჯილიმ საჯაროდ გააფრთხილა ტრეზეგე, რომ "ინტერში" გადასვლისგან თავი შეიკავოს. ტურინელმა ბოსმა, ეტყობა, ჭკუა ისწავლა და აღარ უნდა, გაიმეოროს შარშანდელი შეცდომა, როცა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** "ინტერს" დაუთმო: *"გასულ ზაფხულს სიტუაცია დღევანდელისგან რადიკალურად განსხვავებული იყო, - აცხადებს კობოლი ჯილი, - დღეს ჩვენ აღარ ვაპირებთ კონკურენტები გავაძლიეროთ".*

ის, რომ ტრეზეგე "ინტერთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ამაზე აქამდე არაფერი თქმულა. პირველად, ამას "იუვენტუსის" პრეზიდენტის კომენტარიდან ვიგებთ. როგორც ჩანს, ეს კონტაქტები მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ტრეზეგე კი, ბოსის განცხადების გამო, აღშფოთებას ვერ მალავს. "სპეციასთან" გუშინდელი მატჩის (რომელშიც ერთი გოლი ფრანგმა მიითვალა) შემდეგ, დავიდმა პრეზიდენტს საკმაოდ მკვახედ უპასუხა და ესეც დააყოლა: "აქედან მივდივარ"!

■ ■ ■

"სარაგოსის" არგენტინელი მცველი **გაბრიელ მილიტო** "იუვენტუსში" გადასვლის სურვილს ამხელს. უკვე თვეებია, "ვეკია სინიორა" ამ ფეხბურთელითაა დაინტერესებული, მაგრამ საქმე ამაზე იქეთ არ წასულა. ახლა კი ტურინელებმა ფეხბურთელისგან მნიშვნელოვანი "მესიჯი" მიიღეს - მილიტოსგან თანხმობა გარანტირებულია. ესპანურ გამოცემა as-ს "სარაგოსის" მწვრთნელ **აგაპიტო იგლესიასის** სიტყვებიც მოჰყავს - მილიტომ გამიმხილა, რომ "იუვენტუსში" გადასვლა უნდაო...

რა დგას სურვილის იქეთ? არაგონელებს მცველთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვთ გაფორმებული. იმავე კონტრაქტში წერია, რომ მილიტოს გამოსასყიდი თანხა 20.4 მილიონი გირვანქაა, თუმცა "იუვეს" შეთავაზება 10.8 მილიონს არ სცდება. როგორც ხედავთ, განსხვავება ძალიან დიდია. ბოლო ინფორმაციით, ტურინული მხარე "სარაგოსას" მალე ახალი წინადადებით მიმართავს. ცნობისთვის, მილიტო წარმოშობით იტალიელია. მისი ძმა უკვე თამაშობს იტალიაში - **დიეგო მილიტო** "ჯენოას" ღირსებას იცავს. გენუურმა კლუბმა, "ნაპოლისთან" ერთად, გუშინ სერია A-ს საგზური მოიპოვა.

და კიდევ: შესაძლოა, არგენტინელი მცველის შეძენის სურვილი **რობერტ კოვაჩთან** კონტრაქტის გაწყვეტას უკავშირდებოდეს. ვეტერანმა ხორვატმა ზაგრების "დინამოს" მიაშურა. კოვაჩის ტურინულ კონტრაქტში კიდევ ორი წელიწადი იყო დარჩენილი, მაგრამ 33 წლის მოთამაშისთვის ცხადი გახდა, რომ "იუვენტუსის" ახალ პროექტში მისი ადგილი ვერ მოინახა. ზაგრებში კოვაჩის წლიური ანაზღაურება 1.3 მილიონი გირვანქა იქნება. შეგახსენებთ, რომ ექსბაიერნელი "იუვეში" 2005 წელს, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. პირველ სეზონში მან მხოლოდ 18 მატჩი ჩაატარა, სერია B-ს მიმდინარე კამპანიაში კი მისი მონაგარი 17 შეხვედრას შეადგენს. სხვათა შორის, ბერლინში დაბადებულ კოვაჩს ხორვატულ კლუბში არასოდეს უთამაშია.

სერხიო ალმირონი



ლუიჯი დელ ნერი

ატალანტა

დელ ნერი ბერგამოში

"კიევოდან" წასული **ლუიჯი დელ ნერის** უმუშევრობამ სულ რაღაც ერთ კვირას გასტანა. "მფრინავ ვირს", რომელმაც პატარა ვერონულ კლუბთან ერთად 2000 წელს სასწაული მოახდინა, ბერგამოში დაუძახეს და გუშინ "ატალანტის" მთავარ მწვრთნელადაც დაამტკიცეს. ლომბარდიელები ახალ დამრიგებელს ოფიციალურად დღეს წარადგენენ და იქვე, ორწლიან კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

"ატალანტა" ახალ მწვრთნელს **სტეფანო კოლანტუონოს** "პალერმოში" გადაბარგების დღიდან ეძებდა. ვაკანტური პოსტის დასაკავებლად სხვა ცნობილ სპეციალისტებსაც მოიაზრებდნენ, მაგრამ ბერგამოელთა პრეზიდენტმა არჩევანი სწორედ დელ ნერიზე შეაჩერა. **ივან რუჯერი** კმაყოფილია, რომ კლუბის გადაწყვეტილებას ტიფოზებიც ენთუზიაზმით შეხვდნენ.

56 წლის დელ ნერიმ სამწვრთნელო მოღვაწეობა იტალიის სამოყვარულო ლიგაში დაიწყო. სადაც 1989/90 წლების სეზონში ის "პარტინიკა აუდარეს" ჩაუდგა სათავეში. მუშაობდა "ტერამოში", "რავენაში", "ნოვარაში", "ნოჩერინასა" და "ტერნანაში". მერე იყო ფანტასტიკური დროება "კიევოსთან" ერთად - ელიტაში აღზევება და ევროსაგზური. ამ კლუბს პირველად 2004 წელს დაშორდა. ბოლო 3 წლის განმავლობაში დელ ნერიმ "პორტუს" (საიდანაც სეზონის დასაწყისშივე დაითხოვეს), "რომასა" და "პალერმოს" მოვლა მოასწრო, ბოლო ორი თვე კი ისევ "კიევოში" გაატარა, სადაც **ბეპე პილონი** შეცვალა, თუმცა ვერონულ კლუბს სერია A-ში ადგილი ვერ შეუნარჩუნა.

ინტერი

ფიქრები ტევესზე

ფიგუ: ინტერი და არაფერი სხვა, ინტერის გარდა

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, "ინტერი" **კარლოს ტევესის** ყიდვას ცდილობს. სწორედ "ვესტ ჰემის" არგენტინელი ფორვარდი შეიძლება იყოს ალტერნატივა **ადრიანოსი**, რომელსაც "რეალში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. **რობერტო მანჩინის** მისი ხუმტურები თუ არასაფეხბურთო თავგადასავლები ყელში ამოუვიდა, ამიტომაც ვეჭვობთ, ადრიანოზე დარდს გადაჰყვეს. ორიოდ დღის წინათ გაცნობეთ ადრიანოს ბრაზილიურ ამბებზე. ერთ-ერთმა გაზეთმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სამშობლოში არდადეგებზე მყოფი ფეხბურთელი ხშირად სტუმრობდა სან პაულუს კლინიკას. გაზეთის ცნობით, ადრიანოს პანკრიატიტი აქვს, რაც ალკოჰოლის ზედმეტი დოზით უნდა იყოს გამოწვეული. ალკოჰოლთან ურთიერთობაში კი, მოგეხსენებათ, "იმპერატორს" არაფერი ეშლება. "ინტერი" აღშფოთებულია, რომ კლუბი საქმის კურსში არ ჩააყენეს. შესაძლოა, ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდეს მანჩინის მოთმინების ფიალაში.

რაც შეეხება ტევესს, ის შარშანაც იყო "ინტერის" სამიზნეში, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება სწორედ ახლაა რეალური. "გაძეტას" მტკიცებით, ირანელი ბიზნესმენი და სააგენტო MSI-ს (რომელიც ტევესის სატრანსფერო უფლებებს განკარგავს) გენერალური მენეჯერი **კია ჯურაბჩანი** პარასკევს "ინტერის" წარმომადგენლებს შეხვდა. ტევესს "ჩაქუჩებთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული. არგენტინელი "მანჩესტერ იუნაიტედისთვის" სასურველ მოთამაშეთა სიაშიცაა და აქედან გამომდინარე, ხსენებული სააგენტო დარწმუნებულია, რომ ფეხბურთელის გასაყიდი ფასი, 27 მილიონი გირვანქა, სავსებით ოპტიმალურია. მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ პოტენციური მყიდველები.

■ ■ ■

ამასობაში კი, **ლუიშ ფიგუმ** უარი თქვა ლოს-ანჯელეს "გალაქსიში" გადასვლაზე. როგორც ირკვევა, მას აღარც საუდის არაბეთის "ალ იტიჰადი" აინტერესებს. ფიგუ აცხადებს, რომ თუ კარიერას გააგრძელებს, მხოლოდ და მხოლოდ "ინტერში", სხვა ვარიანტი კი პენსიაში გასვლა იქნება: *"ან დავრჩები იტალიაში და "ინტერში" გავაგრძელებ თამაშს, ან კიდევ ფეხბურთს თავს დავანებებ",* - ამბობს ვეტერანი პორტუგალიელი, რომლის ფონდმაც შაბათს ლისაბონში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა საქველმოქმედო მატჩი გამართა.

"ინტერმა" დაარწმუნა ლუიში, რომ სერია A-ში კიდევ ერთი სეზონი გაატაროს, სერია A-ში და მხოლოდ "ინტერში". ფიგუ თანახმაა. თუმცა ის ბოლომდე ღიად ტოვებდა კარს ამერიკაში წასასვლელად. "გალაქსის" გენერალური მენეჯერი, წარსულში აშშ-ს ნაკრების მცველი **ალექსი ლალასი** იმედს მაინც არ კარგავს და აცხადებს, რომ მოვლენებს ყურადღებით დააკვირდება. თუმცა ტყუილად, როგორც ჩანს, ფიგუმ ყველაფერი გაარკვია, ან თითქმის ყველაფერი - მხოლოდ ისაა, რჩება თუ არა ფეხბურთში.



კარლოს ტევესი

"მას შემდეგ, რაც გულშემატკივრებისგან, კლუბის პრეზიდენტისა და თანაგუნდელებისგან, ასევე მწვრთნელისგან, დიდი მხარდაჭერა დავინახე, ერთი წუთითაც აღარ მიფიქრია იმაზე, რომ "ინტერი" სხვა გუნდზე გამეცვალა. ასე რომ, ყოველგვარი მოლაპარაკება შეწყვეტილია. "ნერაძურიში" ვრჩები. ამის ალტერნატივა მხოლოდ კარიერის დასრულებაა".

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXVII ტური

მესის ხელი

ბარსელონამ უნიკალური შანსი დაკარგა

ლეო მესის სკანდალური გოლი ესპანიოლის კარში

წლევანდელი პრიმერა დივიზიონი და განსაკუთრებით მისი ფინალური ნაწილი, ალფრედ ჰიჩკოკისეული სცენარით წარიმართა. ძალიან დიდი ხანია, ასეთი დრამატული, სანახაობრივი და საინტერესო ფეხბურთი არ გვინახავს. ყოველ შემთხვევაში, ესპანეთის ჩემპიონატში ანალოგიური რამ მაშინ მოხდა, როცა სამეფო კლუბმა "ტენერიფესთან" ნაფორხილებით ბოლო ტურში დაკარგა პირველობა. ამჯერად ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ გასაგები მიზეზების გამო, რვა შეხვედრა ერთ დროს დანიშნა. გუნდებს, რომელთა ბედი ჯერაც არ იყო გარკვეული, არ უნდა სცოდნოდათ მათი მოწინააღმდეგეები რა შედეგით დაამთავრებდნენ თამაშს. ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს "რეალისა" და "ბარსელონის" ორთაბრძოლები იწვევდა. 90 წუთის განმავლობაში სიტუაცია იმდენჯერ შეიცვალა, რომ გულშემატკივრებს თავბრუ დაეხვათ. ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე **ხოან ლაპორტა** "სარაგოსის" ფეხბურთელებს შეჰპირდა, თუ მადრიდელებს ქულებს დააკარგვინებთ, თითოეულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს პრემიის სახით 50 ათას ევროს გადაგიხდითო. არ გამოვრიცხავთ, რომ არაგონელებს "ბარსას" პრეზიდენტის დაპირებამ მოტივაცია გაუორმაგა. **ვიქტორ ფერნანდესის** შეგირდებმა თამაში ძალიან აქტიურად დაიწყეს, თუმცა მათ სტუმრებიც არ ჩამორჩებოდნენ. თავსხმა წვიმის მიუხედავად, "ლა რომარედა" გულშემატკივრებმა პირთამდე შეავსეს. ტრიბუნებზე "რეალის" გულშემატკივრებს 3 500 ადგილი გამოუყვეს. ბუნებრივია, სარაგოსაში ისინი იმ იმედით ჩავიდნენ, რომ საჩემპიონო გზაზე დიდ ნაბიჯს გადადგამდნენ. **კაპელოს** ბიჭები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ სანუკვარი მიზანი საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინათ. მადრიდელებს ცალი ყური "კამპ ნოუსკენ" ჰქონდათ მიპყრობილი. მაშინ, როცა **რუუდ ვან ნისტელროი** და **ბექჰემი** სახიფათო იერიშებს ახორციელებდნენ, "ბარსელონას" დიდი უსიამოვნება შეემთხვა. შეხვედრის 30-ე წუთზე **რაულ ტამუდომ კარლეს პუიოლის, ლილიან ტურამის** შეცდომით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა. ცხადია, სამეფო კლუბის უკლებლივ ყველა წარმომადგენელმა დიდად გაიხარა, მაგრამ ამ სიხარულმა მხოლოდ რამდენიმე წამს გასტანა. **პაბლო აიმარი ივან ელგერამ** საჯარიმო მოედანში წესების დარღვევით შეაჩერა. მსაჯმა არ დააყოვნა და პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანის შესრულება **დიეგო მილიტომ** იკისრა. არგენტინელმა უზადოდ დაარტყა. ამის შემდეგ სიხარულმა უკვე "კამპ ნოუზე" გადაინაცვლა. "ბარსამ" შეტევა გააძლიერა. რა თქმა უნდა, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ერთი გოლის გატანის შემთხვევაში კატალონიური გრანდი პირველობის მოპოვების შანსს გაიუმჯობესებდა. **რონალდინიოს** გარეშე დარჩენილი გუნდი თავდასხმაში აშკარად უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა, მაგრამ **ფრანკ რიიკაარდს** ხომ **ლეო მესი** ჰყავს. ყველამ იცის, მიმომხილველებს ძალიან უყვართ მისი და **მარადონას** შედარება. პარალელების გავლება მას შემდეგ, რაც მესიმ "ხეტაფეს" დაუჯერებელი გოლი გაუტანა უფრო აქტუალური გახდა. შაბათის დაპირისპირების შემდეგ პარალელებს უფრო ხშირად გაავლებენ. საქმე ის არის, რომ ლეომ **ჯანლუკა ძამბროტას** მიერ ჩაწოდებული ბურთი ხელით გადაგზავნა კარში. ის ეპიზოდი ტყუპისცალივით ჰგავდა მარადონას მიერ 1986 წლის მუნდიალზე ინგლისის ნაკრების კარში გატანილი გოლის ეპიზოდს. სამეფო კლუბის ერთ-ერთი ადმინისტრატორი ყურსასმენით კატალონიური დერბის რადიო რეპორტაჟს ისმენდა. გუნდის მესვეურებს მან შემაშფოთებელი ინფორმაცია შეძრწუნებული სახით შეატყობინა. ამის შემდეგ დედაქალაქელები თავქუდმოგლეჯით წავიდნენ წინ, მაგრამ შესვენებამდე გოლის გატანა ვერ მოასწრეს.

მეორე ტაიმში "ბარსელონა" უაღრესად მოტივირებული გავიდა მოედანზე. ყველას ესმოდა, რომ მთავარი როლი **სამუელ ეტოოსა და ლიონელ მესის** უნდა შეესრულებინათ. სიმართლე ითქვას, კამერუნელი ფორვარდი ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. აი, ლეო კი შეუჩერებელი გახლდათ. რამდენიმე მომენტის გაფუჭების შემდეგ, არგენტინელმა **დეკუს** ჩინებული პასი მიიღო, მეკარეს მიუახლოვდა და შორეული კუთხე დალაშქრა. ეს გოლი რიიკაარდის ბიჭებისთვის უმნიშვნელოვანესი გახლდათ, რადგან ზუსტად ერთი წუთით ადრე სარაგოსაში **რუუდ ვან ნისტელროიმ** წონასწორობა აღადგინა. კაპელოს ბიჭებს საოცრად გაუმართლათ. დევიდ ბექჰემის მიერ წამოწყებული იერიში ვან ნისტელროიმ ლამაზი თავური დარტყმით დააგვირგვინა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში შეძლო გატანა. თუ სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონი გახდება, ამ საქმეში რუუდს 50-პროცენტიანი წვლილი ექნება შეტანილი. ანგარიშის გათანაბრება სასიხარულო საქმე იყო, მაგრამ ისიც ნათელი გახლდათ, რომ ერთი ქულა დედაქალაქელებს არაფერში ყოფნიდათ. ისინი ვალდებულები იყვნენ, კიდევ უფრო დიდი ძალებით შეეტიათ. კაპელოს ბიჭები მართლაც უაღრესად მოტივირებულად თამაშობდნენ, მაგრამ მალე თავდასხმაში უკანმოუხედავად წასვლა ძვირად დაუჯდათ. აიმარმა ფანტასტიკური კონტრშეტევა წამოიწყო. არგენტინელმა, რამდენიმე მოწინააღმდეგის მოტყუების წყალობით, თითქმის მთელი მოედანი გადალახა და დიეგო მილიტოს პასი მიაწოდა. "სარაგოსის" ფორვარდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. არგენტინელმა **რობერტო კარლოსი** ფანტასტიკური ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და **იკერ კასილიასს** ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა. "რეალი" კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, რადგან თამაშის გადასარჩენად 25 წუთი რჩებოდა. კაპელოს გუნდს იმ დროისთვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ორი გოლი სჭირდებოდა, თუმცა მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, რომ სტატუს კვოს შესანარჩუნებლად ერთი ბურთიც საკმარისი იყო. "ბარსელონამ" გაუგონარი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა. საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე **პუიოლი** და **ტურამი** კიდევ ერთხელ შეცდნენ და **ტამუდოს** დუბლის შესრულების საშუალება მისცეს. "ესპანიოლის" კაპიტნის მეორე გოლმა კატალონიური გრანდი ჯოჯოხეთში გააგზავნა. მათთვის არანაკლებ დამღუპველი იყო რუუდ ვან ნისტელროის დუბლიც. ჰოლანდიელმა თავგანწირვით მოთამაშე **სესარ სანჩესის** კარს თავგანწირული თამაშითვე მოუნახა გასაღები. როგორც იქნა, "ლა რომარედასა" და "კამპ ნოუზე" საფინალო სასტვენის ხმა გაისმა. მადრიდელები ცაში დაფრინავდნენ, ბარსელონელები მაისურებს ტანზე იხევდნენ. ახლა უკვე მართლაც უდიდესი სასწაული უნდა მოხდეს, რომ სამეფო კლუბი ერთი კვირის თავზე სიბელესზე არ გავიდეს და ჩემპიონის ნანატრი ტიტული დაუვიწყარი ფიესტით არ აღნიშნოს. სხვათა შორის, გულშემატკივრების ერთი ნაწილი შაბათსვე გავიდა სიბელესზე, მაგრამ მთავარი ზეიმი ჯერაც წინაა.

ლიდერების ნაფორხილება "სევილიას" სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას აძლევდა, მაგრამ ანდალუსიელებმა ეს შანსი ვერ გამოიყენეს. ისინი "მალიორკასთან" გასვლით შეხვედრაში ფრეს დასჯერდნენ. **ხუანდე რამოსი**, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო დარჩა, თუმცა სევილიელთა მთავარ მწვრთნელს შეგირდებისთვის არ უსაყვედურია. პრესკონფერენციის მიწურულს მან გულშემატკივრებს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა და პირობა მისცა, რომ მისი ბიჭები ბოლო წამამდე იბრძოლებენ.

ბუნებრივია, ხუანდე რამოსის მოსაზრებებზე ბევრად საინტერესო ფაბიო კაპელოსა და ფრანკ რიიკაარდის განცხადებებია. თავდაპირველად, თქვენს სამსჯავროზე "რეალის" დამრიგებლის სიტყვებს გამოვიტანთ: "საზოგადოების მოლოდინი გამართლდა. დღეს ურთულესი შეხვედრა გვქონდა. ბოლო წამებზე გატანილი გოლის წყალობით, ნაგებას გადავურჩით. პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩემპიონობას კიდევ უფრო მივუახლოვდით, თუმცა ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ არაფერი მოგვიგია. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, თუმცა შესვენების შემდეგ სიტუაცია გამოვასწორეთ. საბედნიეროდ, "ბარსელონამ" "ესპანიოლის" დამარცხება ვერ შეძლო. ამით პირველობა შევინარჩუნეთ. ახლა ისღა დაგვრჩენია, ბოლო ძალები მოვიკრიბოთ და "მალიორკას" "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოვუგოთ. ყველას ვთხოვ, ფიესტას წინასწარ ნუ მოაწყობენ."

ბოლო წამზე გამარჯვების ხელიდან გაშვებით სასოწარკვეთილმა **ვიქტორ ფერნანდესმა** უკმაყოფილება ვერ დამალა: "ძალიან სამწუხაროა, რომ სამი ქულა ვერ მოვიპოვეთ. მოგების შემთხვევაში უეფას თასის საგზური განაღდებული გვექნებოდა. უნდა ვაღიარო, რომ ბოლოს ძალიან დავიღალეთ. საუბედუროდ, ბოლომდე ვერ გავძელით. ბიჭებს თავგანწირვისთვის უდიდეს მადლობას მოვახსენებ. მადლობა გულშემატკივრებსაც, ისინი განუმეორებელნი იყვნენ."

ახლა კი ფრანკ რიიკაარდის დაპირებული განცხადება: *"ის რაც მოხდა, წარმოუდგენლად მტკივნეულია. გენიალური შანსი გვქონდა, რომ პირველობა დაგვებრუნებინა. მართალია, თეორიული შანსი ჯერაც გვაქვს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დღეს მართლაც უნიკალური შანსი გავუშვით ხელიდან. სამწუხაროდ, ვერაფერს შევცვლით. იძულებული ვართ, ნაგების ტოლფას ფრეს შევეგუოთ. მიუხედავად ყველაფრისა, "ბარსას" საკუთარი ღირსება არ დაუკარგავს. უბრალოდ, ვალდებულები ვართ, ბოლო წამამდე ვიბრძოლოთ. წარმომიდგენია, გულშემატკივრები რაოდენ იმედგაცრუებულები არიან. ყველას ბოდიშს ვუხდი."*

რამდენიმე სიტყვით, აუტსაიდერთა ბრძოლასაც გამოვეხმაუროთ. ხრისტო სტოიჩკოვის "სელტამ" "ვისენტე კალდერონზე" სასიცოცხლო გამარჯვება მოიპოვა. ვიგოელებმა ამით პრიმერა დივიზიონში დარჩენის შანსი შეინარჩუნეს. არადა, "ბილბაოს" "ვილიარეალთან" უპირატესობა რომ შეენარჩუნებინა, ყველაფერი გარკვეული იქნებოდა. ახლა კი უძლიერესთა ლიგაში დარჩენის შანსი თვით "სოსიედადსაც" აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სანსებასტიანელებმა საშინაო შეხვედრაში "რასინგის" დამარცხება ვერ შეძლეს. სხვათა შორის, მატჩის 88-ე წუთზე **სავიომ პენალტი** ვერ გამოიყენა. გავარდნის რეალური საფრთხე ემუქრება "ბეტისსაც". საკუთარ სტადიონზე "ოსასუნასთან" განცდილი გამანადგურებელი მარცხის (0:5) შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სეგუნდა დივიზიონში დაქვეითებას ყველაზე მეტად სწორედ ანდალუსიელები იმსახურებენ.

ბოლო ტური

17 ივნისი. **ბილბაო-ლევანტე, სელტა-ხეტაფე, ესპანიოლი-დეპორტივო, რასინგი-ბეტისი, რეალი-მალიორკა, სევილია-ვილიარეალი, ვალენსია-სოსიედადი, ოსასუნა-ატლეტიკო, ხიმნასტიკი-ბარსელონა, რეკრეატივო-სარაგოსა.**

ატლეტიკო-სელტა 2:3

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი (55. აგუერო), პაბლო (72. პერეა), ელერი, ანტონიო ლოპესი, გალეტი, ლუქსენი, მანიშე (84. გაბი), პეტროვი, მაქსი როდრიგესი, ფერნანდო ტორესი.

სელტა: პინტო, ანხელი, ლეკი, კონტრერასი, პლასენტე (34. იაგო), პაბლო გარსია, უბინია, გუსტავო ლოპესი (78. ნუნიესი), კანობიო (88. ვილა), ნენე, ფერნანდო ბაიანო.

გოლები: 1:0 მაქსი როდრიგესი (27), 1:1 ბაიანო (30-პენ), 1:2 იაგო (47), 1:3 ბაიანო (67), 2:3 მაქსი როდრიგესი (70)

გაძევება: ლუქსენი (64. ატლეტიკო)

გაფრთხილება: 2-6; **დარტყმა**: 20(8)-18(8); **კუთხური**: 6-7; **თამაშგარე**: 0-1; **ჯარიმა**: 20-17; **ბურთის ფლობა**: 53%-47%

მაყურებელი: 45 000

ბარსელონა-ესპანიოლი 2:2

ბარსელონა: ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი (46. ოლეგერი), ინიესტა, ჩავი ერნანდესი, დეკუ, გუდიონსენი (77. მოტა), მესი, ეტო'ო.

ესპანიოლი: კამენი, ლაკრუსი, ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, მოისესი (61. ანხელი), კორო (64. ჟონათასი), რიერა (42. რუფეტე), დე ლა პენია, ლუის გარსია, ტამუდო.

გოლები: 0:1 ტამუდო (30), 1:1 მესი (43), 2:1 მესი (57), 2:2 ტამუდო (90)

გაფრთხილება: 1-4; **დარტყმა**: 26(7)-8(5); **კუთხური**: 11-1; **თამაშგარე**: 4-5; **ჯარიმა**: 18-21; **ბურთის ფლობა**: 68%-32%

მაყურებელი: 90 695

ბეტისი-ოსასუნა 0:5

ბეტისი: კონტრერასი, მიგელ ანხელი, მელი, ხუანიტო, ისიდორო, ხუანდე, ასუნსაო, ოდონკორი, სობისი (77. ჩისკო), ფერნანდო (52. ედუ), რობერტი (70. დანი).

ოსასუნა: ელია, ისკიერდო, კუელარი, მიგელ ფლანიო, მონრეალი, პუნალი, ხუანფრანი, რაულ გარსია (63. ექტორ ფონტი), მუნიოსი, ვალდო (85. ხოსეტო), ვებო (70. სიკეო სოლა).

გოლები: 0:1 მიგელ ფლანიო (32), 0:2 ვებო (62), 0:3 ვალდო (72), 0:4 სოლა (75), 0:5 სოლა (88)

გაფრთხილება: 2-3; **დარტყმა**: 16(3)-9(5); **კუთხური**: 10-2; **თამაშგარე**: 1-3; **ჯარიმა**: 23-10; **ბურთის ფლობა**: 54%-46%

მაყურებელი: 35 000

სოსიედადი-რასინგი 0:0

სოსიედადი: რიესგო, ლოპეს რეკარტე, ვიქტორ ლოპესი, ანსოტეგი, ხერარდო, გარიტანო, ხუანიტო (66. მიკელ ალონსო), სავიო, ესტრადა (75. ნოვო), კოვაჩევიჩი, დიას დე სერიო (66. ერრა).

რასინგი: კალატაიუდი, კრისტიან ფერნანდესი, ალფარო, რუბენი, პინილიოსი, სერანო, კოლსა, ტომასი (78. ვიტოლო), კრისტიან ალვარესი (63. ფელიპე მელო), მუნიტისი, ხუანხო (75. ბალბოა).

გაძევება: ფელიპე მელო (86. რასინგი), ვიტოლო (89. რასინგი)

გაფრთხილება: 2-7; **დარტყმა**: 18(4)-4(1); **კუთხური**: 9-6; **თამაშგარე**: 4-4; **ჯარიმა**: 12-18; **ბურთის ფლობა**: 53%-47%

მაყურებელი: 23 348

სარაგოსა-რეალი 2:2

სარაგოსა: სესარი, საპატერი, სერხიო ფერნანდესი, გაბრიელ მილიტო, ჩუს ერერო, დ'ალესანდრო, პიკე, სელადესი (78. ლაფიტა), აიმარი, ევერტონი (56. მოვილია), დიეგო მილიტო (85. ოსკარი).

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი, დიარა, ემერსონი (46. გუტი), ბექჰემი, რაული (46. იგუაინი), რობინიო (64. რეიესი), ვან ნისტელროი.

გოლები: 1:0 დიეგო მილიტო (31-პენ), 1:1 ვან ნისტელროი (56), 2:1 დიეგო მილიტო (64), 2:2 ვან ნისტელროი (89)

გაფრთხილება: 3-3; **დარტყმა**: 9(5)-19(7); **კუთხური**: 0-8; **თამაშგარე**: 3-3; **ჯარიმა**: 19-19; **ბურთის ფლობა**: 40%-60%

მაყურებელი: 34 500

ლევანტე-ვალენსია 4:2

ლევანტე: მოლინა, დესკარგა (72. მანოლო), სერანო, ალექსისი, რუბიალესი, ეტიენი (60. კურტუა), ბერსონი (78. კამაჩო), ტომაზი, კაპო, რიგა, სალვა.

ვალენსია: კანისარესი, კურრო ტორესი (11. ბუტელი), ალბიოლი, აიალა, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, მარჩენა, სილვა (68. ბარახა), ანგულო (46. გავილანი), ვილია.

გოლები: 1:0 რიგა (3), 2:0 სალვა (11), 2:1 ხოაკინი (16), 3:1 რიგა (49), 4:1 კურტუა (75), 4:2 ბარახა (88)

გაძევება: კანისარესი (8. ვალენსია), ოლივიე კაპო (46. ლევანტე), აიალა (53. ვალენსია), მარჩენა (57. ვალენსია)

გაფრთხილება: 3-5; **დარტყმა**: 17(9)-5(2); **კუთხური**: 6-3; **თამაშგარე**: 5-17; **ჯარიმა**: 18-13; **ბურთის ფლობა**: 50%-50%

მაყურებელი: 24 052

მალიორკა-სევილია 0:0

მალიორკა: მოია, ექტორი, ნუნიესი, ბალესტეროსი, ნავარო, ვარელა (70. ტრეხო), პერეირა, იბაგასა, ჯონსი, არანგო (88. ტუნი), ვიქტორ კასადესუსი (66. მაქსი ლოპესი).

სევილია: პალოპი, ჰინკელი (46. მარესკა), ხავი ნავარო (56. ჩევანტონი), დრაგუტინოვიჩი, პუერტა, დანიელ ალვეში, პოულსენი, მარტი, რენატო, ლუიშ ფაბიანო, ადრიანო (9. ესკუდე).

გაძევება: დრაგუტინოვიჩი (73. სევილია)

გაფრთხილება: 2-6; **დარტყმა**: 20(7)-13(5); **კუთხური**: 5-1; **თამაშგარე**: 2-0; **ჯარიმა**: 19-16; **ბურთის ფლობა**: 52%-48%

მაყურებელი: 18 000

ვილიარეალი-ბილბაო 3:1

ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტე, გონსალო, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, ხოსიკო (68. სომოსა), ტაკინარდი, ფრანკო (75. მატი ფერნანდესი), კანი, პირესი (87. არუაბარენა), ფორლანი.

ბილბაო: არანსუბია, ხავი გონსალესი, უსტარტისი, სარიეგო, კასასი (73. ტიკო), ირაოლა, ხავი მარტინესი (59. ურსაისი), მურილიო, იესტე, ადურისი (75. ლორენტე), ეჩებერია.

გოლები: 0:1 ირაოლა (21), 1:1 ფორლანი (36-პენ), 2:1 ფორლანი (38), 3:1 [illegible] კარში)

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა**: 7(2)-14(4); **კუთხური**: 2-7; **თამაშგარე**: 4-4; **ჯარიმა**: 12-8; **ბურთის ფლობა**: 54%-46%

მაყურებელი: 22 000

ხეტაფე-ხიმნასტიკი 0:1

ხეტაფე: აბონდანსიერი (67. ლუისი), ბელენგერი, პულიდო, პარედესი, კონტრა (49. კორტესი), სელესტინი, მარიო კოტელო, ალბანი (46. რედონდო), მანულ დელ მორალი, პაჩონი.

ხიმნასტიკი: რუბენ პერესი, კალვო, სესარ ნავასი, მატელიანი, მარკო, მორალესი, ირურსუნი, ხენრელო (83. შაბოდი), მერინო (77. პინილია), ხუან დიასი (46. ხილი), რუბენ კასტრო.

გოლი: 0:1 ირურსუნი (78)

გაფრთხილება: 2-0; **დარტყმა**: 15(6)-6(1); **კუთხური**: 4-2; **თამაშგარე**: 3-4; **ჯარიმა**: 19-18; **ბურთის ფლობა**: 52%-48%

მაყურებელი: 20 000

დეპორტივო-რეკრეატივო 2:5

დეპორტივო: ავატე, კოლოჩინი, ლოპო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა (79. ფილიპე), ხუან როდრიგესი, სერხიო (46. ვერდუ), პაბლო ალვარესი, კრისტიანი, ადრიანი, რიკი (53. ბოდიპო).

რეკრეატივო: ლაკე, ბეტო, კასორლა, პოლი (70. დანი ბაუტისტა), არსო, ხესუს ვასკესი, აიტორი, ჩელი, იაგო ბუსონი (81. ოლივეირა), უჩე, ხავი გერერო (63. სინამა პონგოლე).

გოლები: 0:1 ჩელი (15), 0:2 ხავი გერერო (17), 0:3 კასორლა (57), 0:4 კასორლა (68), 1:4 ბოდიპო (70), 1:5 სინამა პონგოლე (74), 2:5 ხუან როდრიგესი (78-პენ)

გაფრთხილება: 2-0; **დარტყმა**: 23(6)-16(10); **კუთხური**: 12-3; **თამაშგარე**: 4-4; **ჯარიმა**: 9-12; **ბურთის ფლობა**: 59%-41%

მაყურებელი: 25 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	37	22	7	8	63-39	73
2. ბარსელონა	37	21	10	6	73-32	73
3. სევილია	37	21	8	8	64-34	71
4. ვალენსია	37	20	5	12	54-39	65
5. სარაგოსა	37	16	11	10	54-42	59
6. ვილიარეალი	37	17	8	12	47-44	59
7. ატლეტიკო	37	16	9	12	44-38	57
8. რეკრეატივო	37	15	8	14	53-51	53
9. ხეტაფე	37	14	10	13	38-31	52
10. რასინგი	37	12	14	11	42-46	50
11. მალიორკა	37	14	7	16	40-44	49
12. ესპანიოლი	37	12	13	12	45-50	49
13. ოსასუნა	37	13	7	17	50-47	46
14. დეპორტივო	37	11	11	15	29-44	44
15. ლევანტე	37	10	12	15	37-51	42
16. ბეტისი	37	7	16	14	34-49	37
17. ბილბაო	37	9	10	18	42-62	37
18. სელტა	37	9	9	19	38-58	36
19. სოსიედადი	37	8	10	19	29-44	34
20. ხიმნასტიკი	37	7	7	23	33-64	28

ბომბარდირები: 25 - ვან ნისტელროი (რეალი); 22 - დიეგო მილიტო (სარაგოსა); 21 - კანუტე (სევილია); 20 - რონალდინიო (ბარსელონა); 19 - ფორლანი (ვილიარეალი); 14 - ბაიანო (სელტა), ვილია (ვალენსია); 13 - მორიენტესი (ვალენსია), მესი (ბარსელონა); 12 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო).

II დივიზიონი

XLI ტური

ლორკა-ალავესი 1:2

გოლები: 1:0 გარსია (40), 1:1 ხანდრო (73), 1:2 კარპინტერო (76)

მალაგა-კადისი 1:1

გოლები: 0:1 აკუნია (67), 1:1 იდალგო (89)

რეალი B-ალმერია 3:1

გოლები: 1:0 გონსალესი (3), 2:0 ნეგრედო (32), 3:0 მატა (46), 3:1 ალბერტო (48)

სიუდადი-ლას პალმასი 4:2

გოლები: 1:0 ხიბანელი (21), 2:0 გოიტომი (43-პენ), 3:0 ამაია (45-პენ), 4:0 რაფიტა (45), 4:1 დარინო (65), 4:2 ხუანმა (85)

ვესინდარიო-მურსია 1:1

გოლები: 0:1 მარტინი (2), 1:1 ჩისკო (72)

ეხიდო-სპორტინგი 4:1

გოლები: 1:0 ვეგა (30), 2:0 ორტისი (44), 3:0 სორიანო (84), 3:1 ომარი (87-პენ), 4:1 სორიანო (90)

ელჩე-კასტელონი 1:0

გოლი: 1:0 კალდერონი (90)

პონფერადინა-ერკულესი 4:1

გოლები: 1:0 რამირესი (12), 2:0 ვეგა (31), 3:0 ვეგა (49), 3:1 მონტენეგრო (74), 4:1 რისო (85)

ტენერიფე-სალამანკა 1:0

გოლი: 1:0 აიოსე (62)

ხერესი-ნუმანსია 1:1

გოლები: 0:1 კენჯი (15-პენ), 1:1 მენდოსა (76-პენ)

ვალიადოლიდი-ალბასეტე 4:2

გოლები: 0:1 სესარი (7), 1:1 ვიქტორი (22-პენ), 2:1 ვიქტორი (38), 3:1 ვიქტორი (52), 4:1 სისი (90), 4:2 კალე (90)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ვალიადოლიდი	41	25	10	6	68-34	85
2. ალმერია	41	23	8	10	70-49	77
3. მურსია	41	21	13	7	61-41	76
4. სიუდადი	41	18	9	14	52-43	63
5. კადისი	41	15	15	11	50-42	60
6. ხერესი	41	16	10	15	46-40	58
7. ნუმანსია	41	15	13	13	47-42	58
8. ალბასეტე	41	15	12	14	48-48	57
9. ტენერიფე	41	17	6	18	44-50	57
10. კასტელონი	41	15	11	15	48-40	56
11. ეხიდო	41	15	10	16	50-50	55
12. ელჩე	41	15	10	16	45-46	55
13. სალამანკა	41	14	12	15	52-50	54
14. ერკულესი	41	14	12	15	48-50	54
15. სპორტინგი	41	15	8	18	51-52	53
16. მალაგა	41	13	13	15	48-50	52
17. ალავესი	41	13	13	15	50-58	52
18. ლას პალმასი	41	13	12	16	51-57	51
19. რეალი B	41	13	9	19	52-64	48
20. პონფერადინა	41	10	13	18	43-60	43
21. ლორკა	41	9	10	22	37-59	37
22. ვესინდარიო	41	9	7	25	42-78	34

საქველმოქმედო მატჩი

ვალიარებ!

ზიდანი არბიტრ ელისონდოს შეურიგდა

ფიგუს მეგობრები-მსოფლიო 5:4

ფიგუს მეგობრები: ტოლდო (46. ვილიამი), აბელ შავიერი (46. ნელსონი), ფერნანდო კოუტუ (46. პოპესკუ), ფ. დე ბური (46. საკირი), პაულო ფერეირა, ოკეანო (26. პ. მენდესი), გვარდიოლა (46. ნაკატა), რუი კოშტა (46. სოლარი), ფიგუ (46. კვარეშმა), ლინეი (40. პოშტიგა/67. ვილ ჩემპიონი), ჩიკო ბუარკე (26. რამაცოტი/61. არველაძე).

მსოფლიოს ნაკრები: ენკე (35. ორლანდოში/63 ფერნანდესი), ჯერემი (77. სერჟიო კონსეისაო), მეირა (35. ბერთოლდი/61. ტონელი), კივუ (46. პეპე), ნუნუ ვალეტნე (46. როჟერიო მატიასი), სერჟიო კონსეისაო (46. სა პინტუ), ზიდანი (51. კაზრმირჩაკი), კოკუ (46. ფიგუ), საიდუ (46. რიკარდო ესტევესი), იბრაჰიმოვიჩი (46. მანტორაში), ჟოაო ჟილი (19. რუი ველოსო/30. გ. ჰაჯი/61. ბაშარი).

ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გოლები: 0:1 კოკუ (9), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (11), 1:2 ლინეი (23), 2:2 ლინეი (34), 2:3 იბრაჰიმოვიჩი (36), 3:3 პაულო ფერეირა (53), 3:4 სა პინტუ (66), 4:4 კვარეშმა (80), 5:4 კვარეშმა (90).

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია).

შაბათს ლისაბონში, "სპორტინგის" სტადიონ "ჟოზე ალვალადეზე" საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომელშიც, როგორც იცით, **შოთა არველაძემაც** მიიღო მონაწილეობა. ერთმანეთს **ლუიშ ფიგუს** მეგობრები და მსოფლიოს ნაკრები დაუპირისპირდნენ. ფიგუს გუნდის მწვრთნელი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** გახლდათ, მსოფლიოს ნაკრებისა კი, სადაც **ზინედინ ზიდანმა** სიაპერზა, **პაულო ბენტუ** და არც მეტი, არც ნაკლები, **უმბერტო კოელიო**. ფიგუს გუნდში ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა **ეროს რამაცოტიმაც** ითამაშა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი კი ის გახლდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, ზიდანი პირველად შეხვდა არგენტინელ მსაჯ **ორასიო ელისონდოს**, კაცს, რომელმაც ზიზუ 9 ივლისს, ბერლინში, **მარკო მატერაცისთვის** თავის ჩარტყმის გამო მოედნიდან გააძევა. *"მიხარია, რომ ელისონდოს შევხვდი. მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან იტალიასთან მატჩში ისე მოიქცა, როგორც მსაჯი უნდა მოქცეულიყო. ჩემი გაძევება სამართლიანი გადაწყვეტილება გახლდათ,"* - აღნიშნა ზიდანმა. *"ზიზუს უდიდეს პატივს ვცემ - ის გენიალური ფეხბურთელი იყო და შესანიშნავი პიროვნებაა. ბერლინის ფინალში კი გაძევების ღირსი იყო, სხვა გზა არ მქონდა - იმის გამო, რაც ჩაიდინა, წითელი ბარათი უნდა მეჩვენებინა. როცა გავაძევე, გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი, მსაჯი მოედანზე ობიექტური უნდა იყოს,"* - ეს კი ელისონდოს სიტყვებია. მოგვიანებით ზიდანმა აღნიშნა: *"ახლა ცხოვრებით ვტკბები. ამ მომენტში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემი ოჯახი და მეგობრებია."*

ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი საქველმოქმედო მატჩისას



სტეფან აპიას გელზენკირხენში ელოდებიან

"შალკემ" რიგით მესამე ტრანსფერი სრულჰყო. გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ბილეფელდის "არმინიის" ცენტრალური მცველი **ჰაიკო ვესტერმანი** კარიერას "შალკეში" გააგრძელებს. ნიჭიერმა უკანახაზელმა "ხუმარებთან" კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე გააფორმა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, "შალკემ" მის სანაცვლოდ დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაიხადა.

"მიხარია, რომ ტრანსფერი შედგა, რადგან ჰაიკო ის ფეხბურთელია, რომლის გადმობირებაც ძალიან გვინდოდა. ვესტერმანს უკვე დიდი ხანია ვაკვირდებით - ის შესანიშნავი მცველია, რომელიც მარსელო ბორდონსა და მლადენ კრსტაიჩს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს," - აცხადებს "შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**. *"დარწმუნებული ვარ, რომ ვესტერმანი "შალკეს" ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა გახდება,"* - ეს კი მთავარი მწვრთნელის, **მირკო სლომკას** სიტყვებია.

ვესტერმანი "არმინიაში" 2005 წელს, "ფიურტიდან" გადავიდა. ბილეფელდური კლუბის მაისურით მან ბუნდესლიგაში 67 თამაში ჩაატარა და 5 გოლის გატანა შეძლო. 1.90 მეტრი სიმაღლის მცველს მეორე ბუნდესლიგაში 83 თამაში აქვს ჩატარებული (2 გოლი). ამრიგად, ვესტერმანი "შალკეს" რიგით მესამე ახალწვეულია, **მათიას შობერის** (ჰანზადან), **ჯერმეინ ჯოუნსისა** (აინტრახტი) და **ბენედიქტ ჰიოვედესის** (ბავშვთა გუნდიდან) შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელებში შალკელებმა ერთი ცენტიც კი არ დახარჯეს - S04-ში ყველა უფასოდ გადავიდა. ამასთან, კობის გუნდში ბრუნდებიან **მიმუნ აზაგუაგი** (მაინცი), **მიხაელ დელურა** (გლადბახი) და **მათიას აბელი** (ჰამბურგი) - ეს ფეხბურთელები ხსენებულ კლუბებში განათხოვრებულები იყვნენ.

მაგრამ ცხადია, რომ გელზენკირხენელები ამით არ დაკმაყოფილდებიან. "ბილდ ამ ზონთაგის" ცნობით, "ხუმარების" სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზეა "ფენერბაჰჩეს" განელი ნახევარმცველი **სტეფან აპია. ლევან კობიაშვილის** გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ხსენებულ გაზეთს შემდეგი განუცხადა: *"მიულერი და სლომკა აპიას დიდი ხანია, აკვირდებიან. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ეს ნახევარმცველი გუნდს ძალიან გააძლიერებს."* 26 წლის აპია ძალიან გამოცდილი და მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველია, რის გამოც ეჭვი არავის ეპარება, რომ თუ ის "შალკეში" გადავა, აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ აპია სწორედ ის ფეხბურთელია, ვინც "შალკეს" ყველაზე მეტად სჭირდება - მეომარი, მუშა ნახევარმცველი. აპიას "ფენერბაჰჩესთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს და მისი ფასი 3 მილიონი ევროა. ცნობილი გახდა, რომ მიულერი ამ დღეებში განელი ნახევარმცველის მრჩეველს შეხვდება.

ამასთან, "შალკემ" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა **ალბერტ შტრაიტის** ტრანსფერთან დაკავშირებით. მიულერი აინტრახტელს უკვე შეუთანხმდა, ახლა მთავარია, რომ გუნდებმა ერთმანეთში მოილაპარაკონ. ფრანკფურტული კლუბი 4 მილიონს ითხოვს, გელზენკირხენელებს კი მხოლოდ 2 მილიონის გადახდა სურთ.

გოტფრიდ ლენცი

ტრანსფერები

აპია შალკეში?

ვესტერმანი უკვე გელზენკირხენელია...

ვეტერანი

ზე რობერტო სელესაოდან წავიდა

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჰიონესის თხოვნა შეასრულა...

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ზე რობერტომ** პარასკევს განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში მისი კარიერა დასრულებულია. შესაბამისად, სულ უფრო და უფრო რეალური ხდება, რომ 32 წლის მარცხენა გარემარი "ბაიერნში" დაბრუნდება. ცნობილია, რომ 32 წლის ზე რობერტოს ბრაზილიის ნაკრებიდან წასვლა რეკორდმაისტერის გენერალურმა მენეჯერმა, **ული ჰიონესმა** სთხოვა.

არადა, ოთხშაბათს ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლოს დუნგამ** ზე რობერტოს კოპა ამერიკაზე უხმო. პარასკევს კი, ზემ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც "სელესაოს" თავკაცს თავაზიანი უარი შეუთვალა. *"ვფიქრობ, რომ ბრაზილიის ნაკრებში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. მოვიდა დრო, რომ "სელესაოში" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ითამაშონ,"* - განაცხადა ზე რობერტომ, რომელიც ამჯერად "სანტოსის" ღირსებას იცავს - გუნდისა, რომელიც ოთხშაბათს ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალიდან გავარდა.

მაგრამ ზეს, ვისაც "სელესაოში" 86 მატჩი აქვს ჩატარებული, ხსენებულ პრესკონფერენციაზე თავის მომავალზე არაფერი უთქვამს. თუმცა ყველამ იცის, რომ ის "ბაიერნში" ბრუნდება და ამისთვის გზა ხსნილი აქვს. ამას წინათ, ჰიონესმა დაადასტურა, რომ ზე რობერტოსთან შეთანხმებას მიაღწია. ერთადერთი, რაც შეიძლებოდა, რომ ზე რობერტოს მიუნხენში დაბრუნების ხელის შემშლელი ფაქტორი გამხდარიყო, ბრაზილიის ნაკრები გახლდათ. ჰიონესი კრიტიკულად უყურებდა იმ ფაქტს, რომ 32 წლის ფეხბურთელი ისევ ნაკრების ღირსებას იცავდა. ული რეგულარულად მიუთითებდა იმაზე, რომ უმჯობესი იყო, ზე რობერტოს სანაკრებო კარიერა დაესრულებინა და როგორც ხედავთ, ფეხბურთელმა მისი თხოვნა შეასრულა. შეგახსენებთ, რომ ზე რობერტო 1998-დან 2002 წლამდე "ლევერკუზენის" ღირსებას იცავდა, მერე კი 4 წელიწადი "ბაიერნში" გაატარა. ბუნდესლიგაში 223 მატჩი აქვს ჩატარებული (22 გოლი).

ზე რობერტო

მაჰდავიკია აინტრახტს დარჩა

"აინტრახტმა" **იუნიში ინამოტოს** შემდეგ, მომავალი სეზონისთვის მეორე ტრანსფერი სრულჰყო. ფრანკფურტელებმა სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს "ჰამბურგის" ირანელ ნახევარმცველ **მეჰდი მაჰდავიკიას**. 29 წლის ფეხბურთელს HSV-სთან კონტრაქტი დაუმთავრდა და "აინტრახტში" უფასოდ გადავიდა.

მაჰდავიკიამ საფეხბურთო კარიერა თეირანის "ფირუზში" დაიწყო. 1999 წელს ის "ბოხუმში" გადავიდა, მაგრამ რურელები იმავე სეზონში გავარდნენ, რის შემდეგაც "ჰამბურგში" გადაბარგდა. ჩრდილოგერმანული კლუბის რიგებში მან ბუნდესლიგის ეგიდით 211 მატჩი ჩაატარა და 26 გოლი გაიტანა. სულ კი, ბუნდესლიგაში 223 შეხვედრაში 29 გოლი აქვს გატანილი. 2003 წელს მაჰდავიკია აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 2006 წლიდან ირანის ნაკრების კაპიტანია.

აილტონი დუისბურგში?

გამოცემა "ბილდის" ცნობით, დიდი შანსია, რომ ბრაზილიელი **აილტონი** ბუნდესლიგაში დაბრუნდეს. ხსენებული გაზეთი იტყობინება, რომ ვეტერანი თავდამსხმელით "დუისბურგი" დაინტერესდა, გუნდი, რომელიც მომავალ სეზონში ბუნდესლიგაში იასპარეზებს. *"აილტონი საინტერესო ფეხბურთელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია. ტონის მრჩეველთან ჯერ არ გვისაუბრია,"* - აცხადებს "დუისბურგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ პელმიხი**. შეგახსენებთ, რომ აილტონი ამ სეზონში "გრასჰოპერსის" ღირსებას იცავდა, სადაც ბელგრადის "ცრვენა ზვეზდადან" იყო განათხოვრებული.

ბერლინელები ფლეიმეიქერს ეძებენ

როგორც იცით, "ჰერტას" თურქი გამთამაშებელი **ილდირაი ბაშთურქი** "შტუტგარტში" (უფასოდ) გადავიდა. შესაბამისად, ბერლინელებმა ახალი ფლეიმეიქერის ძებნა დაიწყეს და როგორც ჩანს, სასურველ კანდიდატს ბრაზილიაში მიაგნეს. ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, რომ ბერლინული კლუბი "პალმეირასის" ჩილელი დირიჟორის, **ხორხე ვალდივიას** გადაბირებითაა დაინტერესებული. ამ უკანასკნელის შეძენა "ჰერტას" ახალი თავკაცის, **ლუსიენ ფავრის** იდეაა, რომელიც 2004/05 წლების სეზონში "სერვეტის" ღირსებას იცავდა და შეეცარიელ მწვრთნელს სწორედ მაშინ მოაწონა თავი. ბერლინელებმა ბრაზილიაში გუნდის სპორტული დირექტორი **მიხაელ პრეეტცი** გაგზავნეს. ამ უკანასკნელმა "პალმეირასის" ბოსებთან მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს.

ვარსკვლავი

ბექჰემი ისევ დაშავდა

გალაქტიკო ამერიკისათვის მზადებას იწყებს

დევიდ ბექჰემმა პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში, შეიძლება, ვერ ითამაშოს. მომავალ უქმეებზე "რეალი" "მალიორკას" შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში, სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონობას მოიპოვებს. ეს იქნება პირველი და უკანასკნელი ტიტული ბექზის მადრიდულ კარიერაში. მოგეხსენებათ, ინგლისელი გალაქტიკო ლოს ანჯელესში მიემგზავრება. "სარაგოსასთან" მატჩში დევიდმა კოჭის ტრავმა გაირთულა. ექიმების დახმარებით, მან თამაშის გაგრძელება შეძლო. **ფაბიო კაპელო** შეშფოთების საფუძველს ვერ ხედავს. დევიდმა ტრავმა ესტონეთთან ოთხშაბათის შეხვედრაშიც მიიღო და შაბათამდე უპრობლემოდ გამოჯანმრთელდა. ახლა კი სარეაბილიტაციოდ ორჯერ მეტი დრო აქვს.

ამასობაში, ბექჰემი საზაფხულო არდადეგებისათვის მზადებას შეუდგა. ის მხოლოდ ერთ კვირას დაისვენებს. დანარჩენ დროს კი ფიზიკურ კონდიციებზე მუშაობას მოახმარს. ამ მიზნით დევიდმა ფიზმომზადების მწვრთნელიც კი დაიქირავა. **პოლ ვინსპერს** ცხრა სეზონი "ნიუკასლში" აქვს გატარებული. ის "სენტ ჯეიმსიდან" გასული წლის ნოემბერში წავიდა. ახლა კი ბექზის კონდიციებზე იზრუნებს. სავარჯიშო პროგრამა "გალაქსის" დამრიგებელ **ფრენკ იალოპთანაა** შეთანხმებული. დევიდს სურს, ლოს ანჯელესში ჩასვლისას საუკეთესო ფორმაში იყოს. მისი და ვინსპერის განკარგულებაში ზუსტად ორი კვირა იქნება. ბექჰემს ამ მწვრთნელთან თანამშრომლობა **ალან შირერმა** და **მაიკლ ოუენმა** ურჩიეს. თავდაპირველად მხარეებმა ერთთვიან კონტრაქტზე მოაწერეს ხელი. არაა გამორიცხული, ვინსპერი ბექჰემთან ერთად ამერიკაშიც გაემგზავროს და მუდმივად გვერდში ახლდეს.

ბოლო დღეებში განუწყვეტლივ საუბრობენ იმის შესახებ, მოახერხებს თუ არა ამერიკაში გადახვეწილი ბექჰემი ინგლისის ნაკრებში თამაშს. ფეხბურთელს სანაკრებო კარიერის გაგრძელება სურს. ის იმედს გამოთქვამს, რომ "გალაქსის" ხელმძღვანელობა მის სურვილს გაგებით მოეკიდება. ბექზის ოპტიმიზმი უსაფუძვლო არ არის. ლოსანჯელესელთა გენერალური მენეჯერი **ალექსი ლალასი** ასეთ კომენტარს აკეთებს: *"ჩვენ ფიფას წესებით ვმოქმედებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სანაკრებო მატჩებისათვის ვალდებულნი ვართ, ფეხბურთელი დროულად გავათავისუფლოთ. თუ დევიდს მიიწვევენ, საკუთარი ხარჯებით გავიყვანთ ხოლმე აეროპორტში. მისი ნაკრებში ყოფნა "გალაქსისთვისაც" სასახელოა. დიდი სიამაყით გამოვაცხადებთ, რომ ჩვენს ფეხბურთელს ინგლისის ეროვნულ გუნდში უხმეს."*

დევიდ ბექჰემი სარაგოსასთან მატჩისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენგერი: მომავალ ზაფხულამდე არსენალი

არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ "არსენალში" კონტრაქტის ამონურვამდე დარჩება. მწვრთნელმა წერტილი დაუსვა სპეკულაციებს მისი მოსალოდნელი აბარგების შესახებ. ინგლისელი მიმომხილველები იტყობინებოდნენ, რომ ლონდონელთა ვიცე-თავმჯდომარის, დევიდ დინის მოულოდნელი აბარგების შემდეგ, ვენგერიც ბარგს ჩაალაგებდა. ფრანგი მწვრთნელი ამბობს, რომ ხელშეკრულება არასოდეს დაურღვევია და ამის გაკეთებას არც ამჯერად აპირებს: *"გაისად ზაფხულს კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად დავჯდები და სამომავლო გეგმებს განვიხილავ."* განვლილ სეზონზე საუბრისას მოსიე არსენმა აღნიშნა, რომ უკმაყოფილების საფუძველი არ გააჩნია. მის მა გუნდმა ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა და იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც ლივერპულმა: *"არსენალს" ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს. ეს ბიჭები აუცილებლად მოუმატებენ. ახალ ფეხბურთელს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიძენთ, თუ ის განსაკუთრებულად ძლიერი იქნება."*

დორტმუნდმა პეტრიჩი იყიდა

დორტმუნდის "ბორუსიამ" ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელის, **მლადენ პეტრიჩის** ტრანსფერი დაადასტურა. 26 წლის შემტევმა ნახევარმცველმა, რომელსაც ცენტრფორვარდის პოზიციაზეც შეუძლია თამაში და რომელიც BVB-ში შვეიცარიის ვიცე-ჩემპიონ "ბაზელიდან" გადადის, ვესტფალიურ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა. მის კონტრაქტს ვადა 2011 წლამდე ექნება და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, "ბორუსიას" მისი შეძენა 3.5 მილიონი ევრო დაუჯდა.

დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** პეტრიჩს ფლეიმეიქერად მოიაზრებს და პირდაპირ ამბობს, რომ მასში ახალ **ანდრეას მიოლერს** ხედავს. პეტრიჩმა გასულ სეზონში შვეიცარიის ჩემპიონატში 25 თამაში ჩაატარა და 19 გოლი გაიტანა. **ჯოვანი ფედერიკოს** (კარლსრუედან), **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** (ვისლადან), **დიეგო კლიმოვიჩისა** (ვოლფსბურგიდან) და **მარკ ციგლერის** (არმინიიდან) შემდეგ, პეტრიჩი "ბორუსიის" რიგით მეხუთე შენაძენია. დორტმუნდელები პეტრიჩს ორშაბათს წარადგენენ. ამიერიდან BVB აქცენტს მაღალეკალიფიციური ცენტრალური მცველის შეძენაზე გააკეთებს. ვესტფალიელთა სამიზნეში პსჟ-ს უკანახაზელი **დავიდ როზენალია**.

იურგენ კლინსმანი

მწვრთნელი

კლინსმანის ვარიანტები

შაბათს, 9 ივნისს, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები მიუნხენში, "ლეოპოლდშტრასეზე" შეიკრიბნენ და შარშანდელი 9 ივნისი გაიხსენეს, დღე, როცა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი გაიხსნა (გერმანია-კოსტა რიკა 4:2). მიუნხენში ბუნდესგუნდის ყოფილი თავკაცი და გერმანელთა წარმატების უმთავრესი შემოქმედი, **იურგენ კლინსმანიც** დაპატიჟებული გახლდათ მაგრამ კლინსიმ გერმანიაში ჩასვლა იუარა და კალიფორნიაში, ოჯახთან ერთად ყოფნა ამჯობინა.

"იურგენთან, რა თქმა უნდა, ხშირი კონტაქტი მაქვს. კვირა არ გავა, რომ მან არ დამირეკოს და ამბები არ გამომკითხოს. მას ძალიან უხარია, რომ გერმანიის ნაკრებს მუნდიალის ეიფორია დღემდე გამოჰყვა და რომ ჩვენ ევროპის შესარჩევ ციკლში შესანიშნავად ვასპარეზობთ," - აცხადებს ბუნდესგუნდის დამრიგებელი **იოახიმ ლიოვი**, მწვრთნელი, რომელმაც კლინსმანი შეცვალა (მანამდე იურგენის ასისტენტი იყო).

კლინსმანი, ვინც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი 11 ივლისს დატოვა, ახლა სატელევიზიო ექსპერტია. მიუხედავად ამისა, კლინსის მწვრთნელობა სურს და არ მალავს, რომ დიდი შანსია, მომავალ სეზონში რომელიმე ნაკრები ან კლუბი ჩაიბაროს. *"მწვრთნელობას აუცილებლად დავუბრუნდები, ამას წყალი არ გაუვა. გასარკვევი მხოლოდ ისაა, თუ როდის განვაახლებ საქმიანობას, რომელმაც უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. რამდენიმე შემოთავაზება უკვე მაქვს. მეპატიჟებიან, როგორც კლუბებში, ასევე სხვადასხვა ნაკრებშიც,"* - ამბობს 42 წლის იურგენი.

პრემიერლიგა

ვიგანი ბარსაზე და მილანზე ძვირია

ინგლისური ფეხბურთი დანარჩენ ევროპულზე გაცილებით მეტად ფასობს

პრემიერლიგიდან გავარდნას გადარჩენილმა "ვიგანმა" ფანებს სიურპრიზი მოუმზადა. ის სეზონურ აბონემენტებს აიაფებს. მომავალ სეზონში "JJB სთედიუმზე" დასწრება მთელ დივიზიონში ყველაზე იაფი, 250 გირვანქა ეღირება. ეს ინფორმაცია გუშინდელმა "სანდი მირორმა" მოგვაწოდა. ვიგანელთა მაგალითს პრემიერლიგის კიდევ ხუთი კლუბი მიბაძავს, მაგრამ ინგლისელი ფანებისათვის ეს ვერაფერი შეღავათია. პრემიერლიგის სადებიუტო სეზონის შემდეგ (1992-93) აბონემენტები საშუალოდ 550 პროცენტით გაძვირდა. ამიტომ თავგადაკლულ ფანებსაც კი უჭირთ ბალანსის მოძებნა კლუბის ერთგულებასა და საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს შორის. გასაკვირია ისიც, რომ "ბარსელონისა" და "მილანის" ფანები ვიგანელებზე იაფად მოახერხებენ თავიანთი გუნდის საშინაო მატჩების ნახვას. მათ ეს სიამოვნება მინიმუმ 110 და 84 გირვანქა დაუჯდებათ.

"მანჩესტერ იუნაიტედი" ქომაგებს საუცხოო თამაშითა და შედეგებით ანებივრებს, მაგრამ გულშემატკივართა აღშფოთებას საზღვარი მაინც არ აქვს. "ოლდ ტრეფორდზე" მოსახვედრად 475-დან 836-მდე გირვანქაა საჭირო. თუ გაისად პრემიერლიგის აბონემენტს სათასო მატჩების აბონემენტსაც მიაბამენ და ეს უკანასკნელი დამატებით 250 გირვანქა ეღირება, მათ "ბედნიერებას" საერთოდ აღარ ექნება საზღვარი. "იუნაიტედი" თავს იმით იმართლებს, რომ ლონდონის ოთხი დიდი კლუბის აბონემენტი კიდევ უფრო ძვირია. პრემიერლიგის უძვირესი აბონემენტი "ემირიტს სთედიუმზე" იყიდება – "არსენალის" ფანს 1 850 გირვანქის გადახდა უწევს. ამ სიგიჟის მიუხედავად, "მეთოფეებს" მომლოდინეთა 40 ათასიანი სია აქვთ შედგენილი.

"იუნაიტედის" გულშემატკივართა ასოციაცია ბილეთებზე ასტრონომიულ ფასებს გაუმართლებელს უწოდებს, მით უფრო, ახლა, როცა ძალაში უნდა შევიდეს პრემიერლიგის ახალი სატელევიზიო კონტრაქტი. ეს კონტრაქტი კლუბებს იმდენად მეტ შემოსავალს ჰპირდება, რომ ქომაგები სტადიონებზე სულ უფასოდ რომ შეუშვან, მაინც უწინდელზე მეტ ფულს მოიხვეჭენ. "ლივერპულის" სტაჟიანი ქომაგი **გრემ სიგსი** ამბობს, რომ 6.5 პროცენტით გაძვირებული აბონემენტი მის საოჯახო ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. ის ორ აბონემენტს ყიდულობს: თავისთვის და 8 წლის ვაჟ **დევიდისათვის**. მისტერ სიგსს საგაისო ბილეთები 1 300 გირვანქა დაუჯდება და თუ აბონემენტებს 5 ივლისამდე არ მიაკითხავს, კიდევ 100 გირვანქის დამატება მოუწევს. კონტინენტთან სხვაობა თვალშისაცემია. პრიმერა დივიზიონში უძვირესი წლიური აბონემენტი "კამპ ნოუზე" იყიდება. ადგილი საშუალოდ 450 გირვანქა ღირს და ეს თანხა სათასო მატჩებსაც მოიცავს, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მატჩების ჩათვლით აბონემენტების ფასი 565 გირვანქამდე ადის.

გასულ სეზონში საშუალო დონის კლუბების – "ბლექბერნის", "ბოლტონის", "მანჩესტერ სიტის" და "მიდლსბროს" სტადიონებზე ხშირად ნახავდით ცარიელ ადგილებს. მიმომხილველთა აზრით, ეს იმის დასტურია, რომ ქომაგი ფეხბურთზე სიარულს ვეღარ ახერხებს. "ასტონ ვილა" ახალი სეზონის აბონემენტებს, ხუთი პროცენტით იაფად, 2005-06 წლების ფასში გაყიდის. "ბირმინგემის" ქომაგები, რომლებსაც შარშანდელი აბონემენტები ჰქონდათ, პრემიერლიგის მატჩებს ქვედა დივიზიონის ფასში, 20 პროცენტით იაფად დაესწრებიან. "ბლექბერნი" აბონემენტებს 25 პროცენტით გააიაფებს. "სანდერლენდი", პირიქით, დაახლოებით 10 პროცენტით გაძვირებს. შარშან ამ დროს მას 8 ათასი აბონემენტი ჰქონდა გაყიდული, წელს კი ამ რიცხვმა უკვე 26 ათასს მიაღწია. 7 პროცენტით გაიზრდება "ვესტ ჰემის" აბონემენტის ფასიც.

ლივერპულელებს ენფილდზე დასწრება ძალიან ძვირი უჯდებათ

ჰოლანდია. ერედივიზიონი 2006/07. სეზონის მიმოხილვა

გმირები და ანტიგმირი

ეინდჰოვენის წლევანდელი ჩემპიონობა ბედის საჩუქარი იყო

ჰოლანდიის ჩემპიონი ეინდჰოვენი

ჰოლანდიის ჩემპიონატის მთავარი შედეგი - "ეინდჰოვენის" რიგით მე-19 ჩემპიონობა იყო. ჩრდილო ბრაბრანტის კლუბმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უძლეველობა, მაგრამ ახლა უკვე ახალ მწვრთნელთან - **რონალდ კუმანთან** ერთად, რომელმაც **გუუს ჰიდინკი** შეცვალა.

მიუხედავად "ეინდჰოვენის" მორიგი გამარჯვებისა, კლუბის ყველაზე ერთგული გულშემატკივრებიც კი შეუიარაღებელი თვალით შეამჩნევდნენ, რომ კუმანი ჯერ არ არის ჰიდინკი, ხოლო ჩემპიონობა ბედის ნამდვილი საჩუქარი იყო. პირველ წრეში სოლიდური ჰანდიკაპის შექმნის შემდეგ (ჰიდინკისეული გუნდის წყალობით), ეინდჰოვენელებმა მთლიანად გაფლანგეს უდიდესი უპირატესობა. განსაკუთრებით მტკივნეული და სახასიათო იყო ის ნამება, რომელიც გუნდს "ფილიპსის" სტადიონზე "აიაქსმა" მოუწყო. სტუმრებმა შავი დღე აყარეს ლიდერსა და ჩემპიონს - 5:1, თანაც, მიმომხილველთა აზრით, ამსტერდამელებმა ჰუმანურობაც გამოიჩინეს და იმ მატჩში საბოლოოდ არ გადათელეს დაცემული მეტოქე.

ბოლო ტურის წინ, "ეინდჰოვენის" ფორისგან ალარაფერი იყო დარჩენილი. სამი კლუბი გადამწყვეტ მატჩებს ერთნაირი ქულებით შეხვდა, თანაც, "ალკმაარის" შანსები გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, რადგან ამ გუნდს, სხვებზე უკეთესი ბურთების შეფარდება ჰქონდა. მაგრამ სასწაულებრივი შემთხვევითობების გამო, ჩემპიონი ისევ "ეინდჰოვენი" გახდა. ეს შემთხვევითობები იყო "ალკმაარის" წაგება, "ვიტესის" ლმობიერება და **ფილიპ კოკუს** გოლი. "ეინდჰოვენის" კაპიტნის გასროლა, მართლაც ოქროსი აღმოჩნდა: მისი წყალობით, მომავალი ჩემპიონის ბურთების სხვაობა +50 გახდა, "აიაქსის" ეს მაჩვენებელი კი, +49 უდრიდა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ, ამსტერდამში დიდი ხანი, უკანასკნელი სიტყვებით იხსენებდნენ "ვიტესსა" და მის სამწვრთნელო შტაბს, რადგან "ეინდჰოვენთან" ბოლო ტურის მატჩში, პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს ძირითადი მეკარე - **ვლადიმირ სტოიკოვიჩი**. თუმცა, ჩემპიონატის ბედის სასამართლოში გადაწყვეტა, "აიაქსმა" გადაიფიქრა.

■ ■ ■

სამაგიეროდ, "ალკმაარს", იმის ნაცვლად, რომ პრიზების მოსავალი აელო (ჩემპიონობა და თასი), მხოლოდ უეფას თასის მოკრძალებული საგზური ერგო. **ლუის ვან გაალმა** სამხრეთ ჰოლანდიაში შესანიშნავი გუნდი შექმნა (**კო ადრიანსეს** სიმპათიური "ალკმაარისგან" ალარაფერი დარჩა), რომელიც რაღაცით, 90-იანი წლების პირველი ნახევრის "აიაქსს" წააგავდა. "ალკმაარი" შედეგიან, შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა, კარგი იყო ვეტერანი **შოთა არველაძე**. მას არ ჩამორჩებოდნენ უკვე მაღალი დონის ფეხბურთელებად ჩამოყალიბებული - **დენი კოვერმანსი** და **სიმონ ცზიომერი**, ახალგაზრდები - **იულიან ჯენერი, მუსა დემბელე, სტეინ სხაარსი**... ვან გაალმა ალკმაარელებს ყველაფერი ასწავლა, ერთის გარდა - გადამწყვეტ მატჩებში გამარჯვება. ამის გამო: 1. "ალკმაარმა" ბოლო ტურში წააგო აუტსაიდერ "ექსელსიორთან" და ჩემპიონობა დაკარგა; 2. ჰოლანდიის თასის ფინალში პენალტების სერიაში დამარცხდა "აიაქსთან"; 3. "აიაქსთან" ფლეი ოფში კიდევ ერთი ფინალი წააგო და ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩა. შესაბამისად, ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: "ალკმაარის" მთავარი მეტოქე არა "ეინდჰოვენი" ან "აიაქსი", არამედ თავად "ალკმაარია".

■ ■ ■

"აიაქსმა" **ჰენკ თენ ქეითის** ხელმძღვანელობით კარგი სეზონი ჩაატარა - მეორე ადგილი, ჰოლანდიის თასი, "ეინდჰოვენთან" (5:1) და საძულველ "ფეიენოორდთან" (4:0, 4:1) გამარჯვებები. გარდა ამისა, "ბარსელონაში" **ფრანკ რიიკაარდის** ყოფილი ასისტენტი საფირმო აიაქსურ განლაგებას დაუბრუნდა - 4+3+3, რითაც დიდად გაახარა ამსტერდამული პუბლიკა. შესამჩნევად მოუმატა და გუნდის ლიდერი გახდა "თეთრი დავიდსი" - **ვესლი სნეიდერი**. კლუბში დაბრუნებული ნამდვილი **ედგარ დავიდსიც** დიდად დაეხმარა თავის მშობლიურ კლუბს. ცოტათი აერია მიზანი **კლაას-იან ჰუნტელაარს**, მაგრამ "ჰეთ-თრიკების მეფემ" 21 გოლს მაინც მოუყარა თავი.

■ ■ ■

სანამ ჩემპიონატის მთავარ ანტიგმირზე, - "ფეიენოორდზე" ვისაუბრებთ, მცირე ხნით ლოკალური ხასიათის გმირებზე - "ჰერენვეენსა" და "ტვენტეზე" შეჩერებაც ღირს. პოტენციურმა "საშუალოებმა", ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში მოხვედრა შეძლეს (თუმცა, იქ ბევრს ვერაფერს მიაღწიეს) და თავი სიმპათიური თამაშით დაგვამახსოვრეს. "ჰერენვეენმა" თავისი სელექციით კვლავ გაგვაოცა. ამ გუნდმა "მალმიოდან" გადაიბირა მანამდე არაფრით გამორჩეული ბრაზილიელი ნახევარმცველი - **აფონსო ალვეში**, რომლისგანაც სუპერშედეგიანი ფორვარდი შექმნეს - მან ბომბარდირთა დავა 34 გოლით მოიგო.

"ტვენტემ" კი, მაღალი შედეგიანობით გაგვაკვირვა. შესანიშნავი პრესა მიიღო გუნდის ორმა მთავარმა ვარსკვლავმა - "შვედმა" **კენედი ბაჩიროგლუმა** და "შვეიცარიელმა" **ბლეზ ნ'კუფომ**. პირველი ცენტრალური ნახევარმცველის ადგილას თამაშობდა და 15 გოლი მიითვალა. ამის გამო, ის გაისად "აიაქსში" ითამაშებს. წარსულში მცველმა და ახლა თავდამსხმელის პოზიციაზე მოთამაშე ნ'კუფომ 22 გოლი გაიტანა. ნატურალიზებულ კონგოელს ასაკი (32 წელი) უშლის ხელს იმისთვის, რომ უფრო სოლიდურ კლუბში მოიკიდოს ფეხი.

■ ■ ■

ორი წლის წინათ, "ფეიენოორდმა" ლეგენდარული **რუუდ გულიტი** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გააგდო. მაშინ, როტერდამში გადაწყვიტეს, რომ ამაზე უარესი დამრიგებელი კლუბს არ ჰყოლია და არც მომავალში ეყოლება. მართლაც, იმ სეზონში "ფეიენოორდმა" ვერც ჩემპიონობა მოიპოვა და ჩემპიონთა ლიგის მიღმაც დარჩა. გაუშვა 50 გოლზე მეტი, თუმცა, 90 გაიტანა. მაგრამ, გულიტი გაუშვეს და მისი პოსტი, 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთ გამარჯვებულს - **ერვინ კუმანს** ჩააბარეს. თუ პირველ სეზონში უფროსი კუმანის გუნდი ნორმალურ ფეხბურთს აჩვენებდა, ეს წელიწადი მისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა. მთელი სეზონი, როტერდამელთა ბანაკიდან ცუდი ან ძალიან ცუდი ამბები მოდიოდა. "ფეიენოორდმა" მეშვიდე ადგილი დაიკავა და რვა (!) მატჩი წააგო დიდი ანგარიშით.

რა თქმა უნდა, **სალომონ კალუსა** და **დირკ კუიტის** წასვლას უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ, რატომ შეწყვიტეს ზრდა **კასტელენმა, დე გუსმანმა, დრენტმა, ჰოფსმა? რონ ფლაარმა**, რომელსაც "ალკმაარში" მეორე **იააპ სტამს** უწოდებდნენ და ნაკრებშიც იწვევდნენ, საშინელი რეგრესი განიცადა და სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. გამოცდილი მეკარე - **ჰენკ ტიმერი**, რომელსაც ჰოლანდიის ჩემპიონატში 300-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, ყოველ შეხვედრაში გამოუცდელი ახალბედასავით ცდებოდა. ისე გამოვიდა, რომ "ფეიენოორდს" ზურგით ორი ვეტერანი მიათრევდა - 38 წლის **პიერ ვან ჰოოიდონკი** და **ანგელოს ხარისტეასი**, რომელიც გასულ ზაფხულს "აიაქსიდან" ერვინ კუმანის სურვილის საწინააღმდეგოდ შეიძინეს.

ერედივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი აფონსო ალვეში

იტალია

სერია B

XLI ტური

ალბინოლეფე-ბოლონია	2:5
ბრეშია-ჩეზენა	4:2
ჯენოა-ნაპოლი	0:0
ვერონა-ბარი	4:2
კროტონე-ვიჩენცა	0:1
იუვენტუსი-სპეცია	2:3
ტრევიზო-არეცო	1:3
ლეჩე-პესკარა	4:1
მოდენა-ფროსინონე	2:1
პიაჩენცა-ტრიესტინა	1:1
რიმინი-მანტოვა	2:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	42	28	10	4	83-30	85
2. ნაპოლი	42	21	16	5	52-29	79
3. ჯენოა	42	23	9	10	68-44	78
4. პიაჩენცა	42	20	8	14	57-50	68
5. რიმინი	42	17	16	9	55-38	67
6. ბრეშია	42	19	10	13	51-43	67
7. ბოლონია	42	18	11	13	52-43	65
8. მანტოვა	42	15	19	8	47-36	64
9. ლეჩე	42	17	7	18	56-53	58
10. ალბინოლეფე	42	11	20	11	46-48	53
11. ვიჩენცა	42	12	14	16	42-43	50
12. ტრევიზო	42	11	17	14	44-47	50
13. ბარი	42	12	14	16	40-46	50
14. ფროსინონე	42	12	14	16	44-54	50
15. მოდენა	42	12	13	17	38-46	49
16. ჩეზენა	42	12	13	17	51-66	49
17. ტრიესტინა	42	11	16	15	37-48	48
18. ვერონა	42	12	12	18	34-46	48
19. სპეცია	42	11	13	18	50-61	46
20. არეცო	42	12	15	15	42-46	45
21. კროტონე	42	7	11	24	36-67	32
22. პესკარა	42	5	10	27	36-77	24

სერია A-ში გადავიდნენ "იუვენტუსი", "ნაპოლი" და "ჯენოა"

სერია C1

ფლეი ოფი

მონცა-პიზა	1:0
ფოჯა-აველინო	1:0

რუსეთი

XII ტური

ტომი-რუბინი	2:0
ამკარი-ხიმკი	3:1
კრილია-ყუბანი	2:3
ლუჩ ენერგია-ცსკა	4:0
სპარტაკი-ნალჩიკი	2:2
დინამო-სატურნი	1:1
როსტოვი-მოსკოვი	1:1
ზენიტი-ლოკომოტივი	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ცსკა	12	5	5	2	18-13	20
2. სპარტაკი	12	5	5	2	14-12	20
3. კრილია	12	5	4	3	14-10	19
4. ზენიტი	11	5	4	2	15-12	19
5. მოსკოვი	11	4	5	2	9-7	17
6. ლოკომოტივ	10	4	4	2	10-8	16
7. ყუბანი	12	3	7	2	12-11	16
8. დინამო	12	4	4	4	12-13	16
9. ხიმკი	12	4	3	5	12-11	15
10. ტომი	12	3	5	4	14-14	14
11. ამკარი	11	2	6	3	12-11	12
12. ლ-ენერგია	12	3	3	6	9-13	12
13. ნალჩიკი	12	2	6	4	7-12	12
14. სატურნი	11	1	8	2	10-12	11
15. რუბინი	12	3	2	7	11-15	11
16. როსტოვი	12	1	7	4	10-15	10

უკრაინა

XXIX ტური

კრივბასი-სტალი	1:0
მეტალისტი-ტავრია	1:0
მეტალურგი (დ)-ვორსკლა	0:0
ზარია-დნეპრი	0:3
მეტალურგი (ზ)-ხარკოვი	3:1
ჩერნომორეცი-შახტარი	0:0
დინამო-კარპატი	3:1
ილიჩევეცი-არსენალი	4:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	29	21	8	0	66-23	71
2. შახტარი	29	19	6	4	57-18	63
3. მეტალისტი	29	17	7	5	41-20	58
4. დნეპრი	29	11	14	4	32-22	47
5. ტავრია	29	11	6	12	30-30	39
6. ჩერნომორეც	29	10	8	11	35-33	38
7. კარპატი	29	9	10	10	26-34	37
8. მეტალურ (ზ)	29	9	10	10	23-32	37
9. მეტალურ (დ)	29	9	9	11	26-33	36
10. კრივბასი	29	7	14	8	29-34	35
11. ზორია	29	8	7	14	22-43	31
12. ხარკოვი	29	7	9	13	24-38	30
13. არსენალი	29	7	9	13	28-43	30
14. ვორსკლა	29	6	10	13	20-28	28
15. ილიჩევეცი	29	6	7	16	23-36	25
16. სტალი	29	5	6	18	22-37	21

დანია

II დივიზიონი

XXVIII ტური

ბრაბრანდი-ვერფიოლდე	1:3
ოლსტიკე-კიოლდინგი	3:0
ფრემადი-ორჰუსი	2:3
მისკედი-ფრემი	0:2
ფრედერისია-სიონდერიოლი	0:2
კიოგე-ბიკ	2:0
ლუნგბიუ-აკადემისკი	4:0
ნაესტვედი-აგფ ორჰუსი	1:2

პოლონეთი

ლიგის თასი

გროცლინი-ბელხატოვი	1:0

ფინეთი

IX ტური

ლაჰტი-ვაასა	[illegible]
ჰიკ-იარო	2:2
ვიიკინგიტი-ტურკუ	0:1
ვაასა-ოულუ	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტამპერე	8	6	1	1	11-6	19
2. ჰაკა	7	5	1	1	8-4	16
3. ტურკუ	8	5	2	1	15-5	17
4. ლაჰტი	8	4	1	3	15-11	13
5. მიუპა	8	3	3	2	9-6	12
6. ჰონკა	8	3	3	2	11-9	12
7. ჰიკ	9	2	5	2	10-11	11
8. იარო	8	2	3	3	11-11	9
9. ოულუ	8	2	3	3	8-10	9
10. ვიიკინგიტი	8	2	2	4	7-11	8
11. კტპ	7	2	1	4	7-8	7
12. მარიეჰამნი	7	1	4	2	5-6	7
13. ინტერი	8	1	2	5	8-10	5
14. ვაასა	8	0	3	5	4-21	3

ისლანდია

V ტური

ვიკინგური-ბრეიდაბლიკი	1:1
ვალური-კეფლავიკი	2:2
ჰაფნარი-ფილკირი	0:0
კოპავოგური-ფრამი	2:1
აკრანესი-რეიკიავიკი	3:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰაფნარი	5	4	1	0	11-3	13
2. ვალური	5	2	3	0	7-5	9
3. კეფლავიკი	5	2	2	1	10-7	8
4. ვიკინგური	5	2	2	1	5-3	8
5. ფილკირი	5	2	2	1	5-4	8
6. კოპავოგური	5	2	1	2	3-8	7
7. აკრანესი	5	1	2	2	9-9	5
8. ბრეიდაბლიკ	5	0	4	1	4-5	4
9. ფრამი	5	0	2	3	4-9	2
10. რეიკიავიკი	5	0	1	4	5-10	1

ნორვეგია

IX ტური

სტრომსგოდსეტი-ვიკინგი	1:2
სტაბეკი-ლინი	3:2
ტრომსიო-ოლესუნდი	0:2
ვოლერენგა-ოდ გრენლანდი	1:1
როზენბორგი-ფრედრიკსტადი	1:1
ბრანი-ლილესტრიომი	3:1
სტარტი-სანდეფიორდი	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბრანი	9	6	2	1	20-12	20
2. ლილესტრიომ	9	5	2	2	18-10	17
3. სტაბეკი	9	4	4	1	12-9	16
4. ვიკინგი	9	4	3	2	13-12	15
5. როზენბორგი	9	4	2	3	18-13	14
6. ტრომსიო	9	4	1	4	16-15	13
7. ფრედრიკსტ	9	3	3	3	14-16	12
8. სტრომსგოდ	9	3	3	3	11-15	12
9. ლინი	9	3	2	4	17-18	11
10. სტარტი	8	2	4	2	13-14	10
11. ვოლერენგა	9	2	3	4	7-10	9
12. სანდეფიორდ	8	2	2	4	9-12	8
13. ოლესუნდი	9	2	2	5	12-18	8
14. ო. გრენლანდ	9	1	1	7	7-13	4

II დივიზიონი

X ტური

სოგნდალი-ჰამარი 3:4; სპარტა-პიონეფოსი 3:0; რაუფოსი-კონგსვინგერი 2:4; მოსი-მანდალი 3:0; მიოლდე-ტრიომსდალენი 1:0; ლოვ ჰამ-სკეიდი 0:0; ჰაუგესუნდი-ნოტოდენი 2:1; ბრინი-ბოდო გლიმტი 0:2.

შვედეთი

IX ტური

აიკ-ერგრიუ	1:1
ბრომაპოიკარნა-მალმიო	დღეს
ტრელებორგსი-გეფლე	დღეს
ჰალმსტადი-ჰამარბიუ	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ელფსბორგი	9	4	4	1	13-9	16
2. გიოტებორგი	8	4	2	2	13-8	14
3. ჰალმსტადი	8	4	2	2	9-8	14
4. იურგორდენი	8	4	1	3	13-7	13
5. მალმიო	8	3	4	1	11-6	13
6. კალმარი	8	4	1	3	11-8	13
7. გეფლე	8	3	3	2	7-8	12
8. ჰამარბიუ	8	3	2	3	10-5	11
9. აიკ	9	3	2	4	8-12	11
10. ჰელსინგბორ	8	3	1	4	11-10	10
11. გაის	8	2	2	4	5-9	8
12. ერგრიუ	9	1	5	3	7-13	8
13. ტრელებორგ	9	2	2	5	8-16	8
14. ბრომაპოიკარ	8	1	3	4	8-15	6

II დივიზიონი

IX ტური

დეგერფორსი-ჰაკენი 3:2; ლიუნგსკილე-სილვია 1:2; მიალბიუ-ბუნკეფლო 2:2; ატვიდაბერგსი-ენჩოპინგსი 1:0; იონჩოპინგსი-ოსტერსი დღეს; სირიუსი-ლანდსკრონა დღეს.

EURO 2007

UNDER 21

ჰოლანდია-ისრაელი	1:0
პორტუგალია-ბელგია	0:0
ჩეხეთი-ინგლისი	დღეს
სერბეთი-იტალია	დღეს

ბელგია

II დივიზიონი

ფლეი ოფი

ლიერსი-ანტვერპენი	2:0
კორტრიიკი-მეხელენი	2:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაღათბურთი

ლეგიონერი

ბოისას ბოლონია ერგო

გაირკვა **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკის" მეტოქის ვინაობა იტალიის ჩემპიონატის ფინალში. "ლოტომატიკას" 3:1 დამარცხების შემდეგ, სიენელები მშვიდად ელოდნენ მეორე ნახევარფინალის დამთავრებას, სადაც ურთიერთობას არკვევდნენ მილანის "არმანი ჯინსი" და ბოლონიის "ვიდივიჩი". სერია 3:1 ბოლონიელებმა მოიგეს.

მართალია, ნებისმიერ ფინალში პროგნოზების გაკეთება ცოტა სარისკო საქმეა, მაგრამ ფავორიტად მაინც "მონტეპასკი" ითვლება. გარდა იმისა, რომ რეგულარულ პირველობაზე გაიმარჯვა, წლევანდელ ჩემპიონატში, სიენელებმა ორივე მატჩი მოუგეს "ვიდივიჩის" – საკუთარ მოედანზე 90:83 და სტუმრად – 84:76. თუმცა ფინალური სერია სამ მოგებამდეა. საწყისი მატჩები გაიმართება 13, 15 და 17 ივნისს. შემდეგ კი, თუ საჭირო გახდა, 19 და 21 ივნისს. პირველი შეხვედრა სიენაშია, მეორე – ბოლონიაში, მესამე - ისევ სიენაში და ასე შემდეგ. როგორც რეგულარული ჩემპიონატის მომგებს, "მონტეპასკის" საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვს.

რაც შეეხება უშუალოდ **ვლადიმერ ბოისას** წლევანდელ მონაგარს "ვიდივიჩისთან", მან ორივე მატჩში ორ-ორი ქულა ჩააგდო. ვიმედოვნებთ, ქართველი კალათბურთელი ფინალურ სერიაში გაცილებით შედეგიანი იქნება. თუმცა, ამისთვის აუცილებელია, რომ მწვრთნელისგან უფრო მეტი სათამაშო დრო დაიმსახუროს.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

ბარსელონას ვერ შეწვდა

ბარსელონაში WTA ტურის მორიგი ტურნირის ძირითადი ბადის შეჯიბრება ჯერ არ დაწყებულა, რომ ჩვენი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** უკვე დაეთხოვა ტურნირს. ბარსელონას ტურნირის საპრიზო ფონდი 145 ათასი დოლარია, შეჯიბრების დირექტორი კი **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** გახლავთ. მაკა საკვალიფიკაციო ბადეში მეოთხე ნომრად იყო განთესილი. პირველ საკვალიფიკაციო წრეში მან 6:4, 6:0 დაამარცხა ბულგარელი **ბილიანა პავლოვა** (603). მეორე წრეში ქართველი რუს **ეკატერინა აფინოგენოვას** (235) ხვდებოდა. მაკა მატჩის ფავორიტი იყო, რეალობა კი სხვანაირი აღმოჩნდა - ქართველმა ჩოგბურთელმა 20 წლის აფინოგენოვასთან 2:6, 2:6 წააგო.

დევიძე პირველი ნომერია

ამერიკის ქალაქ ალენთაუნში იმართება ქალთა 25-ათასიანი ტურნირი, რომელსაც "მეკო კაპ" ეწოდება. ტურნირში ორი ქართველი ჩოგბურთელი ითამაშებს, ორივე საკვალიფიკაციო წრეში. 21 წლის **სალომე დევიძეს** სულ ცოტა დააკლდა რეიტინგით ძირითად ბადეში მოსახვედრად, ის ალენთაუნში საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესილი, მე-7 ნომრად არის განთესილი **სოფიო მელიქიშვილი**. პირველ წრეში სალომე დევიძე ჰოლანდიელ **ნიკოლ მონტეიროს** შეხვდება, ხოლო სოფიო მელიქიშვილი მალაიზიელ **შერინ ლაის** ეთამაშება. რუმინეთის ქალაქ ბაღსში 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში 18 წლის **სალომე ჩაჩხუნაშვილი** მონაწილეობდა. ამჯერად ჩაჩხუნაშვილმა ვერ იყოჩაღა - პირველივე საკვალიფიკაციო წრეში რუმინელ **პაულა დუნიტასთან** წააგო - 6:3, 3:6, 4:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ვატო ნაცვლიშვილმა, ფილტვის დაზიანების შემდეგ "დიჟონში" მეორე სეზონი ჩაატარა და ეროვნულ გუნდში სათამაშოდაც ემზადება. ნაკრები და კლუბი - ეს ის ორი თემაა, რომლებზედაც ვატოსთან ვისაუბრეთ. ინტერვიუ კი განვლილი სეზონის შეფასებით დავიწყეთ.

ინტერვიუ ვატო ნაცვლიშვილთან

ნაკრებს ჩემპიონატი აკლია

- ჩემს თამაშს ორ ეტაპად გავყოფდი - ნოემბრამდე და მას შემდეგ. ნოემბრიდან მოყოლებული მაისამდე საკმარისადაც ვთამაშობდი და მონაგარიც ნორმალური მქონდა. საფრანგეთის ჩემპიონატში მოედანზე დაახლოებით 15 წუთს ვატარებდი და საშუალოდ 7 ქულასა და 5 მოხსნას ვაგროვებდი. კალათბურთში კარგ შედეგად ითვლება, როცა წუთებთან შეფარდებით ქულები სანახევროდაა. მაგალითად 40 წუთში 20 ქულა შესანიშნავი მაჩვენებელია.

- ნოემბრამდე რა ხდებოდა?

- მანამდე მწვრთნელი არ მენდობოდა, ძალიან ცოტას მათამაშებდა. იყო რაღაც პრობლემები, რომლებზეც საჯაროდ საუბარი არ მსურს. მაგრამ ნოემბერში კონფლიქტი მოგვარდა და მას შემდეგ მწვრთნელის ერთ-ერთ საყვარელ მოთამაშედ ვიქეცი.

- ევროთასის მატჩებში სულაც 25-30 წუთს გათამაშებდა...

- ამ შეჯიბრებაში ამერიკელებზე ლიმიტი იყო დაწესებული, მატჩში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ორ ოკეანისგაღმელს ჰქონდა, ამიტომ წინა ხაზში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მე ვიყავი. სათამაშო დროის გაზრდას მონაგარის გაუმჯობესება მოჰყვა - საშუალოდ 25 წუთში 12 ქულასა და 6 მოხსნას ვითვლიდი. რაც დღესდღეობით კარგ შედეგად მიმაჩნია, თორემ ისეთ ფორმაში რომ ვყოფილიყავი, რაც რამდენიმე წლის წინათ, გაცილებით უკეთესი სტატისტიკა მექნებოდა.

- სეზონის განმავლობაში ოპტიმალურ ფორმას ვერ მიაღწიე?

- როგორ მიმეღწია, როცა ერთი ფეხი ნაოპერაციები მაქვს და მეორე საოპერაციო? თუმცა ქირურგების საქმეში ჩარევას არ ვაპირებ.

- წლეულს რამდენიმე მატჩი ძველებურად კარგად ჩაატარე...

- ყველაზე უკეთ ევროთასზე ესპანურ "ხირონასთან" დაპირისპირება მახსოვს. შეგახსენებთ, ამ კლუბმა ტურნირი ისე მოიგო, რომ მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო. "ხირონას" მეორედ ძლევა ჩვენ შეგვეძლო. მთელმა "დიჟონმა" კარგად ითამაშა და გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ბოლო წამზე მეტოქის ფარქვეშ შესული ჩემი თანაგუნდელი ფეხბურთის ილეთით შეაჩერეს და ყველა რომ განზრახ ჯარიმას ველოდით, მსაჯმა თამაში გააგრძელეთო, გვანიშნა. მატჩი 89:90 წავაგეთ. ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა საკუთარი თამაშით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დავრჩი - ესპანეთის ნაკრების მეფარე მარკ გასოლი არ გავახარე და 17 ქულა ჩავინერე.

- საფრანგეთის ჩემპიონატის ფლეი ოფში მოხვედრამდე ერთი მოგება დაგაკლდათ.

- შარშან მომდევნო ეტაპზე 12 გუნდი გადიოდა, წლეულს - 8. წესითა და რიგით ფლეი ოფში ახლაც უნდა გვეთამაშა, მაგრამ რადმენიმე დასანანი მატჩი დავთმეთ. მაგალითისთვის ბოლოადგილოსან "რეიმსთან" შინ და გარეთ წაგებები გამოდგება. არადა, მათ სულ 6 მატჩი მოიგეს, დიჟონში დავმარცხდით ბოლოსწინა ადგილზე გასულ "ბეზანსონთანაც"... მოკლედ, შიგა და შიგ სერიოზული ჩავარდნები გვქონდა. მაგრამ ზოგად სტატისტიკას თუ ვენდობით, "დიჟონი" საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე სტაბილური გუნდი იყო - დიდი სხვაობით, 15 ქულით ერთადერთხელ წავაგეთ. სხვა შემთხვევებში სხვაობა მინიმალური იყო.

- ამერიკელებზე ლიმიტის "შემსუბუქება" "დიჟონზე" როგორ აისახა?

- დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, როგორც ბაზარზე ჩინელების გამოჩენის შემდეგ - ამერიკელები საფრანგეთში იაფად ჩამოჰყავთ და ევროპელ ლეგიონერთა რიცხვი საგრძნობლად მცირდება. ნებისმიერ გუნდს განაცხადში 4 ამერიკელის შეყვანის უფლება აქვს. კიდევ კარგი, რომ "დიჟონთან" კონტრაქტი ორი წლის წინათ გავაფორმე, თორემ შეიძლება ახლა იმდენი თანხა ალარ გაემეტებინათ.

- ორი წლის წინათ ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმე, რომლის მოქმედების ვადა წლეულს ამოიწურა. რას აპირებ?

- ჯერ ისევ "დიჟონის" წინადადებას ველი. თანამდებობა დაატოვებინეს მთავარ მწვრთნელ ჟაკ მოლჩარს და ჩემი მიწვევა-არმიწვევის საქმე მისი შემცვლელის პრეროგატივაა. ვფიქრობ, თუ "დიჟონში" დავრჩი, ერთი წელიწადი კიდევ ვითამაშებ, ხოლო სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში, ორწლიან კონტრაქტს გავაფორმებ. შემდეგ კი კარიერას დავასრულებ.

- საფრანგეთში ნაკრების მწვრთნელებთანაც გექნებოდა ურთიერთობები.

- მეორე მწვრთნელ კენი ანტკინსონთან ხშირად ვსაუბრობდი, გორდონ ჰერბერტს კი მხოლოდ ერთმანეთთან თამაშებისას ვხვდებოდი. სხვათა შორის, ერთი ასეთი შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტე ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება, თორემ ჰერბერტთან საუბრამდე თამაშს არ ვაპირებდი...

- ე.ი. შეიძლება ნაკრებში არ ყოფილიყავი?

- ასეა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, წლეულს ეროვნულში აუცილებლად ვიქნები. მერე ვნახოთ... A დივიზიონში გადასვლა ჩემთვის დამატებით მოტივაციად იქცევა და ვეცდები, გაისისთვის ფორმა შევინარჩუნო. გაისად თუ რომელიმე უცხოურ კლუბში ვითამაშებ, ხომ კარგი, თუ არა, არც საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებაზე ვიტყვი უარს.

- როგორ ფიქრობ, ნაკრებს ისეთი რა აკლია, რაც A ლიგაში გადასვლაში ხელს უშლის?

- გვყავდა NBA-ს ორი მოთამაშე (ერთერთი, ნიკა ცქიტიშვილი ახლა ესპანეთშია), ზოგიერთი ევროლიგაზეც თამაშობდა, ორი უცხოელი მწვრთნელი გამოვიცვალეთ, მაგრამ შედეგი არ გვქონდა. ამის მიზეზი მარტივია - ჩვენ საქართველოს წარმომადგენლები ვართ. რაც ნაკრები შეიქმნა, მხოლოდ ორი საკვალიფიკაციო ეტაპი გადავლახეთ - ისიც საწყის ორ ცდაზე, მაშინ, როცა მხოლოდ ერთი ლეგიონერი გვყავდა (ვლადიმერ სტეფანია). საქმე ისაა, რომ კარგი შიდა ჩემპიონატი გვქონდა. მასში საბჭოთა სკოლებში გამოწვრთნილები ვთამაშობდით და გამოცდილებაც დიდი გვქონდა. ახლა ეროვნული ჩემპიონატის დონე 90-იანი წლების დასაწყისთან შედარებით საგრძნობლად დაბალია... და თუ ჩემპიონატი არ გივარგა, ნაკრებს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა გაუჭირდება. ამას დანიელები კი ახერხებენ, მაგრამ მათი მოდელი ქართველებს არ უდგება.

თურქეთის ტერიტორიაზე 20 წლის წინათაც ისეთივე ხალხი ცხოვრობდა, როგორც ახლა, მაგრამ მას შემდეგ ჩემპიონატში ფული ჩადეს, ლეგიონერები ჩაიყვანეს და ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჰყავთ. ლეგიონერები საქართველოს ჩემპიონატშიც საჭიროა. სწორედ მათ გვერდით უნდა აიმაღლოს კლასი ადგილობრივმა მოთამაშემ.

ვაჟა სიმონიშვილი

ვახტანგ ნაცვლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა საქართველოს ჩემპიონატი

მამუკა ტულუში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ყველა უძლიერესი, გარდა ქევხიშვილისა

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 20 გუნდი. აქედან, ორი დედაქალაქური იყო, დანარჩენი კი რეგიონების – ფოთის, აჭარის, ზუგდიდის, ბორჯომის, ახალციხის, ქუთაისის, გარდაბნის, ოზურგეთის, მარტვილის, ლაგოდეხის, დუშეთის, თიანეთის, გორის, ვანის, წყალტუბოს, ახმეტის, ჭიათურისა და ასპინძის. ელოდებოდნენ ყვარლელ, საგარეჯოელ და ქარელელ სპორტსმენებსაც, მაგრამ მათ თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლეს.

ჩემპიონატი ორ ჯგუფად ჩატარდა. საერთო ჩათვლაში, ელიტურ ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის პირველმა გუნდმა (672 ქულა), ქუთაისელები მეორე ადგილზე გავიდნენ (336,6 ქულა), ხოლო მესამე პოზიცია ახალციხელებს ერგოთ, რომლებმაც 293 ქულა მოაგროვეს. მეორე ჯგუფში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. წყალტუბო (118 ქულა), 2. ოზურგეთი (111), 3. ახმეტა (89)

შეჯიბრების შემდეგ, გავესაუბრეთ ჩემპიონატის მთავარ მსაჯს, ეროვნული ნაკრების მწვრთნელ **ყარამან საბანაშვილს**:

- ჩემპიონატმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდით ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელებს – გოჩა ძასოხოვსა და ირაკლი მეძმარიაშვილს, რომლებიც უანგაროდ გვიდგანან მხარში. სტადიონს აქვს განახლებული, ბრწყინვალე მძლეოსნობის სექცია, რომელიც სიმბოლურ ფასად ემსახურება ჩვენს წამყვან მძლეოსნებს და შეჯიბრებებსაც უპრობლემოდ ვატარებთ.

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობდა, ფაქტობრივად, ყველა უძლიერესი სპორტსმენი – მათ შორის ისინიც, ვისგანაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებს ველით. გამონაკლისი იყო მხოლოდ ამერიკაში მოვარჯიშე მარიამ ქევხიშვილი, რომელიც დღითიდღე უმატებს და ვიმედოვნებ, მალე აჩვენებს იმ ნორმატივს, რომელიც პეკინში მოსახვედრად საკმარისი იქნება. ქევხიშვილს ამერიკაში ორ დღეში ექნება სერიოზული შეჯიბრება და მოუთმენლად ველი, რა შედეგს აჩვენებს.

კაცები

თარჯრბენი (110 მ)
1. დავით ილარიანი (თბილისი) 13,8
2. დავით ტაბეშაძე (ქუთაისი) 16,5
3. დავით მორჩიაშვილი (წყალტუბო) 17,9
თარჯრბენი (400 მ)
1. დავით ტაბეშაძე (ქუთაისი) 57,6
2. დავით მორჩიაშვილი (წყალტუბო) 1,01,1
3. ნიკა იოსელიანი (აჭარა) 1,02,3

100 მ.
1. დავით ცუცქირიძე (ბორჯომი) 10,7
2. სანდრო გაგუნია (თბილისი) 11,3
დავით ბარამიძე (აჭარა) 11,4
200 მ.
1. დავით ცუცქირიძე (ბორჯომი) 21,8
2. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) 22,1
3. გიორგი ანთელიძე (თბილისი) 22,3
400 მ.
1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) 49,0
2. თენგიზ ლვინჯილია (ზუგდიდი) 50,7
3. გიორგი ანთელიძე (თბილისი) 51,0
800 მ.
1. თენგიზ ლვინჯილია (ზუგდიდი) 4,12,6
2. მერაბ ქინიძე (თბილისი) 4,12,8
3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე) 1,57,7
1500 მ.
1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე) 4,12,6
2. მერაბ ქინიძე (თბილისი) 4,12,8
3. ნიკა გატანაგოვი (ქუთაისი) 4,15,3
3000 მ.
1. გიორგი შეკრელიძე (დუშეთი) 8,37,4
2. ჯეირან ხოფერია (ფოთი) 8,46,1
3. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე) 8,49,2
5000 მ.
1. გიორგი შეკრელიძე (დუშეთი) 15,12,8
2. ჯეირან ხოფერია (ფოთი) 15,19,2
3. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი) 16,17,0
სიმაღლეზე ხტომა
1. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) 190
2. დავით სარიშვილი (თბილისი) 185
3. ზურაბ გოგოჭური (გარდაბანი) 185
სიგრძეზე ხტომა
1. დავით ილარიანი (თბილისი) 7,46
2. ბორის სხირტლაძე (თბილისი) 6,88
3. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) 6,69
სამხტომი
1. ბორისლავ სხირტლაძე (თბილისი) 15,00
2. ბექა დანელია (მარტვილი) 13,83
3. ვახტანგ ჯინჭველაშვილი (ქუთაისი) 13,53
ბირთვი
1. მამუკა ტულუში (ოზურგეთი) 16,18
2. ბენიკ აბრამიანი (თბილისი) 15,95
3. მინდია ერქომაიშვილი (ოზურგეთი) 14,20
ბადრო
1. მინდია ერქომაიშვილი (ოზურგ.) 43,72
2. ბენიკ აბრამიანი (თბილისი) 40,20
3. დავით განთიძე (ოზურგეთი) 39,75
შუბი
1. როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი) 55,66
2. გოგია ლონლაძე (თბილისი) 47,60
3. ლაშა ონიაშვილი (აჭარა) 38,09
ამანათრბენი (4X100)
1. თბილისი 45,1
2. აჭარა 47,1
3. ქუთაისი 48,0
ამანათრბენი (4X400)
1. ახალციხე 3,30,1
2. ქუთაისი 3,31,2
3. ზუგდიდი 3,36,5

ქალები

თარჯრბენი (100 მ)
1. მაია გოგოლაძე (თბილისი) 15,1
2. ლიკა დვალიშვილი (თბილისი) 16,4
3. რიტა ფუტურიძე (ქუთაისი) 17,7
თარჯრბენი (400 მ)
1. სოფო მანუკიანი (თბილისი) 1,06,0
2. თეა ფაცურია (ფოთი) 1,09,2
3. ირინა ლაზავაია (გორი) 1,10,1
100 მ.
1. ანა ონიაშვილი (თბილისი) 12,7
2. სოფო გაფრინდაშვილი (თბილისი) 12,8
3. სალომე აბშილავა (ზუგდიდი) 12,9
200 მ.
1. სოფო გაფრინდაშვილი (თბილისი) 26,7
2. სალომე აბშილავა (ზუგდიდი) 26,9
3. ეკა ბუდანოვა (აჭარა) 27,1
400 მ
1. გაიანე უსტიანი (ახალციხე) 59,5
2. სოფო მანუკიანი (თბილისი) 1,00,4
3. ირინე ლოზოვაია (გორი) 1,00,7
800 მ
1. გაიანე უსტიანი (ახალციხე) 2,16,4
2. ნინო გველესიანი (ჭიათურა) 2,27,9
3. ირინა დენისკინა (ბორჯომი) 2,29,6
1500 მ.
1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი) 5,05,1
2. ნინო გველესიანი (ჭიათურა) 2,27,9
3. სოფიო ჩოჩნიძე (ბორჯომი) 5,07,4
3000 მ.
1. გიული დეკანაძე (ვანი) 10,11,0
2. სოფო ჩოჩნიძე (ბორჯომი) 11,37,2
3. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი) 11,51,0
5000 მ.
1. გიული დეკანაძე (ვანი) 17,51,2
სიმაღლეზე ხტომა
1. ლიკა დვალიშვილი (თბილისი) 150
სიგრძეზე ხტომა
1. იულია ლუგინა (თბილისი) 5,31
2. მაია გოგოლაძე (თბილისი) 5,11
3. სოფიო მაჭავარიანი (თბილისი) 4,93
სამხტომი
1. იულია ლუგინა (თბილისი) 12,20
2. ქრისტინა შალამბერიძე (ქუთაისი) 11,50
3. ევგენია ჩერნოვიკოვა (ფოთი) 10,87
ბირთვი
1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი) 11,77
2. ნათია ნაჭყეპია (ფოთი) 9,89
3. თეონა ბექაურიძე (ახმეტა) 8,90
ბადრო
1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი) 43,62
2. ქეთინო ჩაგანავა (ფოთი) 32,24
3. მარიამ გოგნაძე (ასპინძა) 21,6
შუბი
1. ქეთინო ჩაგანავა (ფოთი) 34,34
2. თამუნა ჩხუბიანაშვილი (თბილისი) 32,6
3. თეა ფაცურია (ფოთი) 30,49
ამანათრბენი (4X100)
1. თბილისი 50,7
2. ფოთი 53,7
3. ქუთაისი 53,9
ამანათრბენი (4X400)
1. თბილისი 4,22,4

ჭადრაკი

მაია ჩიბურდანიძის თასი

ქალები იოლად არ თმობენ

შაბათ-კვირას მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მეოთხე და მეხუთე ტური გათამაშდა. მეოთხე ტურის წინ ექვსი ლიდერი იყო და ისინი ერთმანეთს დაუწყვილდნენ. ექვსეულში მყოფი ორი ქალბატონი, **თამარ წერეთელი** და **ინგა ჭარხალაშვილი**, შავებით ხვდებოდა მეტოქეებს და ამჯერად მათი მცდელობა უშედეგო იყო - წერეთელმა **გიორგი ბალათუროვთან** წააგო, ჭარხალაშვილმა კი - **გიგა ყუფარაძესთან**. **ივერი ჭილაძემ** და **ბეგლარ ჯობავამ** ერთმანეთში ქულა გაიყვეს და ამის შემდეგ ცხრილის სათავეში ბალათუროვი და ყუფარაძე მოექცნენ.

ტურნირი რომ თანაბარძალოვანი მოჭადრაკეების სიმრავლით გამოირჩევა, მრავალჯერ აღვნიშნეთ, ამიტომ პროგნოზირება ძალიან რთულია. ხშირია მოულოდნელი შედეგებიც, თუმცა ამ მხრივ შაბათი დღე დიდად არ გამორჩეულა. უფრო სენსაციური იყო კვირა, მეხუთე ტური: **კონსტანტინე შანავამ** კვლავ წააგო ქალბატონთან - ამჯერად ინგა ჭარხალაშვილმა აჯობა; ვერ მოიგო **ლევან ფანცულაიამ** - შავებით თამარ წერეთელს დაუზავდა; ყაიმით ითამაშა **ალექსანდრა ვახანიამ** - მისი მეტოქე **დავით ზარქუა** იყო; **სოფიკო გურამიშვილმა** კი დიდოსტატ **ვალერიან გაფრინდაშვილთან** გააფორმა ზავი.

მეხუთე ტურში ლიდერებმა **გიორგი ბალათუროვმა** და **გიგა ყუფარაძემ** სწრაფად ითამაშეს ყაიმით. ამით იარგებლეს მდევრებმა და ლიდერთა ტანდემი კვარტეტად იქცა - **თორნიკე სანიკიძემ** შავებით ბეგლარ ჯობავა დაამარცხა, ხოლო ივერი ჭილაძემ ასევე შავებით **დავით ბენიძეს** მოუგო; ორივე გამარჯვებულს 4.5 ქულა გაუხდა, ისევე როგორც ბალათუროვსა და ყუფარაძეს. ამათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **მიხეილ კეკელიძე**, ინგა ჭარხალაშვილი და **გაიოზ ნიგალიძე**. 3,5 ქულა კი 13 მონაწილეს აქვს, რომელთა შორის 6 ქალია.

ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ირჯებიან რეიტინგფავორიტები - ლევან ფანცულაიას და **დავით არუთინიანს** 3,5 ქულა აქვთ; კონსტანტინე შანავას კი - 3. თუმც ჩამორჩენა არცთუ დიდია და დარჩენილ 4 ტურში ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

მეექვსე **ტურში**: **გიორგი ბალათუროვი (4,5) - ივერი ჭილაძე (4,5); თორნიკე სანიკიძე (4,5) - გიგა ყუფარაძე (4,5); მიხეილ კეკელიძე (4) - ინგა ჭარხალაშვილი (4); გაიოზ ნიგალიძე (4) - ანა გავაშელი (3,5); ლევან ფანცულაია (3,5) - ბელა ხოტენაშვილი (3,5); დავით ზარქუა (3,5) - დავით არუთინიანი (3,5); ნინო ბაციაშვილი (3,5) - ბეგლარ ჯობავა (3,5); თამაზ მგელაძე (3,5) - მაია ლომინეიშვილი (3,5); სალომე მელია (3,5) - თამარ წერეთელი (3,5); ლუკა პაიჭაძე (3,5) - ალექსანდრა ვახანია (3,5); კონსტანტინე შანავა (3) - შოთა აზალაძე (3); ვალერი გაფრინდაშვილი (3) - ლევან აროშიძე (3); დავით ბენიძე (3) - ხვიჩა სუპატაშვილი (3); ილლარ ბაჯარანი (3) - დავით მაღალაშვილი (3); სოფიკო გურამიშვილი (3) - ნანა ძაგნიძე (3); ნიკოლოზ ჩხაიძე (3) - მაკა ფურცელაძე (3); არმაის ჩილირგარიანი (2,5) - ნოდარ ლორთქიფანიძე (3); მალხაზ სულაშვილი (2,5) - ლევან გოგოჭური (2,5); ქეთი წანალაშვილი (2,5) - ბაჩანა მორჩიაშვილი (2,5); მადონა ბოკუჩავა (2,5) - პარმენ გელაზონია (2,5).**

ზვიად შათირიშვილი

მთავარი რედაქტორის სვეტი

პატრიოტიზმის დეფიციტი

ზედმიწევნით გულმოდგინედ იწერება იმთავითვე ქართული სპორტის ისტორია. თუმცა სხვა სფეროებისგან განსხვავებით, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ის ვისაც ჰქვია მკვლევარი, მაინც ცოტა გვყავს. დროს ყოველდღიურობა ისტორიაში გადაჰყავს. მერე, ერთეული მოვლენა თუ ხდება გახსენების ღირსი. რომ არ დაგავიწყდეს უნდა გაიხსენო, მნიშვნელოვან მოვლენებს კი მკვლევარები სთავაზობენ საზოგადოებას. დიახ, ვიმეორებთ, მკვლევარი ცოტაა დღეს. ან, სულაც არ არის. ყოველ შემთხვევაში, აღარ ჩანან. ერთი ორი გამოუსწორებელი მაძიებელია მხოლოდ, წარსულში რომ გვახედებს და გვახსენებს უდავოდ გასახსენებელს. პირადად მე ასეთი ორი ადამიანი ვიცი, - ლვაწლმოსილი ჟურნალისტი, საჩინოდ მრავალმხრივი მოღვაწე პაატა ნაცვლიშვილი და ასევე საზოგადოებრიობისთვის კარგად ცნობილი ვეტერანი საფეხბურთო მსაჯი ელდარ ჩიფჩიური. ქართული სპორტის მატიანეში რამდენიმე საყურადღებო ფაქტისთვის მიუკვლევია ერთსაც და მეორესაც - რაც "ლელოს", საჯარო გაუხდია სხვადასხვა დროს. ზოგიერთი მოვლენა საიუბილეოც იყო ან დღესაც არის, მაგრამ, რად გინდა, სწორედ ის დუმს, ვინც უნდა იხმაუროს, იამაყოს და სხვაც გააამაყოს.

კონკრეტულად: ბევრი არ არის, რა თქმა უნდა, მსოფლიოში ქვეყანა, თავი რომ მოიწონოს ფეხბურთში საუკუნოვანი ისტორიით. საქართველო ბედნიერ გამონაკლისთა შორისაა. ვარაუდით, ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ისტორია 100 წელზე უხნესია, მაგრამ მიუკვლეველია კონკრეტული თარიღი, ჯერჯერობით. აი, საუკუნოვანი ასაკი კი, ეჭვს არ იწვევს. მიკვლეულიცაა და მეტიც! გაიხსენეთ "შევარდენი 1906". ესე იგი... მაგრამ საუკუნოვან იუბილეს ვინ ჩივის - განა შეიძლებოდა? ეს გუნდი, საერთოდ, გაწირეს. ელდარ ჩიფჩიურმა დოკუმენტურად დაადგინა თბილისის ფეხბურთის ასწლოვანი ასაკი, მაგრამ, გგონიათ, ვინმე დაინტერესდა? არა და არა! პაატა ნაცვლიშვილმა "ლელოს" მკითხველს აუწყა, თანაც "ვისაც ჯერ არს" შეახსენა, რომ ძიუდოს საქარველოში წლეულს 50 წელი უსრულდებოდა და წამოაყენა წინადადება ეს წელიწადი ჩვენში, ძიუდოს წლად გამოცხადებულიყო (თუმცა ურიგო არც ამ თარიღის საზეიმო აღნიშვნა იქნებოდა). ისევ დუმილი... ხანდახან იერიქონის საყვირი მოენატრება კაცს!

ერთმა ჩვენმა ეროვნულმა ფედერაციამ თავისი სპორტის სახეობის საერთაშორისო იუბილე აღნიშნა ამას წინათ. მოთხოვნა იყო მსოფლიო ფედერაციიდან. საქართველოში სპორტის ის სახეობა არანაკლებ ისტორიულია, მაგრამ საიუბილეო თარიღმა ისე ჩაიარა, არავის გაახსენდა, ან არ გაიხსენა.

ერთ ცნობილ პიროვნებას ზემოხსენებულ გულგრილობაზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, მოკლედ, მაგრამ დამაფიქრებლად მიპასუხა - პატრიოტიზმი გახდა დეფიციტი და ნურაფერი გიკვირსო...

დეფიციტი, ზოგადად უარყოფითი მოვლენაა. მით უფრო, როცა საქმე პატრიოტიზმს და მის სახიერ გამოვლენას - სპორტს ეხება...

მილოცვა

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო 80 წლისთავს ულოცავს მოფარიკავეთა თაობების აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სიმონ მამულაშვილს, უსურვებს მას ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩემპიონატი

ფინალი. საქართველო-საფრანგეთი. დავით ჩიტიძის შეტევა — ნუგზარ სუარიძის ფოტო

შვიდკაცა რაგბი. ევროპის სერია

ფარი კვლავ ფრანგებისაა

თბილისის შვიდკაცა წლეულსაც ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. ქართველოს ნაკრები ფინალში მოწინააღმდეგეს ბოლომდე თავდადებით ებრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა 19:34.

წლევანდელ ტურნირზე ოთხი გამოკვეთილი ფავორიტი იყო: საქართველო, საფრანგეთი, უკრაინა და მოლდოვა. ნახევარფინალშიც სწორედ ეს გუნდები გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ სამი უცხო ქვეყნის ნაკრებში ჩვენი თანამემამულეები ირჯებოდნენ. ისრაელის გუნდში **თორნიკე სუხიაშვილმა** ითამაშა, ბერძენთა ღირსებას **ლევან ივანიშვილი** იცავდა, უკრაინელთა რიგებში კი **გიორგი თოდრაძე** და **გიორგი გეგიძე** გამოირჩეოდნენ.

ჯგუფურ ეტაპზე მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა თავიანთი შეხვედრები უპრობლემოდ მოიგეს და ფლეი ოფებისთვის გაემზადნენ. მიხეილ მესხის სტადიონზე ხალისი უკრაინელმა გულშემატკივრებმა შემოიტანეს, რომლებიც სპეციალურად ჩამოჰყვნენ გუნდს საქმაგოდ. პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლები მორიგეობით ხან თავიანთ გუნდს ქომაგობდნენ ხან ჩვენსას. ვალში, ცხადია, არც ჩვენ დავრჩენილვართ. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოსა და უკრაინის ნაკრებების გზები ნახევარფინალში გადაიკვეთა და საკმაოდ უშეღავათო ორთაბრძოლაც შედგა.

მანამდე ქართველმა მეშვიდკაცეებმა იოლად სძლიეს პირველ მატჩში ტურნირის დებიუტანტ საბერძნეთის ნაკრებს 45:5. მერე კი ორი შეხვედრა ერთი და იმავე ანგარიშით 35:0 დაამარცხეს ისრაელი და მოლდოვა. ყველაზე მეტად ჯგუფურ ეტაპზე ლატვიის ნაკრებთან გაგვიჭირდა. ვინაიდან შეხვედრას სატურნირო მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, შესაძლოა ბიჭები ოდნავ მოდუნდნენ. ანგარიშში თავიდანვე ლატვიელებმა გახსნეს. თუმცა ბორჯღალოსნებმა ძალების მობილიზება მაინც მოახერხეს და საბოლოოდ 12:7 დაამარცხეს მეტოქე.

ნახევარფინალში რთული ბრძოლა გადაგვხდა უკრაინასთან. მეტოქემ პირველივე შეტევაში ლელო გაგვიტანა - 0:5. საპასუხო ლელო **ირაკლი გეგენავას** ანგარიშზეა, **გიორგი კაჭარავამ** გარდასახა 7:5. ტაიმის მიწურულამდე ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთი შედეგიანი შეტევა განახორციელეს. მარცხენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა შექმნეს, მერე **ბექა სარდანაშვილმა** და **სანდრო ნიჟარაძემ** ჯვარედინი კომბინაცია გაითამაშეს - 12:5. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა თითო ლელო გაცვალეს, ჩვენი გუნდიდან თავი ისევ ნიჟარაძემ გამოიჩინა და უკრაინა 17:12 დავამარცხეთ, თუმცა თამაშის ბოლოს მეტოქემ შემოგვიტია და ნერვიულობა მოგვიხდა.

ფინალი ყველაზე რთული და დამქანცველი გამოდგა. ჩვენმა ჯერ კიდევ გამოუცდელმა გუნდმა დასაწყისშივე რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რის შედეგადაც ფრანგებმა საგრძნობლად დაწინაურება შეძლეს - 17:0. ტაიმის მიწურულს ჩვენმა მორაგბეებმა მაინც მოახერხეს ლამაზი კომბინაციის გათამაშება და მარჯვენა ფრთაზე კიდესთან ახლოს, **დავით ჟამუტაშვილმა**, ლელო გაიტანა- 5:17.

მეორე ტაიმი ჩვენთვის ისევ ცუდად დაიწყო. ფრანგებმა ლელო მალევე გაგვიტანეს და 22:5 დაწინაურდნენ. რაზეც ლელოთიევ კაჭარავამ უპასუხა **დავით ჩიტიძის** გარღვევის შემდეგ 12:22. თამაშის დამთავრებამდე დრო საკმარისად იყო, თუმცა ჩიტიძის ერთი ლელოს პასუხად ფრანგებმა კიდევ ორი გაგვიტანეს 34:19 და მთავარი ჯილდო, ფარი, დამსახურებულად ირგუნეს.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა ორი ეტაპის ჯამში 24 ქულა დააგროვა და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ფინალი ივლისის დასაწყისში, მოსკოვში გაიმართება.

ბესიკ ჯანგავაძე

თბილისის შვიდკაცა
9-10 ივნისი

A ჯგუფი: ბულგარეთი-საფრანგეთი 0:62, უკრაინა ბელგია 21:0, საფრანგეთი-აზერბაიჯანი 45:5, უკრაინა-ბულგარეთი 45:0, ბელგია-აზერბაიჯანი 29:0, საფრანგეთი-უკრაინა 10:0, ბელგია-ბულგარეთი 19:19, უკრაინა-აზერბაიჯანი 43:0, საფრანგეთი-ბელგია 42:0, აზერბაიჯანი-ბულგარეთი 12:7.

B ჯგუფი: საბერძნეთი-საქართველო 5:45, მოლდოვა-ლატვია 22:7, საქართველო-ისრაელი 35:0, მოლდოვა-საბერძნეთი 47:12, ლატვია-ისრაელი 21:12, საქართველო -მოლდოვა 35:0, ლატვია-საბერძნეთი 38:12, მოლდოვა-ისრაელი 21:15.

მე-9 ადგილისთვის

ბულგარეთი-საბერძნეთი	55:0

ნახევარფინალი

გელგია-ისრაელი	31:7
ლატვია-აზერბაიჯანი	33:0
საფრანგეთი-მოლდოვა	**33:7**
საქართველო-უკრაინა	**17:12**

მე-7 ადგილისთვის

ისრაელი-აზერბაიჯანი	33:5

მე-5 ადგილისთვის

ლატვია-გელგია	24:5

მე-3 ადგილისთვის

უკრაინა-მოლდოვა	19:0

ფინალი

საფრანგეთი-საქართველო	34:19

1.საფრანგეთი, 2.საქართველო, 3.უკრაინა, 4.მოლდოვა, 5.ლატვია, 6.ბელგია, 7.ისრაელი, 8.აზერბაიჯანი, 9.ბულგარეთი, 10.საბერძნეთი

გიორგი შკინინის შეტევა

IRB. ერთა თასი

ირიბი მოგება რუმინეთთან: +37

საქართველო-სამხ. აფრ. A 7:24

საქართველო: (15-9) **ურჯუკაშვილი** (ხამაშურიძე 64), **ელოშვილი, გიგაური, კაჭარავა, შკინინი, კვირიკაშვილი, სამხარაძე** (აბუსერიძე 54); (1-8) **ხინჩაგიშვილი, ჭყონია** (ყლენტი 45 სბ 66), **ყუფარაძე** (მაგრაქველიძე 57), **მჭედლიშვილი** (დიდებულიძე 68), **დათუნაშვილი** სბ 34, **ი. მაისურაძე** (ზ. მაისურაძე 45), **ურუშაძე, ჩხაიძე** (სუთიაშვილი 72) - *ლ (საჯარიმო) გ (კვირიკაშვილი)*

ს. აფრიკა: (15-9) **ფორტუნი, ლუდიკი, დელპორტი, ბოსმანი, ნობლი, გრანტი, ფერმააკი**; (1-8) **მაკუ, კონსტანტი, მსოლი, ბლინიო, სტეენკამპი, ჩიბილიკა, მაკუენა, ჟუბერი** - *3ლ (დელპორტი), 3გ,ს (გრანტი)*

მსაჯი: **კ. დამასკო** (იტალია)

"გუნდის თამაშით კმაყოფილი ვართ. ბიჭებმა თავდადებით იბრძოლეს. რუმინელებივით არ შევრცხვენილვართ, თუმცა შეცდომები მრავლად გვქონდა. კარგად გაართვეს დაკისრებულ ამოცანებს თავი დებიუტანტმა პირველხა ზელებმა ირაკლი ჭყონიამ და ელიზბარ ყუფარაძემ. ნათლად დავინახეთ, რომ კარგი რეზერვი გვყავს." -გვითხრა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **მალხაზ ჭეიშვილმა**.

საქართველოს ნაკრები IRB-ის ერთა თასის გათამაშების მეორე შეხვედრაში სამხრეთი აფრიკის მეორე ნაკრებთან 7:24 დამარცხდა, რაც რაგბის სპეციალისტებისთვის ერთგვარი მოულოდნელობაცაა. მით უფრო, რომ ხუთი დღის წინ ამავე გუნდმა, მასპინძლების, რუმინელთა ნაკრები 61:7 გაანადგურა.

ანგარიში უკვე მე-5 წუთზე აფრიკელებმა გახსნეს. თავი მათმა შუამარბმა **მარიუს დელპორტმა** გამოიჩინა, რომლის ანგარიშზეც დანარჩენი ორი ლელოცაა. დელპორტის ლელო **პიტერ გრანტმა** გარდასახა - 7:0.

ბორჯღალოსნებმა ანგარიშის გაქვითვა შვიდ წუთში შეძლეს. ის იტალიელმა არბიტრმა **კარლო დამასკომ** აფრიკელები ხუთმეტრიანი შერკინების ჩაქცევისთვის საჯარიმო ლელოთი დასაჯა. **მერაბ კვირიკაშვილმა** გარდასახა - 7:7. ორ წუთში მანვე არეკნით სცადა მეტოქის კარის დალაშქვრა მაგრამ უშედეგოდ. 23-ე წუთზე მეკოს კიდევ ერთხელ მიეცა შანსი ბორჯღალოსნების აქტივისთვის ქულები მიემატებინა, მაგრამ საჯარიმოდან არაზუსტად დაარტყა. ამ დროისთვის აფრიკელები უკვე შვიდი ქულით იყვნენ წინ. მოქმედი პირები იგივენი იყვნენ - დელპორტმა ლელო გაიტანა, გრანტმა გარდასახა.

ტაიმის ბოლო ექვსი წუთი კაცნაკლულები დავრჩით, რადგან 34-ე წუთზე არბიტრმა მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი** გაასინებინა. მიუხედავად ამისა, მეორე ნახევარი ჩვენმა გუნდმა უფრო აქტიურად დაიწყო. ერთ-ერთ ეპიზოდში სამი წუთის განმავლობაში მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში ვუტევდით, მაგრამ შერკინების მოთამაშეებს ბოლოს ბურთი ხელიდან გაუვარდათ. 51-ე წუთზე დელპორტმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა, გრანტმა ისევ გარდასახა 21:7, რასაც მანვე 63-ე წუთზე საჯარიმოც მიაყოლა 24:7. თამაშის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ 66-ე წუთიდან ბორჯღალოსნები ისევ კაცნაკლულები დარჩნენ. დამასკომ ამჯერად **გიორგი ყღენტი** გააძევა 10 წუთით.

ბესიკ ჯანგავაძე

არგენტინა A-ნამიბია 47:13

არ: 7ლ,3გ,2ს
ნამ: ლ,გ,2ს

რუმინეთი-იტალია A 19:8

რუმ:(15-9)**დუმბრავა, ფერკუ, ბრეზოიანუ, გალი, თეოდორესკუ, დიმოლტე, კალაფეტიანუ**; (1-8) **პოპესკუ, ტინკუ, ბ.ბალანი, ურსაკე, პეტრე, ბურჩა, ტუდორი, კოროდიანუ** - *2ლ (ფერკუ, დუმიტრაში), 3ს (კალაფეტიანუ)*

იტა: (15-9) **სკარბი, როზა, პოცებონი, ბარბინი, ნიტოლია, მარკატო, ლეონარდი**; (1-8) **ბოკალონი, გირალდინი, ჩიტადინი, პავანელო, ველა, დალმაზო, პერსიკო, ერაზმუსი** - *ლ (როზა), ს (მარკატო)*

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ს. აფრიკა A	2	2	0	0	+71	9
2. არგენტინა A	2	2	0	0	+41	9
3.საქართველო	2	1	0	1	-9	4
4.რუმინეთი	2	1	0	1	-43	4
5. იტალია A	2	0	0	2	-18	1
6.ნამიბია	2	0	0	2	-42	0

16 ივნისი. საქართველო-იტალია A, სამ. აფრიკა A-არგენტინა A, რუმინეთი-ნამიბია

ხოკეი — საქართველოს ჩემპიონატი

მიმინოს გამარჯვება მოინადირა

გრძელდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ყინულის ჰოკეიში. გასულ შაბათს, ერთმანეთს თბილისის "ცეცხლოვანი ჯვაროსნები" და ბაკურიანის "მიმინო" დაუპირისპირდნენ. მატჩი ბაკურიანელების გამარჯვებით, 4:1 დასრულდა (0:1, 0:3, 1:4. გოლები: 0:1 გოგიჩაიშვილი, 0:2 გეფერიძე, 0:3 გეფერიძე, 0:4 ჯეირანაშვილი, 1:4 ცაგარეიშვილი). შეხვედრაში გამოირჩეოდა სტუმართა კაპიტანი **გია ოგანესიანი**.

"მართალია, ფავორიტებად ვითვლებოდით, მაგრამ გამარჯვება წინასწარ ნამდვილად არ დაგვიგეგმავს. თბილისელები ამ თამაშისათვის ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულები და საკმაო წინააღმდეგობაც გაგვიწიეს, რასაც არ მოველოდით, მაგრამ მცირე უპირატესობას მაინც ჩვენ ვფლობდით, რაც თამაშის შედეგ ზეც აისახა." - თქვა გია ოგანესიანმა.

მატჩის შესახებ კომენტარი გააკეთა საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა **დენის დავიდოვმაც**: *"1:4 ბევრად მცირე ანგარიშია, ვიდრე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მასპინძლებს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე - დემურ გურგენიძე ავადმყოფობის გამო გამოაკლდათ. თუმცა თბილისელებმა ნამდვილად ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. არ შეიძლება, არ აღინიშნოს ჯვაროსნების მეკარე პატრიკ ფრეიზერი, რომელმაც "მიმინოს" მიერ შესრულებული 41 დარტყმიდან, საკუთარი გუნდი გოლისაგან 37-ჯერ იხსნა".*

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატში ოთხი გუნდი მონაწილეობს, აქედან სამი თბილისის - "ყინულის რაინდები", "რუხი მგლები", "ცეცხლოვანი ჯვაროსნები" და ერთიც ბაკურიანის "მიმინო". შეხვედრები ტარდება შაბათობით, მინი ფორმატით, სპორტის სასახლესთან მდებარე საციგურაო მოედანზე. შემდეგი შეხვედრა 16 ივნისს, "რუხ მგლებსა" და "მიმინოს" შორის გაიმართება.

თიკა ასლანიშვილი
ავტორის ფოტო

ლეგიონერები

ორი წუთი ჩემპიონობამდე

საფრანგეთის ჩემპიონატი დასრულდა. საქართველოს ნაკრებისა და "კლერმონის" ბურჯებმა დავით ზირაქაშვილმა და გოდერძი შველიძემ ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი გაუშვეს ხელიდან. ვულკანები სენ დენიში "სტად ფრანსესთან" ბოლოსწინა წუთზე გაშვებული ლელოთი დამარცხდნენ - 18:23

პირველ ტაიმში "კლერმონი" უდავო უპირატესობას ფლობდა - 12:0. მეორე ტაიმში ვითარება რადიკალურად შეიცვალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტრავმების გამო "კლერმონს" მეორეხაზელები **ტიბო პრივა** და **ჯეიმზ ქედმორი** გამოაკლდნენ. ზირაქაშვილი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო. პარიზელები პირველად 70-ე წუთზე დაწინაურდნენ - 16:15, მაგრამ, მალევე საჯარიმოთი ისევ "კლერმონი" გავიდა წინ - 18:16.

79-ე წუთზე პარიზელთა ფლანკერმა **რადიკე სამომ** გადამწყვეტი ლელო გაიტანა კიდესთან ახლოს, **ხუან მარტინ ერნანდესმა** კი ზუსტად გარდასახა 23:18.

თამაშში მონაწილეობა არ მიუღია გოდერძი შველიძეს, თუმცა დავით ზირაქაშვილთან ერთად ვიცე-ჩემპიონის ტიტული მასაც დამსახურებულად ერგო.

ბესიკ ჯანგავაძე

ტონი პარკერი

NBA. პირველი მატჩის ექო

კიდზე დიდი და თითქმის სტოქტონი

სუპერფინალის მეორე მატჩი გამთენიისას, სან ანტონიოში უნდა გამართულიყო და როგორც არ უნდა დასრულებულიყო, "სპურსის" ერთ-ერთი წევრის რეპუტაცია, მისი პროგრესი და პლანეტაზე ყველაზე სწრაფი ფეხები საკალათბურთო სამყაროსთვის ისევ ისე, შეუცვლელი დარჩებოდა. როდესაც **ლებრონ ჯეიმსს** პირველი მატჩის საუკეთესო მოთამაშის დასახელება სთხოვეს, "კავალიერსის" ახალგაზრდა ლიდერს წამიც არ უფიქრია და ასეთად მეტოქის ფრანგი გამთამაშებელი **ტონი პარკერი** სცნო. ლებრონმა იქვე დასძინა - **ტიმ დანკანისგან** დომინაცია ალარავის უკვირს, ტონი კი ისეთი ტემპებით პროგრესირებს, რომ დღესვე მას **ჯეისონ კიდზე** წინ დავაყენებდიო.

2007 წლის სუპერფინალის პარკერი და 2001 წლის "სან ანტონიოს" 19 წლის ფრანგი გამთამაშებელი ერთმანეთისგან ისევე განსხვავდებიან, როგორც "სპურსი" და ვთქვათ, თუნდაც რუსული "ხიმკი".

პარკერი იხსენებს, რომ მაშინ მას **ტიმ დანკანის** იმხელა რიდი ჰქონდა, რომ თუნდაც იმ მომენტებში, როდესაც "სპურსის" ლიდერი ელემენტარულ შეცდომას უშვებდა, პარკერი მას ვერაფერს უბედავდა. დღეს კი ტონის თავისუფლად შეუძლია დანკანისთვის შენიშვნის მიცემა და ეს უკანასკნელიც ამას უპრობლემოდ იღებს, რადგან ყველამ იცის, რომ პარკერი გაიზარდა, დაღვინდა და სადღეისოდ მსოფლიოს ხუთ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ათ საუკეთესო ფლეიმეიქერში მაინც შედის.

"კავალიერსთან" მატჩში პარკერის ანგარიშზე ორივე გუნდში ყველაზე მეტი - 27 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა იყო. სტატისტიკასაც რომ შევეშვათ, პარკერის გარეშე "სან ანტონიო" ამ მატჩს (ისევე, როგორც წინა სამ სერიას) ვერ მოიგებდა. ტონის სისწრაფე, ოპონენტის დაცვითი სქემების იდეალურად წაკითხვა ჯერ მას, მერე კი იმავე დანკანს, **მანუ ჯინობილისა** და სხვებს სათარეშო სივრცეს უთავისუფლებს.

დანკანმა პირველ მატჩში ბურთი ოთხჯერ ჩატენა. აქედან სამჯერ, ტიმმა ტონის იუველირული სიზუსტის პასებით გაზარდა პირადი და გუნდური მარაგი. თუ 2001-ში პარკერს **გრეგ პოპოვიჩის** მითითებების დამახსოვრებაც კი უჭირდა, დღეს იგი მოედანზე კი უჭირდა, დღეს იგი მოედანზე გრეგის იდეების საუკეთესო გამტარებელია. ამას პოპოვიჩიც ადასტურებს.

"ტონი ჩემი ასისტენტივითაა. თუ დანკანისთვის მკვლელის ინსტინქტების გამომუშავებაზე რამდენიმე წელინადი დავხარჯე, პარკერში ეს თავიდანვე იყო გამჯდარი. ტონისთვის არ არსებობს ავტორიტეტი და თუკი მან რომელიმე მატჩში თავის თანაგუნდელთან წააგო, ე.ი. ეს უბრალოდ, მისი დღე არ იყო. 2001-დან, ანუ პარკერის პირველი სეზონიდან მოყოლებული, თავს სულ უფრო მშვიდად ვგრძნობ. ტიმს ასაკი ემატება, მანუს თამაშის სტილიდან გამომდინარე, მისი ჯანმრთელობის იდეალურად შენარჩუნება გაგვიჭირდება, პარკერი კი ყველა კომპონენტს იდეალურად აბალანსებს", - მიაჩნია პოპოვიჩს.

დღეს უკვე აღარავინ იხსენებს 2003 წლის ზაფხულს, როდესაც პოპოვიჩი პირადად ჩავიდა ისტ-რუზერფორდში, შეხვდა **ჯეისონ კიდს** და ამ უკანასკნელსა და "სან ანტონიოს" შორის მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებას ხელი, მხოლოდ და მხოლოდ, ჯეისონის ცოლმა - **ჯუმანა კიდმა** შეუშალა.

"უკვე ბარგს ვალაგებდი და სან ანტონიოდან ასაბარგებლად ვემზადებოდი. კიდი ჩემთვის დღესაც სამაგალითო სპორტსმენია, მაგრამ მაშინაც დარწმუნებული ვიყავი და დღესაც ამ აზრზე ვარ - "სან ანტონიოსთვის" კიდზე მეტი სარგებლის მოტანა შემეძლო", - იხსენებს პარკერი.

2003-ში "სან ანტონიო" ჩემპიონი გახდა, თუმცა პარკერს ამაში მიზერული როლი ჰქონდა. "სპურსმა" **დევიდ რობინსონი** კალათბურთიდან სათანადოდ გააცილა, "ადმირალი" კი, ფინალში "ნიუ ჯერსისთან" გაგიჟდა - ბოლო შეხვედრაში მის ანგარიშზე 17 მოხსნა იყო და მან და დანკანმა ჯამში ფარიდან ასხლტილი ბურთი უფრო მეტჯერ (37) მოხსნეს, ვიდრე მთლიანად "ნიუ ჯერსიმ" (35).

პარკერი კი, წლიდან წლამდე ამა თუ იმ სათამაშო კომპონენტს აუმჯობესებდა. 2005 წლის რეგულარულის დაწყების წინ, მან საზაფხულო ბანაკის გახსნამდე ორი კვირით ადრე საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ასისტენტი დაიქირავა, რომელიც ტონის საშუალო სროლის გაუმჯობესებაზე მუშაობდა. შედეგად, ბოლო ორი წლის განმავლობაში პარკერი ერთადერთი დაბალი მოთამაშეა, რომელიც სამწამიანში დაგროვილი ქულებით, ზედიზედ მეორედ პირველ ხუთეულში შესვლას ახერხებს. სხვათა შორის, იგი ფარქვეშეთიდან ტიმ დანკანზე მეტ ქულას უყრის თავს.

"თუ სხვა კარგი გამთამაშებელი ჩინური სანთებელასავითაა, ტონი და ჯეისონ კიდი "ზიპოს" უნდა შევადაროთ - ცეცხლი იქამდე არ ჩაქრება, სანამ საჭიროა", - ახასიათებს მოწინააღმდეგის ერთ-ერთ ლიდერს "კლივლენდის" მთავარი მწვრთნელი **მაიკ ბრაუნი**.

"სან ანტონიოში" პარკერის შემცვლელი **ჟაკ ვონი**, რომელსაც ზელიგაში თამაშის ათწლიანი გამოცდილება აქვს, პარკერს **ჯონ სტოქტონს** ადარებს.

"იგი ყველაზე სწრაფია იმათ შორის, ვის გვერდითაც მითამაშია. ჯეისონი უფრო დახვეწილ პასს ფლობს, მაგრამ ტონი ყოველთვის მასზე სწრაფი და ბევრად აკურატული სროლის პატრონი იყო. სტოქტონამდე ჯერ შორია, მაგრამ ტონისთვის არ არსებობს დაბრკოლება, რომელსაც იგი ვერ გადალახავს. ის ფენომენია და ამასთან ერთად, მაგრად გაუმართლა, რომ ეგრევე გრეგ პოპოვიჩთან მოხვდა", - მიაჩნია ვონს.

"კლივლენდს" ყველაზე სერიოზული პრობლემები სწორედ პარკერის მეურვეობისას შეექმნება. ცხადია, ტიმ დანკანი თავისას გააკეთებს და ჯინობილიც ბობოლაა, მაგრამ ტიმს გვერდით **ანდერსონ ვარეჟაოს, ჟიდრუნას ილგაუსკასსა** და **დრიუ გუდენს** დაუყენებენ, მანუზე გადართვა იგივე ლებრონსა და **ლარი ჰიუზს** შეუძლიათ, პარკერის ამპლუის ძლიერი დამცველი კი **მაიკ ბრაუნის** გუნდში სანთლით რომ ეძებოთ, ვერ ნახავთ. **დანიელ გიბსონი** კარგი მსროლელია, მაგრამ დაცვაში თამაში მას ჯერ კიდევ დასახვეწი აქვს.

პირველ მატჩში ტონის თავიდან ჰიუზი იყვანდა, მერე კი ბრაუნმა ფრანგზე ლებრონი მიამაგრა, თუმცა შედეგი იდენტური იყო - ტონი ჯიუტად ახერხებდა სამწამიანში შეღწევას, იქ კი დროული პაუზით მაღლებს ბავშვებივით აქეთ-იქეთ ფანტავდა.

"პარკერმა იცის, რომ რიგ გუნდებთან მას ერთი-ერთზე თამაშისას პრობლემები ექმნება და ასეთ შემთხვევებში მთლიანად თავის თანაგუნდელებზეა გადართული, მაგრამ, როგორც კი ტონი ხედავს, რომ პერსონალური მეურვეობისას მოწინააღმდეგის დაცვაში ნაპრალი ჩნდება, იგი ამ შანსს ხელიდან არ უშვებს და "სან ანტონიო" ორმაგად სახიფათო ხდება", - მიაჩნია "კლივლენდის" ვეტერან უკანახაზელს **ერიკ სნოუს**. სხვათა შორის, სნოუ თავის გუნდში ერთადერთია, ვისაც სუპერსერიაში თამაშის გამოცდილება აქვს - 2001-ში იგი იმ "ფილადელფიაში" იყო, რომელიც აღმოსავლეთის ჩემპიონი გახდა, გადამწყვეტ ჯახში კი 1:4 **შაკისა** და **კობი ბრაიანტის** "ლეიკერსთან" დამარცხდა.

თავად პარკერი კი "სპურსის" ერთადერთ ვარსკვლავად ტიმ დანკანს მიიჩნევს, თავისზე ბევრად პოპულარულად მანუ ჯინობილის თვლის და მიაჩნია, რომ "სპურსში" საბოლოო გამარჯვებისთვის, პარკერზე გაცილებით მეტს **ბრიუს ბოუენი** აკეთებს.

ტონი არ საუბრობს საკუთარ თავზე, მაგრამ ამას სხვები და პარკერის სტატისტიკა აკეთებენ. ტეხასურ გრანდს 25 წლის ფრანგის სახით დინასტიის შენარჩუნების საუკეთესო პერსპექტივა აქვს. ამას პარკერიც ხვდება და ლამის ყველა ინტერვიუში ხაზს უსვამს იმას, რომ საფრანგეთში დაბრუნებამდე იგი გუნდს არ გამოიცვლის და ნებისმიერ შემთხვევაში "სან ანტონიო სპურსის" ერთგული იქნება.

ორგზის ჩემპიონი მესამე ბეჭდისკენ მიისწაფვის.

ზურაბ თალაკვაძე

ევროვნული ფედერაცია

კალათბურთი

ბოლიროგამ კარიერა დაასრულა

ლეგენდარულმა სერბმა კალათბურთელმა - **დეიან ბოდიროგამ** კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მან შესაბამისი განცხადება იტალიის ჩემპიონატის ფლეი ოფის ნახევარფინალური ეტაპის დასრულების შემდეგ გააკეთა, როცა მისმა "ლოტომატიკამ" 5-მატჩიანი სერია წააგო "მონტეპასკისთან". ამიერიდან, სერბი კალათბურთელი რომაულ კლუბში ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმუშავებს.

ბოდიროგა მსოფლიოს სამგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონია. ის სხვადასხვა კლუბებთან ერთად, ევროპის ოთხი ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულია. 17-წლიანი კარიერის განმავლობაში, ბოდიროგა "ზადარის", "რეალის", "ბარსელონას", "სტეფანელესა" და "პანათინაიკოსის" ღირსებას იცავდა.

1995 წელს, სერბი ფორვარდი NBA-ის დრაფტში 51-ე ნომრად აირჩიეს, მაგრამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მას ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია.

ფიბა და ულები ისევ იბრძვიან

გასულ უიქ ენდზე, ათენში საბერძნეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კონგრესი გაიმართა, სადაც სიტყვით გამოვიდა კალათბურთელის საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) ევროპული განყოფილების პრეზიდენტი - **გიორგოს ვასილაკოპულოსი**. მისი გამოსვლის მთავარი თემა FIBA-სა და ULEB-ს შორის წარმოქმნილი ახალი დაპირისპირება გახდა.

პრეზიდენტის თქმით, მის ორგანიზაციას სულ უფრო და უფრო უჭირს ULEB-თან გამკლავება. ეს უკანასკნელი, თავისი ეგიდით გამართული ტურნირების რიცხვის გაზრდას აპირებს. აქედან გამომდინარე, FIBA-ს შეჯიბრებებში წამყვანი ევროპული კლუბები აღარ დარჩებიან.

ვასილაკოპულოსი თავის გამოსვლაში NBA-საც გადაწვდა. მან განაცხადა, რომ იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნების მიერ ამერიკის დამარცხების შემდეგ გამოჩნდა, რომ ამერიკელები სულაც არ არიან "სუპერმენები". პრეზიდენტმა თქვა, რომ NBA აღარ ითვლება მსოფლიოში ყველაზე სასურველ ლიგად. ამას ადასტურებს ბერძენი კალათბურთელის - **ვასილის სპანულისის** გადაწყვეტილება, რომელიც "პიუსტონთან" კონტრაქტის გაწყვეტასა და ევროპაში დაბრუნებას აპირებს.

პატერსონი მეზობელ ქალს აბამდა

"მილუოკი ბაქსის" ფორვარდი - **რუბენ პატერსონი** სასამართლომ ათასი დოლარით დააჯარიმა. ამის მიზეზია ის, რომ კალათბურთელი მეზობელი ქალის შეცდენას ცდილობდა.

პატერსონის აგენტმა - **ტიმ მაკგრიმ** ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარს: *"ყველაფერი წარსულში დარჩა. პატერსონთან მრავალწლიანი ურთიერთობის პერიოდში, არ მახსოვს, რომ მსგავსი პრობლემა რაიმე სერიოზულ ინციდენტში გადაზრდილიყო"*.

სმიტი საავადმყოფოში მოათავსეს

"დენვერ ნაგეტსის" კალათბურთელი - **ჯეი არ სმიტი** სერიოზულ ავტოავარიაში მოხვდა.

როგორც სააგენტო AP იუწყება, სმიტთან ერთად მანქანაში კიდევ ერთი მგზავრი იმყოფებოდა. ორივე დაზარალებული მძიმე ტრავმებით საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

ფორმულა 1

ბარიჩელო წასვლას არ აპირებს

ბრიტანელი **დევიდ ქულთარდის** მსგავსად, ფორმულა 1-ის კიდევ ერთმა ვეტერანმა, წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანმა პილოტმა - **რუბენს ბარიკელომ** გამოაცხადა, რომ არ აპირებს კარიერის დასრულებას. "ჰონდას" ბრაზილიელი პილოტის თქმით, მას გონებაშიც კი არ გაუვლია ფორმულას დატოვება.

"გასულ სეზონში სერიოზული პრობლემები მქონდა, ვინაიდან ახალი ტიპის საბურავებთან შეგუება გამიჭირდა. სწორედ ეს მიშლიდა ხელს, მაღალი შედეგების ჩვენებაში. მაგრამ ახლა, ყველაფერი კარგად არის და ძველებურად, დიდ სიამოვნებას ვიღებ რბოლებისგან. ფორმულას დატოვება ერთი წუთითაც არ მიფიქრია. "ჰონდა" პროგრესს განიცდის და მინდა, ამ გუნდს დასახული მიზნის მიღწევაში დავეხმარო", - ამბობს ბრაზილიელი პილოტი.

ჰოკეი

პინგვინები ახალ არენას ელიან

ორი დღის წინათ, "პიტსბურგ პინგვინზის" ხელმძღვანელობამ ახალი სტადიონის ასაშენებელი ბიუჯეტი დაამტკიცა.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ახალი არენის ასაგებად 290 მილიონი დოლარი დაიხარჯება, კიდევ 35 მილიონი იქნება საჭირო მინისქვეშა გარაჟებისა და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

"პინგვინზის" შეფობას იმედი აქვს, რომ ახალ დარბაზში პირველ მატჩს, 2009-10 წლების სეზონში ჩაატარებს.

ჩელიოსი ერთი წლით დარჩება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე - 45 წლის **კრის ჩელიოსი** კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს. ამერიკელი მცველი თავის ამჟამინდელ კლუბთან - "დეტროიტ რედ უინგზთან" კიდევ ერთი წლით აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას.

დეტროიტული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა - **კენ ჰოლანდმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ჰოკეისტთან წინასწარი შეთახმება უკვე მიღწეულია.

თუ ჩელიოსმა გაისადაც NHL-ში ითამაშა, ეს ამ ლიგაში მისი 23-ე სეზონი იქნება.

ანაჰაიმმა მოენი და პაროსი დაიტოვა

სტენლის თასის ახალმა მფლობელმა - "ანაჰაიმ დაქსმა" ორ ჰოკეისტთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. ამ კლუბში კიდევ ორი სეზონი ითამაშებენ - **ტრევის მოენი** და **ჯორჯ პაროსი**.

25 წლის მოენმა რეგულარულ ჩემპიონატში 11 გოლი გაიტანა და 10 შედეგიანი გადაცემა (82 მატჩში) გააკეთა. ფლეი ოფში მისი ანალოგიური მაჩვენებლები იყო - 7 შაიბა და 5 საგოლე პასი (21 მატჩში).

"ანაჰაიმის" "პოლიციელმა" - პაროსმა გასულ რეგულარულში 240 საჯარიმო წუთი მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. კანადის დიდი პრიზი

ჰემილტონის პირველი გამარჯვება

გუშინდელს შემდეგ, ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. ლიდერის სახელი კი, არც მეტი, არც ნაკლები, **ლუის ჰემილტონია**. სწორედაც, ახალბედა ბრიტანელმა კარიერაში პირველად მოიგო კვალიფიკაცია და რბოლაშიც პირველი გამარჯვება იზეიმა. კანადის დიდი პრიზი მისი კარიერის მორიგი ალმასვლის დასაწყისია.

იმ დროს კი, როდესაც ფორმულა ერთის ისტორიაში პირველი შავკანიანი პილოტი თავისი პირველი გამარჯვებისკენ მიაგელვებდა თავის "მაკლარენს", სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა მისი პოლონელი კბილა **რობერტ კუბიცა**, ის 27-ე წრეზე, ერთ-ერთი მოსახვევის წინ, "ტოიოტას" ერთ-ერთ ბოლიდს დაეჯახა, რამაც კუბიცას ბეემვე ბეტონის კედელს მიანარცხა. მანქანისგან მთელი მხოლოდ პილოტის კაფსულაღა გადარჩა. საბედნიეროდ, განსაცდელისგან პოლონელი სწორედ ამან იხსნა.

კუბიცა ჯერ ტრასის მედცენტრში გადაიყვანეს, საიდანაც მონრეალის ჰოსპიტალის გზას გაუყენეს. იქ კი ექიმებმა მხოლოდ ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს. ეს იყო და ეს. ეგ კი არა, პოლონელის მენეჯერ **დანიელე მორელის** თქმით, რობერტი კარგ განწყობაზეც კი ყოფილა. მოკლედ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

კანადის დიდმა პრიზმა წერტილი დაუსვა იმ ჭორებსაც, რომელთა მიხედვითაც "მაკლარენში" პირველ ნომრად მაინც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** მიიჩნეოდა. გუნდის შეფმა **რონ დენისმა** არაერთხელ გაიმეორა, პრიორიტეტს არცერთ პილოტს არ მივანიჭებთო, მაგრამ არც მას და არც ჰემილტონს არავინ ყურს არ უგდებდა. ჰოდა, კანადურმა რბოლამ მსგავს ჭორებს მსხვილი წერტილი დაუსვა, მაგრამ როგორც ჩანს, ჭორებმა თავისი შედეგი მაინც გამოიღო - ესპანელ პილოტს აშკარად ეტყობა ნერვიულობა. მან რომ კვალიფიკაციაში თანაგუნდელთან თითქმის ნახევარი წამი წააგო, ამის შედეგი რბოლის პირველივე მოსახვევში ვიხილეთ - ალონსომ ჰემილტონს პირველივე წრეზე ჩამოტოვება დაუპირა, მაგრამ ვერ მოზომა და იმისათვის, რომ ტრასაზე დარჩენილიყო, მოსახვევის მოჭრა მოუხდა. და სანამ ტრაექტორიას დაუბრუნდებოდა, მას გერმანელმა **ნიკ ჰაიდფელდმაც** გაასწრო.

ახლა კი წარმოიდგინეთ ამბიციური პილოტი, ვინც ახალ გუნდში გადადის, იქ ახალბედა, არანაკლებ ამბიციური თანაგუნდელი ხვდება, რომელთანაც დაძაბული პაექრობა უწევს. მართლაც რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთ ზეწოლას გაუძლოს. კანადაში ალონსომ ეს ვერ მოახერხა. რა იქნება შემდეგში, ძნელი სათქმელია. ფაქტი კი ისაა, რომ ექვსი ეტაპის შემდეგ, ჰემილტონი უკვე ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერად მოგვევლინა.

სხვათა შორის, პირველივე მოსახვევში დაშვებული შეცდომა ალონსოსთვის არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი. ანალოგიურად ის მე-16 წრეზეც შეცდა, რის შემდეგაც მას "ფერარის" ბრაზილიელმა პილოტმა **ფელიპე მასამაც** გაუარა. მსგავსი შეცდომა ალონსოს მესამედაც მოუვიდა, თუმცა ამჯერად მას პოზიცია აღარ დაუთმია.

ჰემილტონი კი მადაზე მოვიდა: *"ფანტასტიკური რბოლა იყო. ვიცოდი, რომ გამარჯვებისთვის მომწიფებული ვიყავი. მაგრამ არ ვიცოდი, თუ როდის და სად მოხდებოდა ეს. ახლა, როცა კარიერაში პირველი დიდი პრიზი მოვიგე, ჩემს მომდევნო მიზნად ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ვისახავ. მაგრამ რეალისტად დავრჩები და საკუთარ თავს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ეს ჩემი სადებიუტო სეზონია"*. აი, ასე თავშეკავებულად მსჯელობს თავისი, ჯერჯერობით, ყველაზე დიდი გამარჯვების შემდეგ 22 წლის ბიჭი, რომელმაც წინდაწინ იცის, რომ ბრწყინვალე მომავალი არ ასცდება.


ავარიის სპედეგად კუბიცას BMW-ზაუბერისგან ნამსხვრევებილა დარჩა

რბოლა მომდევნო ადგილებზე დაასრულეს ჰაიდფელდმა და "უილიამსის" ავსტრიელმა პილოტმა **ალექს ვურცმა**, ვინც, სხვათა შორის, ფორმულა ერთში მეათე სეზონს ატარებს (ათი წლის წინათ, მისი დებიუტი სწორედ კანადის დიდ პრიზზე შედგა).

ინციდენტების გარდა, რბოლა დისკვალიფიკაციებითაც აღინიშნა. კანადაში ამოქმედდა რბოლების ახალი წესები, რომელთა მიხედვითაც, თუ ბოქსის შესასვლელთან წითელი შუქი ანთია, იქ ვიზიტი იკრძალება. ჰოდა, ახალი წესი კარგად ვერ დაიმახსოვრეს მასამ და "რენოს" იტალიელმა პილოტმა **ჯანკარლო ფიზიკელამ**, რომლებსაც რბოლის სტიუარდებმა ამის გამო შავი ალმები აუფრიალეს და რბოლის დამთავრების საშუალება არ მისცეს.

მსგავსი დარღვევა ჰქონდა ალონსოსაც, ოღონდ მასას და ფიზიკელასგან განსხვავებით, ის ბოქსებში მაშინ შევიდა, რაც ტრასაზე პეისკარი გამოვიდა (სხვადასხვა ინციდენტის გამო, ის ტრასაზე ოთხჯერ გამოვიდა). ამისათვის კი ესპანელი ბოქსებში ათწამიანი იძულებითი ვიზიტით დასაჯეს. საბოლოოდ, ალონსომ რბოლა მეშვიდე ადგილზე დაასრულა და მხოლოდ ორ ქულას დასჯერდა.

რაც შეეხება ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტს, ფინელ **კიმი რაიკონენს**, მანაც ალონსოს მსგავსად, პირველივე მოსახვევში დაუშვა შეცდომა, რითაც მასამ და "უილიამსის" გერმანელმა პილოტმა **ნიკო როსბერგმა** ისარგებლეს. თუმცა პეისკარმა ფინელი პილოტი რამდენჯერმე ასარგებლა და შედეგად, მან ფინიშს მეხუთემ მიაღწია, რითაც ოთხი ქულა მოიმკა.

კანადური დიდი პრიზის შემდეგ, "მაკლარენ-მერსედესმა" კონსტრუქტორთა პირველობაზე ლიდერობა განიმტკიცა. ბრიტანული გუნდი ახლა თავის მთავარ კონკურენტ "ფერარის" ოცი ქულით უსწრებს. რაც მთავარია, თუ სეზონის დასაწყისში, უკეთესად მარანელოელების ბოლიდები გამოიყურებოდნენ, ახლა უპირატესობა ინგლისელთა მხარესაა. პირად ჩათვლაში, ჰემილტონი ალონსოს რვა ქულას უგებს. ლიდერს მესამე ადგილზე მყოფ მასასთან 15 ქულა აშორებს, რაიკონენი კი მისგან 21 ქულის სიშორეზეა.

დაბოლოს, ისევ ჰემილტონის მიღწევების შესახებ. ფორმულა ერთის ისტორიაში ის პირველი ახალბედაა, ვინც თავისი პირველი ექვსივე რბოლა კვარცხლბეკზე დაასრულა. შეგახსენებთ, რომ სადებიუტო რბოლა მან მესამეზე დაასრულა, რასაც ოთხი მეორე ადგილი და ბოლოს გამარჯვება მოჰყვა. სხვათა შორის, ჰემილტონამდე მხოლოდ ორ დებიუტანტს მოუხერხებია პირველ ექვს რბოლაში ქულების დაგროვება. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პირველივე ექვს რბოლას ჰემილტონი მცირე ხნით მაინც ედგა სათავეში.

მერაბ ლორთქიფანიძე


ჰემილტონმა კარიერაში პირველი რბოლა კანადაში მოიგო

კანადის დიდი პრიზი

ჟილ ვილნევის სახელობის ტრასა

მონრეალი (კანადა). 305.270 კმ (4.361 X 7 წრე)

1. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი)	1:44:11.292
2. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი)	+4.343
3. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა)	5.325
4. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო)	6.729
5. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი)	13.007
6. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა)	16.698
7. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი)	21.936
8. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა)	22.888
9. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო)	22.960
10. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა)	23.984
11. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა)	24.318
12. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა)	30.439
გ. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა)	12 წრე
გ ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი)	16 წრე
დისკ. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი)	19 წრე
დისკ. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო)	19 წრე
გ. კრისტიან ალბერსი (ჰოლანდია, სპაიკერ-ფერარი)	23 წრე
გ. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო)	34 წრე
გ. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი)	44 წრე
გ. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი)	49 წრე
გ. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი)	62 წრე
გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა)	70 წრე

(შენიშვნა: გ - გამოეთიშა, დისკ - დისკვალიფიკაცია)
უსწრაფესი წრე: ფერნანდო ალონსო - 1:16.367, 46-ე წრე

პირადი კლასიფიკაცია

1. ლუის ჰემილტონი 48 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო 40; 3. ფელიპე მასა 33; 4. კიმი რაიკონენი 27; 5. ნიკ ჰაიდფელდი 26; 6. ჯანკარლო ფიზიკელა 13; 7. რობერტ კუბიცა 12; 8. ალექსანდერ ვურცი 8; 9. ჰეიკი კოვალაინენი 8; 10. ნიკო როსბერგი 5; 11. ჯანკარლო ფიზიკელა 13; 7. რობერტ კუბიცა 12; 8. ნიკო როსბერგი 5; 9. დევიდ 4; 12. ტაკუმა სატო 4; 13. იარნო ტრული 4; 14. რალფ შუმახერი 2...

კონსტრუქტორთა პირველობა

1. მაკლარენ-მერსედესი 88 ქულა; 2. ფერარი 60; 3. BMW ზაუბერი 38; 4. რენო 21; 5. უილიამს-ტოიოტა 13; 6. ტოიოტა 6; 7. რედ ბულ-რენო 4; 8. სუპერ აგური-ჰონდა 4...

TV სპორტი

11 ივნისი. ორშაბათი

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ბელგრანო.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ჰოლანდია-ისრაელი. ჰოლანდია.
14:10 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. პორტუგალია-ბელგია. ჰოლანდია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-არსენალი.
18:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
18:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ჩეხეთი-ინგლისი. ჰოლანდია (LIVE).
22:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ხორვატია-რუსეთი.
22:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. სერბეთი-იტალია. ჰოლანდია (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
08:45 კრივი. რინგ-საიდი.
09:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
11:30 ფეხბურთი. Barca TV. ალბერტ ხორკერა.
12:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
14:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. გლაზგო. შოტლანდია.
17:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სევილია.
19:15 სპორტის სამყარო.
19:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:05 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. II მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
22:00 სპორტკლუბი.
22:50 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. სულთან იბრაჰიმოვი-შენონ ბრიგზი.
01:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
03:40 წყალბურთი.
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
06:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. ბარსელონა.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. არგენტინა-ბულგარეთი. არგენტინა.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. ქალები.
14:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. მამაკაცები.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". I ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. სონი ანდერსონის იუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი (LIVE).
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 მულტისპორტი.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ჩინეთი-პოლონეთი. ჩინეთი.
14:30 ახალი ამბები.
16:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. პორტლენდი. აშშ.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 სერფინგი.
21:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
22:00 ახალი ამბები.
22:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი. IV მატჩი.
23:45 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ჩინეთი-პოლონეთი. ჩინეთი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

არგენტინა

ველესი-ლანუსი	1:1
ნუევა ჩიკაგო-რივერი	2:2
ხიმნასია (ლ)-რასინგი	1:2
ბოკა-ბელგრანო	1:0
გოდოი-ნიუელსი	1:1
ბანფილდი-კოლონი	0:1
როსარიო-ხიმნასია (ხ)	2:0
ინდეპენდენტე-კილმესი	4:1
სან ლორენსო-არსენალი	4:2
ესტუდიანტესი-არგ. ხუნიორსი	გვ. დას.

ბრაზილია

პალმეირასი-ბოტაფოგო	1:1
ვასკო და გამა-გრემიო	4:0
ნაუტიკო-პარანა	4:4
ფლუმინენსე-რესიფე	3:0
ამერიკა-კორინთიანსი	1:2
ატ.პარანაენსე-გოიაში	0:3
ფიგეირენსე-ფლამენგო	4:0
კრუზეირო-ჟუვენტუდე	გვ. დას.
სან პაულუ-ატ. მინეირო	გვ. დას.
ინტერნასიონალი-სანტოსი	გვ. დას.

ჩილე

უნ. დე ჩილე-ევერტონი	2:4
პუერტო მონტი-იტალიანო	0:4
პალესტინო-კობრესალი	1:1
უნ. კატოლიკა-მელიპილა	4:1
დ. კონსეპსიონი-კოკიმბო	2:1
ლა სერენა-ნუბლენსე	6:2
ანტოფაგასტა-უნ. კონსეპსიონი	3:2
კობრელოა-ლოტა	2:1
სანტიაგო-უნ. ესპანიოლა	1:0
უაჩიპატო-კოლო კოლო	2:2

აშშ

ჩიკაგო-ჩივასი	0:1
დალასი-ლოს ანჯელესი	3:1
დი სი იუნაიტედი-ნიუ იორკი	4:2
კოლამბუსი-ჰიუსტონი	გვ. დას.

იაპონია

კაშივა-ოიტა	0:0
გამბა-იოკოჰამა	2:1
ნიიგატა-კობე	3:1
ომია-კაშიმა	2:2
იოკოჰამა მარინოსი-იჩიჰარა	1:0
ნაგოია-კავასაკი	2:2
კოფუ-ივატა	1:6
შიმიზუ-ტოკიო	1:3

კალათბურთი

საბერძნეთი

ფლეი ოფი

პანიონიოსი-არისი	74:62
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	76:72

ესპანეთი

ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

ხუვენტუდი-რეალი	70:72
ბარსელონა-ბასკონია	71:77

საფრანგეთის ღია პირველობა

ჩემპიონები არ შეცვლილან

ნადალს პრიზი კუერტენმა გადასცა

ნადალის ჰეთ-თრიკი

დასრულდა საფრანგეთის ღია პირველობა. დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო - ჩემპიონებმა თავიანთი ტიტულები შეინარჩუნეს. ესპანელმა **რაფაელ ნადალმაც** და ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმაც** ზედიზედ მესამედ მოიგეს როლან გაროსის მთავარი ჯილდო და ამით, ჩოგბურთის ისტორიაში გრანდების გვერდზე დაიმკვიდრეს ადგილი.

ფინალში ნადალმა მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ოთხ სეტში მოუგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თიხისსაფარიან კორტებზე ბადალი არ ჰყავს. ჟუსტინმა კი მეტისმეტად იოლად დაამარცხა სერბი **ანა ივანოვიჩი**.

ნადალმა საფრანგეთის ღიაზე სულ მესამედ ითამაშა და მესამედაც ტურნირი ტრიუმფით დაასრულა. 1980 წლის შემდეგ ის პირველი კაცი მეჩოგნეა, ვინც როლან გაროსის თასს ზედიზედ სამჯერ დაეუფლა. 27 წლის წინათ ტურნირი ზედიზედ სამჯერ ლეგენდარულმა შვედმა **ბიორნ ბორგმა** მოიგო.

ფედერერი კი, ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც ხელმოცარული დარჩა. საფრანგეთის ღია დიდი სლემის ტურნირებიდან კვლავ ერთადერთია, რომელიც მას ჯერ არ მოუგია. *"რა თქმა უნდა, განწილებული ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ ვიბრძოლე და რაც შევძელი, სულ ესაა. ეგ არაფერი, მერმის კიდევ დავბრუნდები და ვიმედოვნებ, რომ ამჯერად მაინც მივაღწევ მიზანს. ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დავაკლებ"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც უჩვეულოდ ბევრი შეცდომა დაუშვა და ალბათ სწორედ ესაა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მხოლოდ ერთი სეტის მოგება შეძლო.

თუმცა მის შეცდომებში დიდი წვლილი ნადალს მიუძღოდა, ვინც უკანა ხაზიდან აუღელვებლად ირჯებოდა, სრულად აკონტროლებდა კორტზე ვითარებას და თუ საჭიროებას დაინახავდა, მაშინვე შეტევაზე გადადიოდა.

"რაც მართალია, მართალია! აქ მე თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ გამარჯვებებისთვის ძალიან ბევრს ვვარჯიშობ და სასურველი შედეგიც სწორედ ამას მოაქვს. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, მაგრამ იმავდროულად, როჯერის გამო ვწუხვარ კიდეც. ის ჩემი მეგობარი და დიდი ჩემპიონია და ვიმედოვნებ, რომ ადრე თუ გვიან, მაინც მოიგებს ამ ტურნირს", - განაცხადა ნადალმა, ვინც თიხნარზე ურთიერთშეხვედრებში ფედერერს 6:1-ს უგებს.

გარდა იმისა, რომ შვეიცარიელმა მისთვის შეუფერებლად ბევრი შეცდომა დაუშვა, ბევრი შანსიც გაანიავა. ნადალს ბრეიკის შედარებით ნაკლები შანსი კი ჰქონდა, მაგრამ მათ უმეტესობას ქულად აქცევდა. ჰოდა, შედეგიც შესაბამისი მიიღო.

პირველი ბრეიკ პოინტები საწყისი სეტის მეოთხე გეიმში ფედერერმა მოიპოვა, თუმცა ნადალმა ორივე მოიგერია. ორი გეიმის შემდეგ, ფედერერს კიდევ უფრო მეტი შანსი მიეცა, მაგრამ ესპანელმა ყველა გაანეიტრალა. სამაგიეროდ, მეშვიდეში, როცა ნადალმა სამმაგი ბრეიკ პოინტი მიიღო, პირველივე შანსი გამოიყენა და დაწინაურდა. მანვე მეტოქე მეცხრე გეიმშიც გატეხა და სეტის მოგებით დაასრულა.

მეორე ხელში გადამწყვეტი მეშვიდე გეიმი გამოდგა, რომელშიც შვეიცარიელმა სამი ბრეიკ პოინტი მოიპოვა, რომელთაგან მეორე ქულად აქცია და სეტიც მოგებამდე მიიყვანა. მესამე ხელის მეორე გეიმშივე ნადალმა ბრეიკი მოიპოვა. მერვე გეიმში მან კიდევ ერთი ბრეიკ (სეტ) პოინტი მიიღო, რომელიც ფედერერმა კი მოიგერია, მაგრამ მომდევნო სეტში, მეტოქის სერვისზე ველარ იხეირა და სეტი კვლავ ნადალის გამარჯვებით დასრულდა. მეოთხე სეტშიც ნადალმა ერთადერთი ბრეიკი (მეორე გეიმში მოპოვებული) იმყოფინა და შეხვედრაც გამარჯვებით დაასრულა.

ჟუსტინის მეოთხე როლანგაროსული ტრიუმფი

ვინ წარმოიდგენდა, თუ ფინალი ასეთი ცალმხრივი იქნებოდა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც პირველივე გეიმში, ივანოვიჩმა ჩემპიონს მოწოდება აუღო. ეს იყო და, ჟუსტინმა ზედიზედ რვა გეიმი მოიგო, რითაც ყველას დაანახა - ტიტულის დამთმობი არ ვარო.

ივანოვიჩმა, ვინც თურმე ბავშვობაში, ბელგრადის დაბომბვების დროს, საჩოგბურთო ხელოვნებას დამშრალ საცურაო აუზში ეუფლებოდა, თავის სერვისზე პირველი გეიმი მეორე სეტის მესამე გეიმში მოიგო. ჟუსტინმა კიდევ ერთი გეიმის მოგების საშუალება მისცა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ტიტული არ დაუთმო.

მაშ ასე, ჟუსტინი საჩოგბურთო გრანდების მარაქაში გაერია. მისთვის იმ მილიონ ევროზე მეტად, რომელიც საფრანგეთის ღიას მეოთხედ მოგებისთვის დაიმსახურა, ის ფაქტი ფასობს, რომ 1925 წლის შემდეგ სულ მეხუთე ჩოგბურთელია, რომელმაც როლანგაროსული ტიტული ოთხჯერ მოიპოვა. ამ ხუთეულში კი, მის გარდა შედიან **კრის ევერტი, შტეფი გრაფი, მარგარეტ კორტი და ელენ უილს მუდი**.

ამასთან, რაც ჩოგბურთი პროფესიული სპორტი გახდა (1968 წელს), ჟუსტინი პირველია, ვინც საფრანგეთის ღია ზედიზედ ორჯერ ისე მოიგო, რომ სეტიც არ დაუთმია. ცნობისათვის, როლან გაროსზე ბოლო სეტი მან 2005 წლის ტურნირის მეოთხე წრეში დათმო. და კიდევ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ანენი სულ მეორე ჩოგბურთელია, ვინც საფრანგეთის ღია ზედიზედ სამჯერ მოიგო. ჟუსტინამდე ეს **მონიკა სელეშმა** შეძლო.

გამარჯვების ქულა რომ მოიპოვა, ჟუსტინმა ჩოგანი შორს მოისროლა, ბადესთან ჩაიმუხლა და გაოგნებულმა, თავი ხელებში ჩარგო - ეს მაინც შევძელიო. შემდეგ, როცა გააცნობიერა, რასაც მიაღწია, ცას ახედა, თითქოს, თავის გარდაცვლილ დედას ამცნო თავისი გამარჯვება.

"თავგადასავალი გრძელდება... როლან გაროსი ზედიზედ მესამედ მოვიგე და ეს ნამდვილი საოცრებაა. სეზონის დასაწყისში ბევრი პრობლემა მქონდა, მაგრამ ყველაფერს გავუძელი და ახლა ორმაგად მახარებს ის ფაქტი, რომ ამ პრობლემების შემდეგ, კვლავ ზენიტში ვიმყოფები", - განაცხადა ჟუსტინმა, ვინც ამ სეზონის დაწყებამდე, თავის ქმარს გაშორდა, რის გამოც, ავსტრალიის ღია პირველობა გამოტოვა. ბელგიელმა ივანოვიჩის დასამარცხებლად 65 წუთი იმყოფინა და საფრანგეთის ღიაზე ზედიზედ მოგებული სეტების რაოდენობა 35-მდე გაზარდა.

რაც შეეხება სერბ თინეიჯერს, ის იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ ფინალამდე ტურნირს გამოთიშა ორი ძლიერი რუსი მეტოქე - მესამე ნომრად განთესილი **სვეტლანა კუზნეცოვა** და მეორე ნომრად განთესილი **მარია შარაპოვა**. მაგრამ ფინალში ნერვები ვერაფრით მოთოკა და იმ ოცი ჩოგბურთელის ბედი გაიზიარა, რომლებიც ამ სამ სეზონში, ჟუსტინს როლან გაროსამდე დაუმარცხებია.

"ეს ტურნირი არასოდეს დამავიწყდება. ბედნიერი ვარ, რომ ფინალში ვითამაშე. რა თქმა უნდა, უფრო ბედნიერი იმით ვიქნებოდი, თუ მთავარ პრიზს დავიმსახურებდი, მაგრამ ეს შემდეგში იყოს", - განაცხადა 19 წლის სერბმა, ვისაც თურმე სკოლის გამოსაშვები გამოცდები ჯერაც არ ჩაუბარებია.

■ ■ ■

კაცთა წყვილების ფინალში, ბაჰამელმა **მარკ ნოულზმა** და კანადელმა **დანიელ ნესტორმა** სამ სეტში მოუგეს ჩეხების, **ლუკაშ დლუჰისა** და **პაველ ვიზნერის** დუეტს და ერთად დიდი სლემის მესამე ტიტულს დაეუფლნენ. ამგვარად, ნოულზსა და ნესტორს ერთად მხოლოდ უიმბლდონი არ აქვთ მოგებული. შეგახსენებთ, რომ ამ დუეტმა 2002 წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, ორი წლის შემდეგ კი აშშ-ის ღიას ჩემპიონიც გახდა.

"ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებთ და იმაშიც ვეხმარებით, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოთ. ახლა უკვე სამი სლემტიტული გვაქვს და ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც უიმბლდონზე ვერ უგდა შევძლოთ იგივე", - განაცხადა ნესტორმა. ამ მიზნის მისაღწევად, მათ ერთადერთი ცდაღა რჩებათ - უიმბლდონის შემდეგ ისინი ახალ პარტნიორებთან ერთად გააგრძელებენ თავიანთ კარიერას.

ქალთა წყვილების ფინალში, ავსტრალიელი **ალისია მოლიკისა** და იტალიელი **მარა სანტანჯელოს** დუეტმა სლოვენიელი **კატარინა სრებოტნიკისა** და იაპონელი **აი სუგიამა** წყვილს მოუგო. ოზი მეჩოგნისთვის ეს ბოლო ორ სეზონში მოგებული წყვილთა პირველი სასლემო ტიტულია, იტალიელმა კი საერთოდ პირველად შეძლო დიდი სლემის ტურნირის მოგება.

მოლიკმა პირველი სლემ-ტიტულები 2004 წელს, უიმბლდონსა და აშშ-ის ღიაზე, შერეულ წყვილებში, თანამემამულე **ტოდ ვუდბრიჯთან** ერთად მოიპოვა, მომდევნო სეზონში კი, ქალთა წყვილების ტურნირი რუს სვეტლანა კუზნეცოვასთან ერთად მოიგო.

შერეული წყვილების ფინალში კი, ფრანგი **ნატალი დეშისა** და ისრაელის **ენდი რამის** წყვილმა ორ სეტში დაამარცხა სრებოტნიკისა და **ნენად ჟიმონიჩის** სლოვენიურ-სერბული დუეტი. დეშიმ და რამმა ერთად პირველად ითამაშეს და სადებიუტო გამოსვლა ტრიუმფით დააგვირგვინეს.

სხვათა შორის, ფრანგებს ერთეულებში საშინაო სლემ-ტურნირი 1997 წლის შემდეგ ასე ცუდად არ ჩაუტარებიათ - მეოთხე წრეში მათმა ერთადერთმა ჩოგბურთელმა, **მარიონ ბარტოლიმ** გააღწია. ჰოდა, შერეულებში ტრიუმფით, დეშიმ ჩოგბურთის ფრანგ მოყვარულებს მცირე სიხარული მაინც მოუტანა.

საინტერესოა, რომ დეშისა და რამისთვისაც ეს წყვილთა ტურნირებში მოპოვებული მეორე გამარჯვებაა. ფრანგმა შარშან რუს **ვერა ზვონარევასთან** ერთად აშშ-ის ღიას ქალთა წყვილების ტიტული მოიპოვა, რამმა კი შარშანვე, იმავე ზვონარევასთან დუეტში, უიმბლდონის შერეული წყვილების ტურნირი მოიგო.

მერაბ ლორთქიფანიძე

კაცები

ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-როჯერ ფედერერი (შვეი, 1) 6:3, 4:6, 6:3, 6:4

წყვილები. ფინალი

მარკ ნოულზი/დანიელ ნესტორი (ბაჰ/კან, 6)-ლუკაშ დლუჰი/პაველ ვიზნერი (ჩეხ, 9) 2:6, 6:3, 6:4

ქალები

ფინალი

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-ანა ივანოვიჩი (სერბ, 7)

წყვილები. ფინალი

ალისია მოლიკი/მარა სანტანჯელო (ავსტრალ/იტა, 17)-კატარინა სრებოტნიკი/აი სუგიამა (სლო/იაპ, 7) 7:6(5), 6:4

შერეული წყვილები. ფინალი

ნატალი დეში/ენდი რამი (საფრ/ისრ, 8)-კატარინა სრებოტნიკი/ნენად ჟიმონიჩი (სლო/სერბ, 6) 7:5, 6:3

ჟუსტინ ანენი (წინა პლანზე) და ანა ივანოვიჩი

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოკა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოკა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიპლომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა